# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | შაბათი 24 აპრილი 1999 №74 (847) | ფასი 1 ლარი

## 2 ჰეგემი — არა 5

ნორვეგიულ გაზეთ DAGBLADET-ის ცნობით, მათ ნაკრებს უკვე გამოაკლდა ლივერპულელი ჰეგემი, მას შეიძლება მანჩესტერელი ბერგი და ლიდსელი ჰალანდიც მიჰყვნენ. ნორვეგიელთა მწვრთნელმა ნილ სემბმა კი გუშინ გვამცნო, ჰეგემი ნამდვილად არა, ბერგი და ჰალანდი თბილისში მომყავსო

## 10 იუვე პანტიანში




## 13 სტეფანიას უთხრეს, სამი კვირა იმკურნალეო

## ჯომოლუნგმას ორთავ მხარეს

დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8848 მ) მოიერიშე ორიდან ერთ-ერთ ქართველ მთამსვლელთა ჯგუფისაგან, ჩრდილოეთიდან ამსვლელი ექსპედიციისაგან, რომელსაც გია თორთლაძე მეთაურობს, გუშინ საბაზო ბანაკიდან ცნობა მივიღეთ. მათ, როგორც აპირებდნენ, მარშრუტი უკვე დაუმუშავებიათ 7200 მეტრამდე და მშვიდობით დაბრუნებულან საბაზოში, სადაც ყველანი თავს კარგად გრძნობენ და ისვენებენ. ამ დღეებში ისინი აპირებენ 7800 მეტრამდე გზის გაკვალვას, მარშრუტის მომზადებას, საბაზოში დაბრუნებას, დასვენებას და კვლავ ზემოთ ასვლას, რათა 8200 მეტრამდე მოამზადონ სავალი და მერე ბანაკიც, რომელიც ბოლო საიერიშო ადგილი იქნება გადამწყვეტი ასვლის დაწყებამდე.

გუშინ ნიქოზიაში საქართველოს ჭაბუკმა კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი ფრანგ თანატოლებთან 55:60 წააგეს. დღეს ჩვენები გერმანელთა მომგებ ესპანელებს ხვდებიან.

# ტყუპები, დუბლები და სხვა

*ამ ტურში ხუთმა ფეხბურთელმა გაიტანა ორ-ორი გოლი, მათგან ორმა ცენტრალურ, „დინამო“ „ვიტ ჯორჯიას“ მატჩში*



გუშინ ეროვნულზე. „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“.
ვიტელი გიორგი ჭანკოტაძე დინამოელ არჩილ სახვაძეს გზას ულობავს

## საქართველოს ჩემპიონატი — 24 ტური

23 აპრილი, პარასკევი

| | |
|---|---|
| არსენალი | 0 |
| თსუ | 0 |
| სიონი | 1 |
| კოლხეთი | 1 |
| გორდა | 6 |
| ოდიში | 2 |
| დინამო | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| სამგურალი | 2 |
| იბერია | 3 |
| გურია | 1 |
| ტორპედო | 5 |
| დილა | 0 |
| ლოკომოტივი | 2 |

24 აპრილი, შაბათი

მერანი
ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 19 | 5 | 0 | 73:12 | 62 |
| ტორპედო | 24 | 16 | 4 | 4 | 57:21 | 52 |
| ლოკომოტივი | 24 | 13 | 10 | 1 | 31:12 | 49 |
| ბათუმი | 23 | 10 | 9 | 4 | 33:16 | 39 |
| კოლხეთი | 24 | 11 | 5 | 8 | 49:35 | 38 |
| მერანი | 23 | 8 | 9 | 6 | 23:21 | 33 |
| იბერია | 24 | 9 | 5 | 10 | 37:39 | 32 |
| დილა | 24 | 9 | 5 | 10 | 29:37 | 32 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 24 | 10 | 4 | 10 | 29:23 | 31 |
| არსენალი | 24 | 6 | 10 | 8 | 27:40 | 28 |
| სამგურალი | 24 | 7 | 3 | 14 | 22:43 | 24 |
| თსუ | 24 | 5 | 9 | 10 | 17:26 | 24 |
| გორდა | 24 | 5 | 9 | 10 | 20:34 | 24 |
| სიონი | 24 | 5 | 6 | 13 | 20:43 | 21 |
| ოდიში | 24 | 6 | 2 | 16 | 18:45 | 20 |
| გურია | 24 | 3 | 3 | 18 | 23:61 | 12 |

# დღეს რაგბი იწყებს

აჰა, როგორც იქნა, საშველი რაგბის ქართველ გულშემატკივრებსაც დაადგათ — დღეს ხომ ორგზის გადადებული საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იწყება. მავანი იტყვის, ნეტა რა გიხარიათ, დიდი ამბავი, თუ ჩემპიონატი იწყებაო, მაგრამ გამგები ხომ გაიგებს...

სამწუხაროა, მაგრამ პირველობაში ათის ნაცვლად ცხრა გუნდი ჩაებმება: „ყოჩები“, „დათვები“, ასკ, „ზორდა“, თსუ, „აია“, „რუსთავი“, ორი გუნდით იასპარეზებს თბილისის „ლოკომოტივი“. ვინც შარშანდელ პირველობას თვალყურს ადევნებდა, წლევანდელ გათამაშებაში იქნებ რამდენიმე მონაწილის სახელი ეუცხოოს. „ექსპრესმა“ „ლოკომოტივი“ დაირქვა, „გუმარი“ კი ამიერიდან „ზორდად“ იწოდება. ცხრა გუნდი ითამაშებს წლევანდელ ჩემპიონატშიო, გითხარით, მეათე — „დინამო“, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ფინანსური ვითარების მოუგვარებლობის გამო მოიხსნა გათამაშებიდან, რასაც ჩემპიონატის ჩატარების სისტემის ცვლილება მოჰყვა. ადრე მიღებული სამეტაპა პირველობის ნაცვლად წლევანდელი გათამაშება ორ ეტაპად გაიმართება. მეორე ეტაპზე საუკეთესო ოთხეული ოთხ წრედ ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოლებს, უარესი ხუთეულის ორი გამორჩეული კი გაისად წლევანდელი ჩემპიონატის ოთხ საუკეთესოსთან ერთად ექვსგუნდიან უმაღლეს ლიგას შექმნის. წლევანდელი სამი უარესი კი მომავალ პირველობაზე ჭაბუკთა ლიგის რამდენიმე გუნდთან ერთად მეორე ლიგაში დაქვეითდება. თუმცა ეს ყველაფერი გაისად, მანამდე კი... დღეს ორი მატჩია: თსუ „ლოკომოტივის“ პირველ გუნდს მასპინძლობს, „რუსთავი“ კი ჩემპიონ „ყოჩებს“ შეერკინება.



საქართველოს ჩემპიონატი

# 24 ტური

# ვის უქნია ამისთანა?

თბილისი
23 აპრილი
16 საათი
ეროვნული
700 (ტევადობა 75 000)

**დინამო 3:2 ვიტ ჯორჯია**

1:0 ალექსიძე (1), 2:0 წიტაიშვილი (53), 2:1, 2:2 გოჩაშვილი (58, 64), 3:2 ალექსიძე (79)
დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, დოდავა, მ. მაჭავარიანი, ა. სახვაძე, კიკნაძე (ჩომახიძე 76), ალექსიძე, პ. ჯინჭარაძე (გოგიჩაიშვილი 71), აშვეთია, ქებაძე (წიტაიშვილი 46)
*სათადარიგონი:* მამალაძე; ა. მუჯირი, ტულუში
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი (ერაძე 78), ზ. გვაზავა, დ. დოლიძე, მაზიაშვილი, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ი. კაპანაძე, ხაბულიანი, ა. ბოკერია
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. სილაგავა (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

კობა ინასარიძე

თბილისის „დინამომ" საჩემპიონოდ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა.

მათ ამჯერად უდავოდ პერსპექტიული თანაქალაქელები დაამწუხრეს და კონკურენტ „ტორპედოსთან" ათქულიანი სხვაობა ჯერჯერობით ისევ შეინარჩუნეს, თუმც კი ნერვიულობის ფასად. დინამოელებს თამაში რომ მოგებული ეგონათ, ახალგაზრდა ვიტელებმა სწორედ მაშინ გამოიღეს ხელი და ორბურთიანი უპირატესობა ფავორიტებს სულ ექვსიოდ წუთში გაუბათილეს. ორჯერვე გოჩაშვილმა იყოჩაღა, გვარამაძეს ერთსა და იმავე კუთხეში, ერთმანეთის მსგავსი კომბინაციების შემდეგ გაუტანა.

მიუხედავად ამისა ვიტელებს მაინც არაფერი გამოუვიდათ. უხურცილავოდ, აკობიას მომზადებულმა ჩემპიონებმა მეტოქეს უყურადღებობა არ აპატიეს. ისინი მატჩის საუკეთესო ალექსიძემ დასაჯა.

არადა, თამაშის დასაწყისში ალბათ ყველას ეგონა, „დინამო" ვიტელებს კუდით ქვას ასროლინებსო. მასპინძელთა პირველივე შეტევა ალექსიძის ულამაზესი გოლით დასრულდა: მარცხენა ფლანგიდან სახვაძემ ზედ ფეხზე დაასვა ბურთი საჯარიმოს ხაზთან მდგომ მეგოლეს, ალექსიძემაც მარცხენა ბურთს ჰაერში შეაგება, უძლიერესად დაარტყა და გაიტანა. ჭურაძე არც განძრეულა, იმდენად მოულოდნელი გამოდგა დინამოელთა კაპიტნის გადაწყვეტილება.

აბა, ვინ იფიქრებდა, პირველივე წუთზე დაწინაურებულთ საბოლოოდ ასე თუ გაუჭირდებოდათ, მაგრამ, ეტყობა, ახალგაზრდა ვიტელები სხვაგვარად ფიქრობდნენ. პირველი გაშვებული ბურთი რა სათქმელია და ისინი არც წიტაიშვილის გოლმა გატეხა. მეორე ტაიმში ქებაძის ნაცვლად მოთამაშემაც თანაგუნდელივით მეკარეს საჯარიმოს ხაზიდან გაუტანა — ჭურაძემ სველ მინდორზე ფეხი ვერ მოიკიდა და ნახტომი არ გამოუვიდა. ეგ იყო, რომ „დინამომ" საქმე მოთავებულად ჩათვალა და შეტევებსაც უკლო.

„ვიტ ჯორჯიამაც" ამით ისარგებლა. ჯერ მარცხენა ფლანგზე მოთამაშე დოლიძემ გაუწია ასისტენტობა გოჩაშვილს, რომელმაც ვაშაკიძეს მკერდით დაასწრო ბურთის გასწორება და გვარამაძესთან პირისპირ დარჩენილმა მიზანში მოარტყა. მერე კი, როცა „დინამო" ხელოვნური ოფსაიდის შექმნას ცდილობდა, მაზიაშვილმა იაზრა, ოდნავ შეყოვნდა და მცველებს შუა გაძვრენილი ბურთით თანაგუნდელს დუბლის შანსი მისცა. ვიტელთა ბომბარდირმა, თუმცა ბევრი მომენტების გამცუდებელმა გოჩაშვილმა არც მაზიაშვილს უმტყუნა და კვლავ მარცხენა კუთხეს დაუმიზნა. „ვიტ ჯორჯიას" გახარება მაშინ უნდა გენახათ. 79-ე წუთზე კი...

არჩილ სახვაძე — რატი ალექსიძის დუეტი უკვე მერამდენედ ამწარებს მეტოქეს. აშკარაა, ჩელსმოვლილ დინამოელებს სხვებზე მეტად ესმით ერთმანეთისა. ამის მაგალითი გუშინდელი მატჩიც გახლდათ. სახვაძემ, პირველი წუთის მსგავსად, ოღონდ ამჯერად თავზე დაასვა ბურთი პარტნიორს, რომელიც მეკარის ბაქანში ყველასაგან მიტოვებული აღმოჩნდა. ჭურაძემ ვერაფერი მოახერხა.

ცხადი გახდა, „დინამო" ამ უპირატესობას ქარს აღარ გაატანდა. მით უმეტეს, რომ მშობლიურ გუნდში მიბრუნებული კახა გოგიჩაიშვილი თავის ფლანგზე ალარავის აჭაჭანებდა. თუმცა კი 84-ე წუთზე „დინამო" გადარჩა — ვიტელთაგან საუკეთესო გვაზავამ კარიდან საკმაოდ მოშორებით დანიშნული ჯარიმიდან ისე ძლიერად დაარტყა, გვარამაძემ გაჭირვებით შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება.

ამის შემდეგ მატჩი დაწყნარდა, ვიტელებიც შეეგუენ ჩემპიონებთან მარცხს და თავი მეტად აღარ გამოუდვიათ. მიუხედავად ამისა კი — ყოჩაღ ვიტელებს! განა ბევრი გუნდი დაიკვეხნის, „დინამოს" ორბურთიანი სხვაობა გავუთანაბრეთო.



დინამოელ გიორგი კიკნაძეს (№7) მეკრატელა გაუცუდდა

# მერე რა, რომ ჰეგემი...

ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელ ნილს იოჰან სემბთან ვრცელი ინტერვიუ ზუსტად კვირის წინ კი შემოგთავაზეთ, მაგრამ მაშინ ნორვეგიელთა თბილისში წამოსაყვან შემადგენლობაუცოდინარებს რამდენიმე საკითხი გაურკვეველი დაგვრჩა.

წუხელ ქართველთა მეტოქის თავკაცს სწორედ ამიტომ დავუკავშირდით. მით უმეტეს, რომ გავიგეთ, სემბს გუნდი შეუთხელდაო...

**— თქვენი გაზეთებიდან შევიტყვეთ, თითქოს თქვენს მიერ გამოძახებული ჰეგემი, ჰენინგ ბერგი და ჰალანდი თბილისში არ ითამაშებენ. მათ ტრავმები აწუხებთო...**

— არა, ვინ თქვა? მხოლოდ ჰეგემი დაგვაკლდება, ბერგი და ჰალანდი კი ჯანზე არიან, თბილისში ორივე ჩამოვა.

**— ჰეგემი თქვენთვის დიდი ძალაა. მის შემცვლელად ვინ გეგულებათ?**

— სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ექიმები მაიმედებდნენ, ჰეგემს საქართველოსთან მატჩამდე ვუწამლებთო, პირიქით მოხდა — ტრავმა გაუმიზეზდა. მისი შემცვლელი კი არავინ მყავს და არც არავის ვეძებ: 17 ფეხბურთელით რომ ვაპირებდით თქვენთან სტუმრობას, ახლა 16 დაგვრჩა.

**— დარჩენილებს არაფერი აწუხებთ?**

— საბედნიეროდ, არა. თუ მატჩამდე არაფერი შეემთხვათ, ძალიან კარგი იქნება.

**— ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა თქვა, თბილისში უეჭველი უნდა მოგიგოთო. თქვენ კი, ამას წინათ, ფრეც დამაკმაყოფილებსო...**

— ბუნებრივია, მოსაგებად ძალებს არ დავზოგავთ. გამიხარდება, თბილისიდან სამი ქულა რომ წამოვიღოთ, მაგრამ სტუმრად თამაშიც გავითვალისწინე, თანაც საქართველოში. მე ფრე უფრო რეალური მგონია.

**— ერთსაც გკითხავთ აქ ჩამოსვლამდე. ნაკრებში ტორე ანდრე ფლოც გამოიძახეთ და სოლსკიაერიც. თქვენ კი თითქმის ყოველთვის ერთი თავდამსხმელით თამაშობთ. საქართველოსთან რომელს ამჯობინებთ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია. თუმცა გამორიცხული არაა, ქართველებთან ორივემ ითამაშოს. ამას საბოლოოდ სამშაბათს, მატჩის წინა ღამით გავარკვევ...



ნილს იოჰან სემბი

SCAN FOTO

 კობა ინასარიძე

# ომიდან ომში

28 აპრილს ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ერთი მნიშვნელოვანი მატჩიც შედგება. რიგის „დაუგავას" 5-ათასიან სტადიონზე ჩვენი ჯგუფის ლიდერი, ლატვიის ნაკრები აუტსაიდერ ალბანელებს უმასპინძლებს.

ეს თამაში, ალბათ გეცოდინებათ, ამავე დღეს ტირანაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ორიოდე კვირის წინ უეფამ ლატვიელთა თხოვნა გაითვალისწინა და სარისკო საომარი ვითარების გამო თანაჯგუფელთა მატჩიც რიგაში დანიშნა.

საამთამაშო მზადებას კი ჩვენებური მწვრთნელის გუნდი ოთხშაბათიდან შეუდგა. რევაზ ძოძუაშვილმა 25 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთაგან ოთხი ლეგიონერია.

მეკარეები: კარავაევსი („რიგა"), პედალსი, კოლინკო (ორივე „სკონტო"); მცველები: სტეფანოვსი, ი. ლაიზანსი, ბლაგონადეჟნისი, ზემლინსკისი (ყველა „სკონტო"), ლუკაშევიჩისი („ვენსპილსი"), ისაკოვსი („დინაბურგი"), ლობანოვსი, ივანოვსი (ორივე „შინიკი", რუსეთი), კავარავლისი, ვისიუკოვსი (ორივე „რიგა"), ზირნისი („ლიეპაია"); ნახევარმცველები: შარანდო („რიგა"), ასტაფიევსი, ბლეიდელისი, რუბინი (ყველა „სკონტო"), ტერენტიევსი („ვალმირა"), ბულდერსი („ლიეპაია"); თავდამსხმელები: პახარსი („საუთჰემპტონი", ინგლისი), შტოლცერსი („შახტიორი", უკრაინა), მიხოლაპსი („სკონტო"), ვერპაკოვსკისი, დაიბრეტოვსი („ლიეპაია").

რევაზ ძოძუაშვილი ალბანელებზე ინფორმაციის სიმცირეს არ უჩივის, მას ბარე ათჯერაც კი დაუტრიალებია საქართველო — ალბანეთისა და ნორვეგია — ალბანეთის მატჩების ფირი. „ძალიან კარგი გუნდია, დარწმუნებული ვარ, გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ ჯგუფის ლიდერები ვართ და ალბანელებთან უეჭველად უნდა მოვიგოთ. თუ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა გვსურს, 28-ში ქულების დაკარგვა არ შეიძლება. სტუმრებს უნდა ვეომოთ" — განუცხადა ქართველმა მწვრთნელმა ლატვიელ ჟურნალისტებს.

თუმცა კი, ლატვიის ნაკრებს ნახევარმცველ ბაბიჩევის გარეშე, ვფიქრობთ, გაუჭირდება. მას ოპერაცია გაუკეთებია. ძოძუაშვილსაც თურმე ეგ აღარდებს და ახლა მის შემცვლელზე ფიქრობს. მის გარდა საეჭვოა ბლეიდელისის, შარანდოსა და ასტაფიევსის თამაშიც.

კობა ინასარიძე

# საით მიდის ფეხბურთი?

გორი
23 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
2 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:2 ლოკომოტივი**

0:1, 0:2 გოდერძიშვილი (15, 49)
დილა: სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი (ვლ. სამხარაძე 52), გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (არუთინიანი 71), სულთანიშვილი, რ. ახალკაცი, შატაკიშვილი (ხიხალაშვილი 69)
*სათადარიგონი:* მდივანი; მ. მინდიაშვილი, აკოფიანი
ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (გილაური 87), ვ. კილასონია, კაციაშვილი (ნ. ბაქრაძე 84), კ. მელქაძე, დ. ბაქრაძე, დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე (შ. ხუჯაძე 46)
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; ხორგუაშვილი
გაფრთხილება: ბარნოვი (23), შატაკიშვილი (39), ფეზუაშვილი (44)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ო. მოლოდინაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

მამუკა კვანტალიანი გორიდან

გორში ჩასული და სამი ქულის წამომღები გუნდი ერთი-ორი თუ იქნება პირველ ჯგუფში. თუ „დილა" თამაშის იშტაზეა, შინ კი არა, სტუმრადაც ძნელი წასაქცევია, მაგრამ თუ ქართველები გაჯიქდნენ და ფეხბურთზე გული აიყარეს, მაშინ, ინებეთ, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ბატონო, სამი ქულა გნებავთ, ჩვენი თავი გენაცვალოთ, ბატონო — გულს არავის დაწყვეტენ.

ასეთი შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ „დილა" გუშინ არ თამაშობდა, მხოლოდ მეტოქეს ელაქუცებოდა.

არავინ იცის, რა იქნებოდა, მასპინძლებს რკინიგზელებისთვის ბრძოლა რომ გამოეცხადებინათ. არაა გამორიცხული, სტუმრებს ბრძოლაშიც მოეგოთ, მაგრამ თემურ მახარაძის გუნდი ახლა საუკეთესო დროებას რომ ვერ განიცდის, ფაქტია.

იდგა „დილა" მთელი ორი ტაიმი, დუმდა გორელი გულშემატკივარიც, ერთხელ „შეულრინეს" თანამსაჯს და პირველი ტაიმის მერე ნელ-ნელა დატოვეს ტრიბუნები.

თავს ვერ გამოვიდებ და ვერც დავამტკიცებ, რომ გორელებმა შეგნებულად დაუთმეს თამაში რკინიგზელებს. მესმის „დილას" ფეხბურთელების. პირველი წრიდან გადმოყოლილი ქულათა მარაგი სიმშვიდის საფუძველს იძლევდა, ახლა კი, როცა გუნდს რამდენიმე თვეა, ხელფასი არ მიუღია, არ ვარჯიშობს და ფეხბურთელები მხოლოდ თამაშის დღეს იკრიბებიან, ბევრსაც ვერაფერს მოსთხოვ. ოჯახებში თეთრი არ შეგვიტანია და ახლა მხოლოდ ის გვაკლია, ბრძოლაში ტრავმები ავიკიდოთ და მკურნალობისთვის საჭირო თანხა სასესხებელი გაგვიხდესო. მოდი და შეედავე.

თუმც ერთიც სათქმელია, თუ ყველაფერი ფეხებზე გკიდია და მინდორზე მოვალეობის მოხდის მიზნით გადიხარ, მაშინ ყველა გუნდისთვის ერთნაირი უნდა იყო, არ უნდა არჩევდე. საქართველოს ჩემპიონატი ამ გათამაშებით არ მთავრდება, აგვისტოც მალე მოვა და მერე საბოდიშოდ გახდება საქმე.

რაც შეეხება „ლოკომოტივს", თემურ მახარაძის გუნდს ამდენი საგოლე მომენტი მთელი ჩემპიონატის მანძილზე არ ჰქონია. რკინიგზელები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც მოესურვებოდათ, მაგრამ გამარჯვებას ძალების დაზოგვით რომ მიაღწიეს, ესეც სათქმელია.

სანამ სტუმრები დაწინაურდებოდნენ, მანამდე ჰამლეტ წივწივაძეს ჰქონდა ორი რეალური მომენტი, მაგრამ თავდამსხმელს არ გაუმართლა. გოლი კი ისეთი გავიდა, არავინ მოელოდა. მასპინძელთა დაცვამ ჩაიძინა, მოედნის შუაგულში არაზუსტი პასის შემდეგ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნა მოიწადინეს და გოდერძიშვილი სოლოლაშვილს პირისპირ შეატოვეს. თავდამსხმელმა შანსი გამოიყენა.

პირველ ტაიმში წივწივაძემ და გოდერძიშვილმა თითო ხელსაყრელი მომენტიც გააცუდეს, ორჯერ სოლოლაშვილმაც ივაჟკაცა და მეტიც არაფერი მომხდარა.

თამაშის განახლებიდან ოთხ წუთში გოდერძიშვილმა მუჯირის პასი შეირგი, მეკარეს და მცველს გაუგებრობა არ აპატია და მეორე გოლიც გაიტანა.

„დილა" დამარცხებას თავიდანვე იყო შეგუებული და თამაშის გამწვავება არც უცდია. „ლოკომოტივმა" სამი სახიფათო მომენტიც შექმნა, მაგრამ რკინიგზელ თავდამსხმელებს სოლოლაშვილმა აჯობა.

დამთავრდა თამაში და სტუმარ-მასპინძელი თავისი გზით წავიდა, საკითხავია, საით წავა ქართული ფეხბურთი?

თბილისი
23 აპრილი
16.23 საათი
ისანი
150 (ტევადობა 3 000)

## არსენალი 0:0 თსუ

**არსენალი:** ჩლაიძე, კოხრეიძე, ვ. გაგუა, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (თვალაბეიშვილი 80), აბაზაძე, ამირიძე, ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე; ყუფარაძე, გ. სულაძე, ხოსროშვილი
**თსუ:** გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ვ. ლუდუშაური, ნინუა, მაღრაძე, დ. გოგოლაძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* მერლანი; გონჩაროვი, ინწკირველი, ბუკია, თოლორაია, სვანაძე
**გაფრთხილება:** შაშიაშვილი (24), მაისურაძე (26), გველესიანი (82)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ა. ქარქაშაძე; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში


არმიელი კახაბერ ამირიძე (№9) თსუ-ელ კობა ნინუას გაურბის

# უფროსმა, არაო

ვანო ოქროპირიძე

მატჩი 23 წუთის დაგვიანებით დაიწყო, თუმცა ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას მკაცრი მოთხოვნა რომ არა, იქნებ საერთოდ არ გამართულიყო. მიზეზი? თბილისში ორი დღეა, თითქმის გადაულებლად წვიმს, რამაც „ისნის" სტადიონის მინდორი სულ დატბორა. მოედნის ზოგ მონაკვეთზე ისეთი გუბეები იდგა, ფეხბურთელებს წყალი კოჭებს დაუფარავდა. მატჩის ინსპექტორი ადიკ დურსუნიში ჩოლარიას დაუკავშირდა და ამის შესახებ აცნობა, მაგრამ უფროსისგან კატეგორიული პასუხი მიიღო, თამაშის გადადება გამორიცხულია. უკიდურეს შემთხვევაში ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყეთ, თუ არა „არსენალს" 0:3 წაგება ჩაეთვლებაო.

სტადიონის ხელმძღვანელებიც დაფაცურდნენ და როგორც შეძლეს, მინდორი მოაწესრიგეს (გუბეებს ბოლომდე მაინც ვერაფერი მოუხერხეს). ხუთის ათი წუთისთვის თამაშის დაწყება შესაძლებელი გახდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა არ მოსულიყო. მალე ისიც გამოჩნდა, თუმცა ახლა სხვა პრობლემამაც იჩინა თავი — ბურთი გამოდგა საკმარისზე მეტად დაბერილი და რამდენიმე წუთიც მის დაფუშვას დასჭირდა.

ხუთის ოცდასამ წუთზე კი თამაშის დაწყებასაც დაადგა საშველი. ჩემპიონატის მატჩები კარგ ამინდში რა სანახავია და ტალახში რა იქნებოდა, თავად წარმოიდგინეთ. კაცი გაიფიქრებდა, ქართველ ფეხბურთელებს როგორ მოუმატებიათ ფიზიკურად და რა სწრაფები გამხდარანო, იმდენად ხშირად ასწრებდნენ ბურთს, თუმცა ეს ყველაფერი წყლის ბრალი გახლდათ, რომელიც წამდაუწუმ აჩერებდა მას.

პირველი ტაიმი მთლიანად თსუ-ს უპირატესობით წარიმართა. სტუდენტებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა, რაც ძირითადად ნახევარდაცვის დამსახურება გახლდათ. მათ უკვე მე-4 წუთზე შეეძლოთ გატანა, მაგრამ ზამთარაძემ კარგი მდგომარეობიდან არაზუსტად დაარტყა. წუთის შემდეგ ჯარიმიდან ნინუას უძლიერესად გასროლილი ბურთი ასცდა მასპინძელთა კარს. სტუმრებს არც შემდეგ შეუწყვეტიათ შეტევები, მაგრამ ტაიმის შუაგულამდე სახიფათო ვერაფერი შექმნეს, 25-ე წუთზე კი გოგოლაძემ ითამაშა კარგად, საჯარიმოში შესულმა გაგუა მოატყუა, მაგრამ მან ფეხი წამოუდო თსუელს და წააქცია. შილაკაძემ ეს ეპიზოდი უყურადღებოდ დატოვა. მალე როსტიაშვილს შეეძლო ორჯერ გატანა, მაგრამ პირველად ჩლაიძემ ივარგა, მეორედ მცირედით ააცილა მიზანს. ტაიმის მიწურულს არმიელები ოდნავ გააქტიურდნენ, რასაც 38-ე წუთზე თსუ-ს კართან ხიფათი მოჰყვა. ამირიძე საჯარიმოს მისადგომებიდან შეეცადა კარის აღებას, მაგრამ ბურთი ძელმა მოიგერია, დამატებული კი გაბელიამ აიღო.

პირველისგან განსხვავებით მეორე ნახევარი „არსენალის" უპირატესობით წარიმართა. მასპინძლებს 46-ე წუთზევე შეეძლოთ გატანა, მაგრამ ტარიელაშვილის თავური ოდნავ არაზუსტი გამოდგა. მეტი მომენტი მასპინძლებს აღარც ჰქონიათ, თუმც ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. კონტრშეტევებზე მოთამაშე თსუ-ს კი ორჯერ მიეცა კარგი შანსი. პირველად კარის სიახლოვეს უყურადღებოდ მიტოვებული მაღრაძე ბურთის დამუშავებას მოუნდა დიდხანს და მცველებმა აღარ აცალეს. მეორედაც მან იაქტიურა. საჯარიმოშიც შევიდა, მაგრამ იქ გველესიანმა მოცელა. შილაკაძემ არც ამჯერად დანიშნა პენალტი, რის გამოც თსუ-ს მთავარი მწვრთნელის ოთარ გაბელიას სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა.


გუშინ „ისნის" მოედანიც და მისი შემოგარენიც ასე დატბორილი იყო

# ოჰ, ეს ტყუპები!

წყალტუბო
23 აპრილი
16 საათი
26 მაისი
1 500 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 2:3 იბერია

1:0 შენგელია (8), 1:1 ხუჭუა (16), 1:2 ს. გიგიაძე (39პ), 2:2 ქუთათელაძე (53), 2:3 ს. გიგიაძე (65)
**სამგურალი:** ასლანაძე (ბობოხიძე 39), მახვილაძე, ბურნაძე, (ზ. ქუთათელაძე 46), ლ. ქობულაძე (ფრანგიშვილი 20), ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია, გიორგობიანი, სუხიაშვილი, გ. შენგელია
*სათადარიგონი:* დარსაძე, ჯავახაძე, გლუნჩაძე, მ. ჯინჭარაძე
**იბერია:** ვარდანიძე, მუმლაძე (ნიკოლეიშვილი 13), ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ვარდიაშვილი (ვ. გიგიაძე 12)
*სათადარიგონი:* გ. დოლიძე; ნ. გიორგაძე
**გაფრთხილება:** ს. გიგიაძე (16), კილასონია (18), ლურსმანაშვილი (25)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

წყალტუბოელებს ჯერაც არ განელებიათ თასის ნახევარფინალში „ლოკომოტივის" ძლევით გამოწვეული სიხარული. „სამგურალის" ეს წარმატება უდავოდ დასაფასებელია, მაგრამ ეს თასზე იყო და ახლა გუნდს მეორე ფრონტზე — ჩემპიონატშიც მართებს დიდი გარჯა, თორემ სახიფათო ზონაში იმყოფება და ჯგუფში ადგილის შენარჩუნება, შესაძლოა, საპრობლემოც გაუხდეს.

ახლო მეზობელ „იბერიასთან" სათამაშოდ მასპინძლები ამაყად გამოვიდნენ, ზუსტად იმ შემადგენლობით, რაც სამი დღის წინ „ლოკომოტივთან". თითქოს კარგადაც დაიწყეს. სამტრედიელთა კარს უკვე მე-4 წუთზე შეექნა რეალური საფრთხე. გიორგი კილასონიამ საჯარიმოს შიგნიდან დაურტყა „იბერიას" დებიუტანტ ვარდანიძეს, მეკარემ იმარჯვა და მოიგერია, მაგრამ ბურთი მცველებისგან უყურადღებოდ მიტოვებულ გიორგი შენგელიას მიუვიდა, მანაც ახლოდან ძლიერად დაამატა და... ბურთმა ხარიხას წაჰკრა. ოთხ წუთში წყალტუბოელებმა მეორე მძლავრი იერიშიც მიიტანეს მეტოქის კარზე. ძაგნიძემ მარჯვნიდან შეუტია და საჯარიმოში შეაღწია თუ არა, კილასონიას უპასა დასარტყმელად. ვარდანიძემ ამჯერადაც მოიგერია, მაგრამ რაღა გინდა, შენგელიამ დასწრებაზე ისევ აჯობა მცველებს და თავურით ანგარიშიც გახსნა.

ვერ გეტყვით, რა იფიქრა ამ მომენტში „იბერიას" მწვრთნელმა, მაგრამ სულ ცოტა ხანში ფრუიძემ მიყოლებით ორი შეცვლა გააკეთა. მარცხენა მცველ მუმლაძის ნაცვლად ნიკოლეიშვილი გამოიყვანა და უმალ მარჯვნივ გაამწესა, ხოლო წუთით ადრე მარჯვენა ნახევარმცველი ვარდიაშვილი რომ „დაასვენა", ვასო გიგიაძეს მისცა თამაშის საშუალება. დიახ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რაც „ოდიშთან" მეორე წრის სასტარტო მატჩში მიღებული ტრავმით იყო გამოწვეული, ვასო ყვლავ გამოჩნდა „იბერიას" შემადგენლობაში და, ვაი „სამგურალის" დაცვას, ტყუპისცალმა მას გამოსვლისთანავე შავი დღე აყარა. მე-15 წუთზე ვასო ასლანაძესთან პირისპირ გადიოდა, მცველმა იგი საჯარიმოში წააქცია, მაგრამ მსაჯმა, რატომღაც, უყურადღებოდ დატოვა ეს მომენტი. ორ წუთში ვასო ძმას სოსოს ტოვებდა ასლანაძესთან ერთი ერთზე, ბურნაძემ ისლა მოახერხა, მოიერიშე აკრძალული ხერხით შეაჩერა. ტრიბუნებიდან ისე ჩანდა, ეს საჯარიმოს შიგნით მოხდა, მაგრამ გუნთაძემ სხვაგვარად განსაჯა, გარედან, ხაზთან ახლო დასდო ბურთი. სამართალმა პური მაინც ჭამა. ხუჭუას ტყვიასავით გასროლილი ბადეში გაეხვა. აქედან მოყოლებული თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მასპინძლები გადაღლილები ჩანდნენ, ტემპიან თამაშს ვერ ახერხებდნენ, მაგრამ დროდადრო მაინც უქმნიდნენ ხიფათს „იბერიას" კარს. 25-ე წუთზე კილასონიას ჰქონდა გატანის კარგი შანსი, ათიოდე მეტრიდან ძლიერად დაარტყა, თუმც ვარდანიძემაც არანაკლებად ითამაშა, ურთულესი ბურთის კუთხურზე გადაგდება შეძლო.

მასპინძლებს არადა, იბერიელებს პირველ ტაიმში ერთხელაც გაუმართლათ. თუმცა, რაღა გამართლება ჰქვია. ტყუპებმა ითამაშეს ოსტატურად. ვასომ საჯარიმოს წინ ზუსტი გადაცემა გაუკეთა სოსოს, ისიც მცველს დაუსხლტა და მეკარესთან პირისპირ გავიდა. ასლანაძეს სხვა გამოსავალი არც ჰქონდა, მოიერიშეს ფეხებში ჩაუვარდა და წააქცია. ფოლი აშკარა იყო და გუნთაძემაც 11-მეტრიანზე მიუთითა. პენალტი დაზარალებულმა შეასრულა, დინჯად და ზუსტად. ბობოხიძე უძლური იყო. დიახ, სოსო გიგიაძესთან შეტაკებისას ასლანაძე თავად დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

რაღა თქმა უნდა, მოვლენათა ასეთი განვითარება „სამგურალს" ხელს არ აძლევდა. სამეორტაიმოდ მასპინძლებმა თავდასხმა ზვიად ქუთათელაძით გააძლიერეს. ახალგაზრდა ფორვარდი ბევრს შრომობდა სტუმართა საჯარიმოში და, აკი, დაუფასდა კიდეც. კილასონიას მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებული მცველებს გადასცდა და მეკარის ბაქანთან ჩასაფრებულმა ქუთათელაძემ ეფექტური თაურით გაათანაბრა ანგარიში. მერე...

ოჰ, ეს ტყუპები! გიგიაძეები გუშინ რისხვად მოევლინენ „სამგურალს". ვასოს გრძელი სოლო რეიდი სტუმართა საჯარიმოს წინა ხაზიდან კარისკენ ძლიერი დარტყმით დასრულდა, ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა და უკან გადმოვარდა, აქ კი სოსომ იმარჯვა, დაახლოებით 22 მეტრიდან მყისვე დაარტყა და მოსაგერიებლად მოუმზადებელ ბობოხიძეს მარცხენა ცხრიანში გაუტანა.

დრო საკმარისი იყო და თამაშში გარდატეხის შეტანა შეიძლებოდა, მაგრამ „სამგურალს" ამის ძალა აღარ ჰქონდა. „იბერიასთან" სარევანშოდ გამზადებულ წყალტუბოელებს ამჯერადაც მოეცარათ ხელი.


ზვიად ქუთათელაძემ სამტრედიელებს ანგარიში თავურით გაუთანაბრა



ზაზა პატარიძე ზუგდიდელებს მკრატელა გაუტანა

# მაინც არ გავვარდებითო!

რუსთავი
23 აპრილი
16 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 6:2 ოდიში**

1:0 მიშველიძე (10), 2:0 პატარიძე (24), 3:0 მელაძე (28), 4:0 სიდამონიძე (44 პ), 4:1 კვეკვესკირი (49), 5:1 ზირაქაძე (68), 5:2 გვიჩია (78), 6:2 ინასარიძე (86)
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, კ. ჩიგოშვილი, სიდამონიძე, მ. გაბელაია (ბექაური 71), ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (ლაბაძე 66), პატარიძე (ლ. ალადაშვილი 69), მიშველიძე
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე; მ. სახვაძე, მენთეშაშვილი, სიმონიშვილი
ოდიში: ნაყოფია, ლურწკაია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე (ცაცუა 46), ჯავაშვილი, აკობია, ტაბალუა, კუტალია, იოსავა, კაკულია (გოგოხია 46), გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია; შელია, ალანია
გაფრთხილება: აკობია (72), მელაძე (80), ტაბალუა (89)
გაძევება: მიშველიძე (29), ლურწკაია (29)
მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

გიორგი ვაშაკიძე რუსთავიდან

...ერთბაშად 8 ბურთი „ფოლადის“ სტადიონზე შარშანდელი 15 ნოემბრის მერე არ გასულა. მაშინ რუსთავს XIV ტურის მატჩში „ტორპედო“ სტუმრობდა. ქუთაისელებმა „გორდა“ საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ 7:1 შეარცხვინეს, ახლა კი მასპინძლებმა თავაწეულებმა დატოვეს მშობლიური სტადიონის გავერანებული მინდორი. ამ დღეს „გორდამ“ თავისთვის ერთობ არასასიამოვნო სერია შეწყვიტა — რუსთაველებმა 6 ტურის მანძილზე ვერ მოახერხეს მეტოქეთა კარში ბურთის გატანა. ყოველივე ამას 550 წუთი მოანდომეს. ბოლოს „გორდამ“ XVII ტურში „სამგურალს“ გაუტანა ორი გოლი, მას შემდეგ კი...

ალბათ, შეხსენებაც არ არის საჭირო, რა მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის გუშინდელ შეხვედრას. მანამდე მასპინძლები ოდიშართ ერთი ქულით და გათამაშების ცხრილში ორი საფეხურით უსწრებდნენ. როგორც „გორდა“, ისე „ოდიში“ ლიგიდან გასავარდნ სახიფათო ზონაში ყურყუტებენ. ასე რომ, „ფოლადზე“ მოსული მცირერიცხოვანი მაყურებელი პრინციპული მატჩის საცქერლად კი გაემზადა, მაგრამ „გორდამ“ მათ ცივი წყალი გადაასხა. რუსთაველებს უპირატესობას „საკუთარი სტადიონის“ ფაქტორი თუ ანიჭებდა, თორემ ასეთ მოგებას, ალბათ, თვით გორდელებიც კი არ ელოდნენ. ის კი არა, მატჩის ბოლოსკენ შეგულიანებული ქომაგი სტუმართა კარში მეშვიდე ბურთის გატანასაც ითხოვდა.

ზუგდიდელებზეც ვთქვათ. ცუდი დრო უდგას „ოდიშს“, მათ ასეთი დაბეჩავებული გუნდი კარგა ხანია, არ ჰყოლიათ. მწვრთნელიც, სოსო ჭედიაც ცოდვაა. როდემდე უნდა ათამაშოს შიშველ ენთუზიაზმზე მყოფი ბიჭები. ფეხბურთელებიც ხათრს ვერ უტეხავენ მწვრთნელს. ერთი კი მაინც უნდა ვიკითხოთ, ნუთუ, მართლა არ მოიძებნება ზუგდიდში კაცი, რომელსაც გუნდის შველა ხელეწიფება. ნუთუ, მართლა „ოდიშის“ პრეზიდენტს თუ პრეზიდენტყოფილ ვახტანგ ნანავას „ამბიციებს“ ეწირება „ოდიში“. წიწილებს ბოლოში ითვლიანო, ნათქვამია, ჰოდა, ჩემპიონატის ბოლოც მოვა და თუ „ოდიში“ ჯგუფიდან გავარდა, მერე ეგებ გვიანიც კი იყოს თავში ხელის შემორტყმა, ვავა, ეს რა დაგვემართაო. თუმცა ზუგდიდური გუნდის ტექნიკური დირექტორი, „ოდიშის“ სული და გული ჯემალ გოგია იხტიბარს არ იტეხს, მაინც არ გავვარდებითო. ვნახოთ, იქნებ ასეც მოხდეს.

თავად მატჩზე კი რა მოგახსენოთ, რვავე გოლის აღწერას ნამდვილად არ მოვყვები, უბრალოდ, რუსთაველ ზაზა პატარიძის 24-ე წუთზე გატანილ გოლს გამოვყოფ. მისი ნახვა ერთ რამედ ღირდა. მთელი თამაშის მანძილზე მასპინძელთაგან საუკეთესო მამუკა მელაძემ სტუმართა საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდა, იქ მას პატარიძე შეეგება და „მაკრატელათი“ ულამაზესი გოლი გაიტანა ნაყოფიას კარში — ძელიდან ასხლეტილ ბურთს მეკარემ მხოლოდ თვალიღა გააყოლა.

რატომ გააძევა მსაჯმა 29-ე წუთზე ორივე გუნდის ფეხბურთელები? ორივე გაძევებულმა — მიშველიძემ და ლურწკაიამ ისეთი ჩხუბი გამართეს, ამ რამდენიმე ხნის წინ სპორტის სასახლეში ჩატარებულ ბრძოლას მოგაგონებდათ. ასკაროღლისაც რა უნდა ექნა, ადგა და ორივე მოჩხუბარი მინდვრიდან გასახდელში მიაბრძანა.

ერთიც, ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რატომ უხდება ყოველი თამაშის წინ მატჩის ინსპექტორს კარის ძელების შემოწმება, სტანდარტია, თუ არაო. ამას არ აჯობებს, ერთხელ და სამუდამოდ შემოწმდეს და მერე არ დასჭირდეს მილჩენკოს და კომპანიას სტადიონის მომსახურე პერსონალისთვის იმის თქმა, საზომი და ბარ-ნიჩაბი მომიტანეთო.

# რა საჭირო იყო სტიმული?!

ლანჩხუთი
23 აპრილი
16 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

**გურია 1:5 ტორპედო**

0:1 ვაჩიბერაძე (42); 0:2 მეგრელაძე (47); 1:2 დ. მახარაძე (50), 1:3, 1:4 ჯანაშია (52, 81), 1:5 იმედაძე (88)
გურია: ნიკურაძე, გულორდავა, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ჭიაბრიშვილი (ძოძუაშვილი 72), კ. სვანიძე, შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ფირცხალაიშვილი 74), ბოლქვაძე
*სათადარიგონი:* გოგუა; მაჩიტაძე, ბერძენიშვილი
ტორპედო: ქანტურია, ახვლედიანი (ჩხაბერიძე 77), ხვადაგიანი, შეყრილაძე, ჩხეტიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია (იმედაძე 82), თურმანიძე, მეგრელაძე (კ. მეტრეველი 80), ვაჩიბერაძე
*სათადარიგონი:* სტურუა; კ. ჯანაშია, მაზანიშვილი
გაფრთხილება: ბოლქვაძე (30), სვანიძე (57), მაღლაკელიძე (89)
მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

ჯერ მატჩის ინტრიგაზე ვთქვათ. „გურია“ რომ სულს ლაფავს და ინერციით მიჰყვება ჩემპიონატის მსვლელობას, ეს ცხადია. ოღონდ აქ ორი გარემოებაა განსაკუთრებით აღსანიშნავი. პირველი ის, რომ გურულებს პირველ ჯგუფში დარჩენის თეორიული შანსი (ვაი, ასეთ შანსს) ამ თამაშამდე კიდევ გააჩნდათ, მეორე და, ალბათ, უმთავრესი, რის გამოც ისინი შეძლებისდაგვარად გაიბრძოლებდნენ იმერლებთან, „ლოკომოტივის“ ფაქტორი იყო. დიახ, ბევრი იმასაც გაიძახოდა, თბილისელები „ტორპედოსთან“ სამქულიანი ჩამორჩენის ლიკვიდაციასაც მათი ერთ-ერთი მეტოქის სტიმულირებით, თუნდაც ფულადით, ეცდებიანო.

ისე, ისიც სათქმელია, რომ რა სტიმულიც არ უნდა ჰქონოდა გუშინ „გურიას“, მისი მონდომება მეტოქის კლასს ვერ დაფარავდა. „ტორპედომ“ მეორე წრეში ცუდი გამოსვლით თავად გაიფუჭა საქმე. წინა ტურში „არსენალის“ ვერძლევამ, „გურიასთან“ შესაძლო წაფორხილებასაც ფასი მისცა. ფაქტი იყო, რომ ქუთაისელები ასეთ შეცდომას ნამდვილად აღარ დაუშვებდნენ. მათ თავიდანვე, როგორც ლიდერს აუტსაიდერთან მატჩში სჩვევია, ისე დაიწყეს და უკვე მე-5 წუთზე მაღლაკელიძის მოჭრილი დარტყმა ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარს. დავასწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ იმერლები მთელ პირველ ტაიმში თამაშის ბატონ-პატრონები იყვნენ, ხოლო რას მიაღწიეს მათ ამ უპირატესობით, ეს სხვა საქმეა. „ტორპედო“ აშკარად ვერ ირჯებოდა ისე, როგორც სჩვევია. მათი შეტევები სულ უფრო ქაოსურ სახეს ატარებდა და კარში სახიფათო დარტყმამდე საქმე ხშირად არ მიდიოდა. ყველაზე რეალური შანსი კი ამასობაში გურულებს მიეცათ, სადღაც ტაიმის შუაწელში ენუქიძემ დათო მახარაძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, სტუმართა მცველებს თამაშგარე ეგონათ, მაგრამ შეყრილაძე აშკარად ჩარჩა, საბოლოოდ მახარაძემ მეურვე კი ჩამოიშორა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადააცილა. „ტორპედომ“ ტაიმის მიწურულს თავისი მაინც გააკეთა. საჯარიმოში ჩამოწოდებული ბურთისკენ ჯანაშია და ვაჩიბერაძე ერთდროულად გაეშურნენ და ორივემ ლამის ერთდროულად დაარტყეს თავი, თუმცა გოლი ვაჩიბერაძეს ჩაუთვალეს, ხოლო ჯანო მხოლოდ თავის მცირე ტრავმას გამორჩა.

მეორე ტაიმის დაწყებას მეტოქეთა შესაშური გააქტიურება მოჰყვა და უკვე ორ წუთში ამ დუეტმა მეორე გოლი შექმნა. მარცხენა ფლანგზე ვაჩიბერაძის დაწყებული შეტევა ჯანაშიამ გააგრძელა და ეფექტურად, ქუსლით მეგრელაძეს დაუტოვა, რომელმაც საჯარიმოს გარედან აუღებელი დაურტყა ნიკურაძეს. სამ წუთსაც არ გაევლო, დავით მახარაძემ კახიანს „ტორპედოს“ საჯარიმოს ხაზთან ჯარიმა რომ დასტყუა და თავადვე გარდასახა იგი გოლად — 1:2. თუმცა ვაჩიბერაძე — ჯანაშიას დუეტი შეუჩერებელი იყო და ორ წუთში პირველის ჩამოწოდებულ ბურთს მეორემ ჩინებული აბრაგანი ამოსცხო და ფაქტობრივად ყველაფერი ნათელი გახდა.

ამის შემდეგ „ტორპედომ“ ჩვეულად გაილაღა და ლანჩხუთელებს ამას წინათ ორ იმერულ კლუბთან განცდილ კოშმარზე უარესი დამართა. „გურია“ მთელი გუნდით წინ წავიდა და უკანა ხაზი მოაშიშვლა. ადვილი წარმოსადგენია, დაცვის გარეშე დარჩენილ ლანჩხუთელებს „ტორპედო“ რას უზამდა. ქუთაისელებმა მათ კართან უამრავი მომენტი შექმნეს. განსაკუთრებით ჯანაშიას და მეგრელაძეს მართებდათ გატანა, მაგრამ რეალური მომენტები ორივემ ქარს გაატანეს. თუმცა ჯანაშიამ მოგვიანებით ერთი მაინც გაიტანა. ვაჩიბერაძის კარის გასწვრივ ჩაწოდების შემდეგ ნიკურაძე გამოსვლაზე შეცდა, ჯანაშიასაც ცარიელ კარში ბურთის შეგორება არ გასჭირვებია. გოლის გატანისთანავე ჯანაშიამ თავისი ადგილი ახალგაზრდა იმედაძეს დაუთმო და ამ მართლაცდა იმედისმომცემმა თავდამსხმელმა გასაცოდავებულ „გურიას“, თითქოს ოთხი არ კმაროდაო, მეხუთე გოლი გაუტანა.

თამაშის შედეგის გაცნობის შემდეგ ბევრი იტყოდა, რის სტიმული, რა „ლოკომოტივიო“, მაგრამ აქ ერთიც არის აღსანიშნავი, ახალგაზრდა გურულებს ცდა და მონდომება ნაღდად არ დაუკლიათ, მრისხანე ტორპედოელებს როგორც შეეძლოთ, ისე ებრძოდნენ, ოღონდ რა გამოუვიდათ აქედან, ეს სხვა საკითხია. ისე კი სტიმული რაღა საჭირო იყო, როცა ამ ბიჭების უმეტესობა ჯერ კიდევ „ლოკომოტივის“ საკუთრებაა.

# თავს მიენდე ბრძოლაში!

ბოლნისი
23 აპრილი
16 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:1 კოლხეთი**

0:1 შავგულიძე (47), 1:1 გაგუა (61)
სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, ე. ჯაფარიძე (ხიდაშელი 71), მ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, ისიანი, მოსეშვილი (ლ. გაგუა 59)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; სულთანოვი, დ. ჯაფარიძე, დ. სვანიძე, ხარებაშვილი
კოლხეთი: მ. გვასალია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, ღაღანიძე, მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ბულუხია), ე. გვასალია
*სათადარიგონი:* ჩემია; ჩაგანავა, ბაჩილავა, თედეევი, ბურკვაძე
გაფრთხილება: ე. გვასალია (9), ყიფშიძე (58)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ო. ხეცაძე (ბორჯომი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ხვიჩა სანიკიძე ბოლნისიდან

კარგ ფეხბურთელს ფეხით თამაშიც უნდა ემარჯვებოდეს და თავითაც. მავანი იკითხავს, მარადონა თავით თამაშისას ვერ ვარგობდა, მაგრამ არ იყო დიდი ფეხბურთელიო? კი, ბატონო, დიეგო არმანდოს სიდიადეში ყველასთან ერთად არც მე მეპარება ეჭვი, მაგრამ მერწმუნეთ, გუშინდელ „სიონი“ — „კოლხეთის“ შეხვედრაში არგენტინელი სუპერვარსკვლავიც საცოდავი სანახავი იქნებოდა. ეს დალოცვილი ბოლნისური მიწა რომ ისეთი ფეთქებადი ყოფილა, ამაში უკვე მეორედ დავრწმუნდი. საკმარისია, ოდნავ დანამოს ზეცამ და ისე ლიზიანდება და აიზილება, -მტრისას.

როცა „დინამო“ სტუმრობდა ბოლნისს, მაშინაც საშინელი ტალახის გორები დადგა „თემურ სტეფანიაზე“ და მარადმა ჩემპიონმა სასწაულებრივად შეძლო „სიონის“ დამარცხება. „კოლხეთსაც“ იგივე პირობებში მოუწია პაექრობამ. რბილი სათამაშო მანერის მქონე ტექნიკურ ფოთელებს ნახევარი საათი დასჭირდათ, ოდნავ მაინც რომ შეჩვეოდნენ ტალახზე ბურთის გორებას, მასპინძლები კი, მათგან განსხვავებით, ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თევზი წყალში. ისე, პირველ ნახევარში „სიონის“ მეკარე გუგუნავას მართლაც ერჩივნა, თევზი ყოფილიყო, რადგან მისი კარის ხაზთან სადგომში საკმაოდ მოზრდილი გუბე იდგა... თუმცა ბოლნისელთა მეკარემ რომ ერთხელაც არ დაარღვია დაგუბებული წყლის მყუდროება, ამაში დიდი წვლილი კოლხებს მიუძღვით. მთელი პირველი ტაიმი გუგუნავა უსაქმოდ იყო, დიდი ჯაფა არც მის ფოთელ კოლეგას დასდგომია, მაგრამ გვასალიას კართან უფრო ხშირად სტუმრობდნენ მასპინძლები. ერთი პერიოდი სტუმართა დაცვა აიჭრა კიდეც, მაგრამ ქობულაძე აზღვევდა თანაგუნდელებს.

ტაიმი უკომპრომისო ბრძოლასა და მაღალ ტემპში ჩაილია. ორივე გუნდის ფეხბურთელები გულიანად ირჯებოდნენ, მაგრამ უჭირდათ ერთმანეთთან უჯარიმოდ თამაში და ტალახზე ფეხის მყარად მოკიდება. პირველმა ნახევარმაც ფეხით ბურთის გორებას უარყოფითი შეფასება მისცა და მწვრთნელ-ფეხბურთელობა თავით თამაშის აუცილებლობაში დაარწმუნა.

მეორე ტაიმში იძალა საჯარიმოში მაღალი ბურთის ჩაწოდების ტაქტიკამ. 47-ე წუთზე კალანდაძემ კარგად შენიშნა მცველებისგან უყურადღებოდ დატოვებული შავგულიძე და ბურთი თავზე დაასვა, შავგულიძემ კი ოსტატურად გადაუგდო წინ გამოსულ გუგუნავას და ანგარიშიც გახსნა — 0:1.

ამის შემდეგ თითქოს „კოლხეთს“ არ უნდა გასჭირვებოდა გამარჯვება, მაგრამ „სიონის“ სათადარიგოთა სკამზე გამწესებული გაგუა სხვაგვარად ფიქრობდა. მისი მოედანზე შეშვება და პატარა ცეცხლის დანთება ერთი იყო. შემოსვლიდან ორ წუთში გაგუამ მარცხენა ფლანგზე ჯარიმა „აჰკიდა“ მეტოქე მცველს. ჯარიმიდან ბურთი მირზა სამხარაძემ ჩააწოდა, აქ კი ტანმორჩილმა გაგუამ ყველას აჯობა, დაახლოებით თერთმეტი მეტრიდან ულამაზესი თავურით ბურთი ცხრიანში გაიტანა — 1:1.

დარჩენილ დროში „კოლხეთი“ უკეთ გამოიყურებოდა. სტუმრები უფრო აზრიანად ახორციელებდნენ შეტევებს, ბოლნისელები კი სისწრაფის ხარჯზე ცდილობდნენ, კონტრშეტევებით გამოეჭირათ მეტოქე, მაგრამ მეტწილად თამაშგარე მდგომარეობაში ასრულებდნენ იერიშებს.

ფოთელებს შეეძლოთ გამარჯვების გოლის გატანა. ანჯაფარიძე მარჯვნიდან შეიჭრა და საჯარიმოში მყოფ ბულუხიას ზუსტად გადააწოდა ბურთი, მან კი რატომღაც დარტყმა არ „ისურვა“ და მისგან განსხვავებით ცუდ პოზიციაში მდგომ ღაღანიძეს დაუგორა. მას კი მეკარემ აულო.

მეკარეების ნადავლი გახდა ბოლნისელი შაკიაშვილისა და ფოთელი ქობულაძის თავურებიც.

არადა, ფრე არც ერთ გუნდს აწყობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადასარევი ამბები ოსლოდან

## ვიკინგებიც აირ-დაირივნენ!

### სემბს უკვე გამოაკლდა ლივერპულელი ჰეგემი. მას შეიძლება მანჩესტერელი ბერგი და ლიდსელი ჰალანდიც მიჰყვნენ

გუშინ ნორვეგიულმა „**DAGBLADET**“-მა ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის მეტად სასიხარულო ამბავი გაავრცელა. თუ გაზეთის საფეხბურთო მიმომხილველ ლინ ფრანსონს დავუჯერებთ, ნორვეგიის ნაკრები თბილისში თამაშამდე 4 დღით ადრე ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩენილა. ნაკრების თავკაცმა ნილს იოჰან სემბმა შესაძლოა ერთბაშად ძირითადის სამი ფეხბურთელი მოისაკლისოს.

„**DAGBLADET**“-ი კატეგორიული ტონით იუწყება, „ლივერპულელი“ ვეგარდ ჰეგემი თბილისში თამაშს ვერ შეძლებს, ამას წყალი არ გაუვაო. ნახევარმცველს, რომელსაც ნაკრებში 8 თამაში ჩაუტარებია და 1 გოლიც გაუტანია, მეტად გაღიზიანებია მტკივანი ფეხი და ინგლისში დარჩენილა.

ვიკინგებმა შეიძლება დაკარგონ ნაკრების დაცვის ერთ-ერთი ბურჯის, მანჩესტერიუნაიტედელი ჰენინგ ბერგიც. 29 წლის ვეტერანის ანგარიშზე 61 მატჩი და 6 გოლია. ბერგიც ტრავმას გაუწვალებია, იგი „წითლების“ რიგებში 12 აპრილიდან არ გამოჩენილა.

დაშავებულია „ლიდს იუნაიტედის“ მცველი, 26 წლის ალფ-ინგე ჰალანდიც. კარგა ხანია, არც მას უთამაშია. ჰალანდს ნაკრებში 31 მატჩი გაუმართავს.

ჰეგემის დაკარგვით შეშფოთებულ სემბს მაინც აქვს იმედი, რომ 28 აპრილისთვის ჰალანდს და ბერგს თბილისში იახლებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 23 აპრილს მოსული ფაქსის თანახმად, ნორვეგიელებმა ჰეგემი, ბერგი და ჰალანდი ოფიციალურ განაცხადში შეიყვანეს.

არის თუ არა „**DAGBLADET**“-ის ინფორმაცია სიმართლე, ორშაბათს გამოჩნდება, როცა ვიკინგები თბილისს ეწვევიან.

მანამდე კი ნორვეგიაში გაცხარებით ბჭობენ, ვის უნდა დაეყრდნოს სემბი თავდასხმაში — მანჩესტერელ სოლსკიაერს თუ ჩელსელ ფლოს. მასმედია თავს იმტვრევს იმაზე, ვინ უფრო ძლიერია — ფლო, რომელმაც „მალიორკასთან“ ითამაშა და წააგო, თუ სოლსკიაერი, რომლის მანჩესტერმაც „იუვე“ შეიწირა, მაგრამ თავად ნორვეგიელი მოედანზე არ შეუყვანიათ.

გუშინვე „**DAGBLADET**“-მა მთელ ნორვეგიას ამცნო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ვოვა გუცაევის გადაწყვეტილება, რომ იგი 28 აპრილს ნორვეგიასთან მატჩის შედეგის მიუხედავად, თანამდებობიდან გადადგება. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამის მიზეზი სლოვენიასთან ნათამაშები ფრე და „ნიუკასლის“ ქართველი ფორვარდის, თემურ ქეცბაიას უარი, სათამაშოდ არ ჩამოვალო, ყოფილა. „**DAGBLADET**“ დასძენს ქართველთა გუნდში შექმნილმა ვითარებამ შეიძლება ნორვეგიელებს გამარჯვება ერთობ გაუადვილოსო.

**სიმონ მენაბდე**



თომას მირე
მეკარე
16.10.73
ევერტონი (ინგლისი)
ნაკრებში 4 მატჩი



ფროდე ოლსენი
მეკარე
12.10.67
სტაბეკი (ნორვეგია)
ნაკრებში 3 მატჩი



ჰენინგ ბერგი
მცველი
01.09.69
მანჩესტერი (ინგლისი)
ნაკრებში 61 მატჩი, 6 გოლი



ანდრე ბერგდოლმო
მცველი
13.10.71
რუსენბორგი (ნორვეგია)
ნაკრებში 8 მატჩი



რონი იონსენი
მცველი
10.06.69
მანჩესტერი (ინგლისი)
ნაკრებში 41 მატჩი, 2 გოლი



ერიკ ჰოფტუნი
მცველი
03.03.69
რუსენბორგი (ნორვეგია)
ნაკრებში 11 მატჩი



ალფ-ინგე ჰალანდი
მცველი
23.11.72
ლიდსი (ინგლისი)
ნაკრებში 31 მატჩი



ტორე პედერსენი
მცველი
29.09.69
აინტრახტი (გერმანია)
ნაკრებში 42 მატჩი



ვეგარდ ჰეგემი
ნახევარმცველი
13.07.75
ლივერპული (ინგლისი)
ნაკრებში 8 მატჩი, 1 გოლი



ერიკ მიუკლანდი
ნახევარმცველი
21.07.71
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
ნაკრებში 59 მატჩი, 2 გოლი



სტეფენ ივერსენი
ნახევარმცველი
10.11.76
ტოტენჰემი (ინგლისი)
ნაკრებში 3 მატჩი



ვიდარ რისეტი
ნახევარმცველი
21.04.72
სელტიკი (შოტლანდია)
ნაკრებში 13 მატჩი, 2 გოლი

ბადრი ქითიაშვილის ფოტო



თბილისი. 1996 წლის 6 აგვისტო. უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. თბილისის „დინამოსა“ და „მოლდეს“ კაპიტნები: ირაკლი ზოიძე და პეტერ რუდი

პეტერ რუდი
ნახევარმცველი
17.09.73
შეფილდ უენსდეი (ინგლისი)
ნაკრებში 22 მატჩი, 3 გოლი



სტალე სოლბაკენი
ნახევარმცველი
27.02.68
ოლბორგი (დანია)
ნაკრებში 45 მატჩი, 8 გოლი



ოლე გუნარ სოლსკიაერი
თავდამსხმელი
26.02.73
მანჩესტერი (ინგლისი)
ნაკრებში 21 მატჩი, 10 გოლი



როარ სტრანდი
თავდამსხმელი
02.02.70
რუსენბორგი (ნორვეგია)
ნაკრებში 15 მატჩი, 3 გოლი



ტორე ანდრე ფლო
თავდამსხმელი
15.06.73
ჩელსი (ინგლისი)
ნაკრებში 34 მატჩი, 15 გოლი

# ლონდონიდან გავიდა და ბირმინგემში ვერ ჩავიდა

Cup Winners' Cup

## თასების თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩები

**მალიორკა 1:0 (1:1) ჩელსი**

1:0 ბიაჯინი (14)

მალიორკა: როა, ოლაისოლა, მარსელინიო, სივიერო (კარერასი 46), მ. სოლერი, ეტამე-მაიერი, ენგონგა, სტანკოვიჩი (ოსკარი 80), პაუნოვიჩი, დანი, ბიაჯინი (ფ. სოლერი 67)

ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი, ლებეფი, ლე სო (ბაბაიარო 46), პეტრესკუ (მორისი 78), დი მატეო, პოიეტი, უაიზი, ფლო, ძოლა

ლეონარდო ანხელ ბიაჯინი ესპანეთის კუნძულ მალიორკაზე გმირად იქცა. ხუმრობა როდია, ქალაქ პალმა დე მალიორკას გუნდი, რომელსაც ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ევროთასებზე არასდროს ეთამაშა, პირველივე ცდიდან ფინალში გავიდა, ხოლო ნახევარფინალში გადაყრილ მრისხანე მეტოქეს, ლონდონის „ჩელსის“, საპასუხო შეხვედრაში ერთადერთი გოლი სწორედ ბიაჯინიმ გაუტანა.

მალიორკელმა თავდამსხმელმა გამარჯვების გოლი თამაშის მე-14 წუთზე გაიტანა და ვინაიდან ბურთს მეტოქეთა კარი მეტად აღარ გადაუკვეთია, საბოლოო, ჯამურ ანგარიშად 2:1 დადგინდა — ორი კვირის წინ, სტემფორდ ბრიჯზე“ გამართული მატჩი 1:1 დამთავრდა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ „ჩელსი“ თასების თასის წინა გათამაშების გამარჯვებული გახლდათ და ვინაიდან, ეს ჯილდო ზედიზედ ორჯერ არასდროს არავის მოუპოვებია, ლონდონელები ისტორიული შესაძლებლობის წინაშე იდგნენ. თან, თასთა თასის ლამაზ შეჯიბრებას უკანასკნელი სეზონი უდგას. სექტემბრიდან იგი უეფას თასს უნდა შეერწყას. მოკლედ, „ჩელსის“ ყველა პირობა ჰქონდა საგანგებო თავგანწირვისთვის. ბოლოს და ბოლოს, ფინალიც ინგლისში, ბირმინგემის „ვილა პარკზეა“ დანიშნული...

მაგრამ პალმა დე მალიორკაში გაირკვა, რომ „ვილა პარკზე“ ინგლისური გუნდი ვერ ითამაშებს. „მალიორკას“ პირველი შეხვედრის შედეგიდან გამომდინარე უგოლო ფრეც აძლევდა ხელს, ლონდონელებს კი, შესაბამისად, გამარჯვება (ან მრავალგოლიანი ფრე) სჭირდებოდათ.



REUTERS პალმა დე მალიორკიდან

პოიტისგან (მარჯვნივ) განსხვავებით ბიაჯინიმ (მარცხნივ) გოლი გაიტანა

თამაში ლოგიკურად, „ჩელსის“ შეტევებით დაიწყო. განსაკუთრებით სტუმართა იტალიელი თავდამსხმელი, ჯანფრანკო ძოლა აქტიურობდა. მე-10 წუთზე სწორედ ძოლას ჩაწოდებულ ბურთს დაარტყა თავური გუსტავო პოიეტმა, მაგრამ მიზანს ააცილა. პოიტისგან განსხვავებით ბიაჯინიმ მეტი სიზუსტე გამოიჩინა და სტადიონზე შეკრებილი 18848 გულშემატკივარი სიხარულით ცას სწია. მარცხენა ფრთიდან იოვან სტანკოვიჩმა ჩააწოდა ბურთი გოლის ავტორს, რომელიც ლონდონელ მცველებს იმ ეპიზოდში უმეთვალყურეოდ ჰყავდათ დატოვებული. იგიც ახლო ძელთან აღიმართა და თავური დარტყმით მიაღწია საწადელს.

ბუნებრივია, სტუმრები გაშვებულმა გოლმა კიდევ უფრო წააქეზა. ძოლამ და პოიეტმა უმალ ერთი კომბინაციაც ჩაატარეს, რომელიც ისევ პოიეტის ოდნავ უზუსტო დარტყმით დასრულდა. დაახლოებით 30-ე წუთზე ცოტათი ააცილა დენის უაიზმაც. მოკლედ, ლონდონელები დაჟინებით უტევდნენ. მომენტს მომენტზეც ქმნიდნენ, მაგრამ მალიორკელთა არგენტინელი გოლკიპერი, კარლოს როა, შეუდარებელი იყო, განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, როდესაც „ჩელსის“ მორიგი იტალიელის, რობერტო დი მატეოს დარტყმული მოიგერია.

ლონდონელთა ზეწოლის მიუხედავად, მასპინძლები თავის წილ კონტრშეტევებზე ფიქრობდნენ და 35-ე წუთზე კინაღამ მიაღწიეს მიზანს — ბიაჯინის დარტყმულს ჰოლანდიელი მეკარე, ედ დე გუი დაუხვდა ოსტატურად, ხოლო შესვენების წინ ველიკო პაუნოვიჩმა სტანკოვიჩის მიერ საჯარიმოდან ჩაკიდებულს ისეთი თავური მიჰკრა, რომ ბურთმა ძელს ლოყა გაუხახუნა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა: „ჩელსი“ გასათანაბრებლად იხარჯებოდა, „მალიორკას“ კი დაცვა კვდლად აღემართა და რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევაც გაახერხა. 71-ე წუთზე [illegible] და მატეოს მორიგ დარტყმულს [illegible] ბურთი ძლივს მიარტყა, [illegible] პაუნოვიჩის საგოლე სიტუაცია კარის ხაზიდან მარსელ დესაიმ განმუხტა.

როას ოსტატობის წარმოჩენა ბოლო ხუთწუთიან მონაკვეთშიც მოუხდა, როდესაც ტორე ანდრე ფლოს დარტყმული მოიგერია. მერე ძოლას პასით უაიზმა ვერ ისარგებლა, ბურთი ოდნავ აცდა მიზანს...

„ძალიან ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით“ — განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „მალიორკას“ მწვრთნელმა ექტორ კუპერმა — „მთელი თამაშის განმავლობაში სათადარიგოთა სკამიდან გამამხნევებელ სიტყვებს გავიძახოდი. კინაღამ გავგიჟდი, მაგრამ გარეგნულად სიმშვიდის გამოვნელა მმართებდა. ძალიან მინდოდა, დროშა მეფრიალებინა, მეყვირა, მეხტუნავა... რა კარგი ყოფილა ფინალში გასვლა. იქ, ბირმინგემში აუცილებლად გასამარჯვებლად ვიბრძოლებთ. დღესაც, „ჩელსისთან“ თამაშის წინ გონებასა და გულში მხოლოდ გამარჯვება გვიტრიალებდა. ვიცოდით, რომ თუ ფრეზე თამაშს შევეცდებოდით, აუცილებლად წავაგებდით. ახლა ფეხბურთელებს წარმატება უნდა მივულოცო, მაგრამ რამდენიმე საათში ეიფორია გაივლის და მთელი ფიქრი ესპანეთის პირველობას დაუბრუნდება. რაც შეეხება თასების თასის ფინალს, მასზე მსჯელობისთვის ჯერ დიდი დრო გვაქვს. მანამდე მეტოქეს, „ლაციოსაც“ კარგად შევისწავლით“.

ჯანლუკა ვიალი, „ჩელსის“ მწვრთნელი: „ცხადად ვიცოდი, რომ გოლი უნდა გაგვეტანა და ამისთვის შეტევა გვმართებდა. სამწუხაროდ, იმდენი მომენტი, რამდენიც საქმეს სჭირდებოდა, ვერ შევქმენით. გარდა ამისა, ჩვენს წინაალმდეგ დიდი მეკარე თამაშობდა. გასულ სეზონში, როდესაც ფინალში გავედით და თასიც მოვიპოვეთ, ბედიც გვწყალობდა, წლეულს კი ყველაფერი პირიქითაა. ფეხბურთელებს ვერაფერს დავაბრალებ, მატჩი ლოგიკურად დასრულდა. მეტოქემ საოცარი თავგანწირვა გვიჩვენა. სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა, ამიერიდან ინგლისის პრემიერლიგაზე გადავრთავთ გონებას და შევეცდებით, სეზონი მაჟორული ნოტით დავამთავროთ“.

**პაპუნა კედია**

# ზაზა და დაცვა

Cup Winners' Cup

## თასების თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩები

**ლაციო 0:0 (1:1) ლოკომოტივი**

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, პანკარო, ნესტა, მაჰაილოვიჩი, ლომბარდო, ნედვედი, კოუტუ (ალმეიდა 46), სტანკოვიჩი, ვიერი (ბოკშიჩი 87), მანჩინი (დე ლა პენია 76)

ლოკომოტივი: ნიგმატულინი, არიფულინი, ჩერევჩენკო, ჩუგაინოვი, ლავრიკი, გურენკო, სმერტინი, ხარლაჩოვი (მამინოვი 66, ბოროდიუკი 84), დროზდოვი, ჯანაშია, ბულიკინი

„ერთობ გავწვალდით, მაგრამ ვგონებ მაინც დამსახურებულად გავიმარჯვეთ, რადგან მოწინააღმდეგეზე მეტი საგოლე მომენტი შევქმენით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ზედიზედ მეორე წელიწადს გავედით ევროპული თასის გათამაშების ფინალში (გასულ სეზონში „ლაციომ“ უეფას თასის ფინალში „ინტერთან“ 0:3 წააგო). ვიმედოვნებ, წლეულს უფრო იღბლიანი ვიქნებით“ — განაცხადა „სტადიო ოლიმპიკოზე“ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრის დამთავრების შემდეგ რომაული „ლაციოს“ მწვრთნელმა, შვედმა სვენ გორან ერიკსონმა — „ახლა ჩვენ „მალიორკას“ უნდა შევხვდეთ. მან ნახევარფინალში „ჩელსი“ დაამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ ძლიერი გუნდია. ბედნიერი ვარ. ვფიქრობ ფინალში გასვლას ვიმსახურებდით. დღევანდელი შეხვედრის კარგი შედეგით დასრულება აუცილებელი იყო. ახლა ისევ სერია A-ზე გადართვა შეგვიძლია. რაც შეეხება „ლოკომოტივთან“ თამაშის დეტალებს: უკმაყოფილო არ გახლავართ. ერთადერთი იმას თუ დავიჩივლებ, რომ გოლი ვერ გავიტანეთ. განა არ შეგვეძლო 2:0 მოგვეგო? რამდენიმე საგოლე მომენტი კრისტიან ვიერიმ გაუშვა ხელიდან, მაგრამ არც ვიერის საყვედური მსურს. მან მუხლჩაუხრელად იშრომა და ყველა ღონე იხმარა შედეგის მისაღწევად. მოგეხსენებათ 0:0 ხანდახან კარგი შედეგია. ერთი ხნის წინ 17 წაუგებელი შეხვედრა ჩავატარეთ, მაგრამ განა იმ მატჩებიდან ყველა უკეთესად ვითამაშეთ ვიდრე დღეს?“

ერიკსონს თავისი საფიქრალი აქვს, ჩვენ კი ჯობს მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი თავდამსხმელის, ზაზა ჯანაშიას ამბავი ვიკითხოთ. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი „სტადიო ლოიმპიკოზე“ გამართული შეხვედრის სტენოგრამაში ნორმალურად სამჯერ ფიგურირებს:

მე-40 წუთი: „ლაციოს“ შეტევების შემდეგ „ლოკომოტივის“ მეცხრე ნომერი ლუკა მარკეჯანის კარისკენ ძლიერად არტყამს, მაგრამ ბურთი გვარიანად ცდება მიზანს.

58-ე წუთი: მოსკოველთა იშვიათ კუთხურთაგან ერ-ერთი ჯანაშიამ მოიპოვა, როდესაც იგი ბურთის ჩაწოდებას ლამობდა, მაგრამ მცველებმა ხაზს უკან გადააგდეს. კუთხურს მასპინძელთათვის ხიფათი არ მოუტანია.

73-ე წუთი: ამ დროისთვის „ლოკომოტივი“ მეტად აზერხებდა რომაელთა კარისკენ გზის გაკაფვას. „ლაციოს“ საჯარიმოში სახიფათო მომენტი იქმნება. მაგრამ პაოლო ნეგრო ჯანაშიას მაისურზე ქაჩავს.

ზოგადად კი შეხვედრაზე იმის თქმა შეიძლება, რომ უპირატესობა რომაელთა იყო. საგოლე მომენტებს ძირითადად ისინი ქმნიდნენ და ამ მომენტების უმეტესობაში კრისტიან ვიერი მონაწილეობდა. ზაზა ჯანაშია დაცვით ცნობილი იტალიელებს საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ და გოლი რომ ვერ გაიტან ცხადია, უპირველეს ყოვლისა ამის ბრალია. გავთამამდებით და გამოვთქვამთ ეჭვს, რომ ზაზას „ლაციოს“ დარი დაცვის წინააღმდეგ აქამდე არ უთამაშია. ასე, რომ „სტადიო ოლიმპიკო“ ქართველი ფორვარდისთვის ერთგვარი ნათლობის ადგილადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მითუფრო სასიამოვნოა, რომ მას რომაელებმა საგანგებო ყურადღება დაუთმეს, ხოლო ის, რომ გოლი ვერ გაიტანა, სავიშვიშო სულაც არაა, რადგან ჩვენთვის, თუ არ ვცდებით, გაცილებით მნიშვნელოვანია ჯანაშიამ მაშინ გამოიღოს ფეხა, ტანს შინდისფერი მაისურით რომ შეიმოსავს.

**მიხეილ სურგულაძე**



REUTERS რომიდან

ვიერი (ზემოთ) ჩერევჩენკოს კინალამ გადაახტა

# ნიგერიისთვის ჯერ ადრეა

10th FIFA World Youth Championship
**Nigeria 1999**
3 - 24 April 1999

დღეს ფინალია. სწორედ დღეს გაირკვევა ოქროს პატრონი. ან იაპონია, ან ესპანეთი. რომელიმემ აუცილებლად უნდა მოიგოს. მსოფლიოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი ლამაზი თასი პატრონს, ახალ პატრონს უნდა ჩაბარდეს.

უკან რომ გავიხედოთ, დავინახავთ, რომ საინტერესო ჩემპიონატი იყო. თვალსასეირო შეხვედრები გაიმართა, დაძაბული ორთაბრძოლები იყო, სენსაციების ნაკლებობაც არ იგრძნობოდა.

დღეს ფინალია. ბევრის აზრით, გადამწყვეტი შეხვედრაც ისეთივე იქნება, როგორიც წინა თამაშები. იაპონიაც კარგი გუნდია, უფრო სენსაციური, ესპანეთი კი ძლიერი, შეთამაშებული ნაკრები გახლავთ. დიდი ბრძოლა უნდა გაიმართოს. ვნახოთ.

ფეხბურთი ფეხბურთად, მაგრამ ფიფას, მსოფლიო ფეხბურთის განმგებელ ორგანიზაციას, თამაშის ხარისხთან ერთად ბევრი სხვა საკითხიც აინტერესებს. სხვა საკითხებში კი მასპინძელი ნიგერია მოიკოჭლებს, თუ უარესი არა.

ხუთშაბათ საღამოს ფიფას შვეიცარიელმა პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ლაგოსში პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებთან შეხვედრისას მას ტურნირის შედეგები უნდა შეეჯამებინა, თავისი აზრი გამოეთქვა და ცხადია, ჟურნალისტთა კითხვებისთვის ეპასუხა. ფიფას პრეზიდენტის პრესკონფერენციამ თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხს გასცა პასუხი. წარმოჩინდა უამრავი პრობლემა და თითქმის გადაწყდა, რომ ნიგერიას, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატია, კონკურენტებთან ბრძოლის შანსი არ ექნება. აფრიკელთათვის ეს სამწუხარო ფაქტია და მწარე რეალობა. ნიგერია დღესდღეობით ნამდვილად არაა მზად ასეთი საპასუხისმგებლო ტურნირის სამასპინძლოდ.

ბლატერმა პრესკონფერენცია შენიშვნებით დაიწყო. სათქმელი კი უამრავი იყო:

— არ მეგონა, ტურნირის ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტს ასე თუ გაუჭირდებოდა დავალებული ამოცანისთვის თავის გართმევა. თავად გახლდით უამრავი ცუდი ფაქტის და ხარვეზის მომსწრე, ისე კი ვინ იცის, რამდენი რამ დაეწუნებოდა ტურნირს. არ შეიძლება ასე, არ შეიძლება...

ფიფას პრეზიდენტის შენიშვნებს ფაქტების მოშველიებაც მოჰყვა:

— როდესაც ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს, არ შეიძლება თამაშებზე შუქი ქრებოდეს. მექსიკა — ირლანდიის მატჩისას მე სტადიონზე გახლდით და ბრძოლა რომ ხურდებოდა, დენი სწორედ მაშინ გამოირთო. იგივე განმეორდა მეოთხედფინალშიც. დაუშვებელია, რომ ავტობუსებს გუნდების სტადიონზე მიყვანა აგვიანდებათ. შევიტყვე, რომ ორგანიზატორთა უყურადღებობის გამო გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრებები მოედანზე სავარჯიშოდ დროზე ვერ მივიდნენ. ესეც არ იყოს, გუნდებს დასვენების საშუალებაც არ ჰქონდათ. სასტუმროები დაბალი დონისა იყო, თუმცა ეს უფრო ქვეყნის პრობლემაა, ვიდრე საორგანიზაციო კომიტეტის...

— მესმის, რომ ნიგერიას არ ძალუძს ყველაფრის უმაღლეს დონეზე შესრულება. როდესაც ამ ტურნირის მასპინძლობა ნიგერიას დაეკისრა, კარგად გვქონდა გათვითცნობიერებული, რომ პრობლემები იქნებოდა, მაგრამ თუ ქვეყანას 24-გუნდიანი ტურნირის სამი კვირით ჩატარება ასე გაუჭირდებოდა, ნამდვილად არ გვეგონა. რამდენადაც ლამაზი, სანახაობრივი და დაძაბული თამაშები ვიხილეთ ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე, იმდენად დიდი ხარვეზები იყო ორგანიზაციაში. ასე კი არ უნდა ხდებოდეს — კვლავ ბლატერი.

შენიშვნების და ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის კრიტიკის შემდეგ ბლატერმა კითხვებსაც უპასუხა. ცხადია, თითქმის ყველა მათგანი მიმდინარე ტურნირს ეხებოდა:

— ვთვლი, რომ ასეთი შეჯიბრებები უნდა გაიმართოს. ჟოაო აველანჟემა მსოფლიო ფეხბურთში დიდი გადატრიალება მოახდინა და ეს სასიკეთო საქმე კვლავ უნდა გაგრძელდეს. განა საინტერესო არაა, როცა ხვალინდელ ვარსკვლავებს დღეს ვხედავთ საქმეში?


იოზეფ ბლატერი

სარბიელის არქივიდან

— რაც შეეხება ტურნირის ჩატარების თარიღს, ჩემი აზრით, ეს ყველაზე მისაღები დრო იყო. ზაფხულში, როცა ევროპაში ჩემპიონატები არ იმართება, ნიგერიაში ძალიან ცხელა, ამიტომაც ვამჯობინეთ, გაზაფხული. ნურავინ იფიქრებს, რომ მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა არავის აინტერესებდა. არც მეტი არც ნაკლები, 105 ქვეყანა აწარმოებდა ნიგერიიდან ტელერეპორტაჟებს. ეს ფაქტი ყველაფერზე მეტყველებს...

— ნიგერია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატია. რას იზამს მომავალში, ვერ გეტყვით, ისე კი, ვფიქრობ, მისთვის ასეთი მაღალი დონის შეჯიბრის მასპინძლობა ჯერ ადრეა...

ფიფას პრეზიდენტის პრესკონფერენციამ დაახლოებით საათნახევარს გასტანა. იოზეფ ბლატერი დღეს ფინალს დაესწრება და მერე სხვა ქვეყანაში გაფრინდება. და ასე, დაუსრულებლად.

**ლაშა გოდუაძე**

Saudi Arabia '89
V World Youth Championship for the FIFA/Coca-Cola Cup

## ფიფა—კოკა-კოლას მსოფლიოს V ახალგაზრდული ჩემპიონატი

### A ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.02.89 | ერ რიადი | საუდეთი — ნიგერია | | | | 1:2 |
| 17.02.89 | ერ რიადი | ჩეხოსლოვაკია — პორტუგალია | | | | 0:1 |
| 19.02.89 | ერ რიადი | საუდეთი — ჩეხოსლოვაკია | | | | 0:1 |
| 20.02.89 | ერ რიადი | ნიგერია — პორტუგალია | | | | 0:1 |
| 22.02.89 | ერ რიადი | საუდეთი — პორტუგალია | | | | 3:0 |
| 22.02.89 | ერ რიადი | ნიგერია — ჩეხოსლოვაკია | | | | 1:1 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 2:3 | 4 |
| ნიგერია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 3 |
| საუდეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 2 |

### C ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 17.02.89 | ჯედა | ბრაზილია — გდრ | | | | 2:0 |
| 17.02.89 | ჯედა | მალი — აშშ | | | | 1:1 |
| 19.02.89 | ჯედა | ბრაზილია — მალი | | | | 5:0 |
| 20.02.89 | ჯედა | გდრ — აშშ | | | | 0:2 |
| 22.02.89 | ჯედა | ბრაზილია — აშშ | | | | 3:1 |
| 22.02.89 | ჯედა | გდრ — მალი | | | | 3:0 |
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 6 |
| აშშ | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 3 |
| გდრ | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 2 |
| მალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:9 | 1 |

### B ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 17.02.89 | დამამი | კოსტა რიკა — კოლუმბია | | | | 1:0 |
| 17.02.89 | დამამი | სსრკ — სირია | | | | 3:1 |
| 19.02.89 | დამამი | კოსტა რიკა — სსრკ | | | | 0:1 |
| 20.02.89 | დამამი | კოლუმბია — სირია | | | | 2:0 |
| 22.02.89 | დამამი | კოსტა რიკა — სირია | | | | 1:3 |
| 22.02.89 | დამამი | კოლუმბია — სსრკ | | | | 1:3 |
| სსრკ | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 2 |
| სირია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 2 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 2 |

### D ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 17.02.89 | ტაიფი | ნორვეგია — ერაყი | | | | 0:1 |
| 17.02.89 | ტაიფი | არგენტინა — ესპანეთი | | | | 1:2 |
| 19.02.89 | ტაიფი | ნორვეგია — არგენტინა | | | | 0:2 |
| 20.02.89 | ტაიფი | ერაყი — ესპანეთი | | | | 2:0 |
| 22.02.89 | ტაიფი | ნორვეგია — ესპანეთი | | | | 4:2 |
| 22.02.89 | ტაიფი | ერაყი — არგენტინა | | | | 1:0 |
| ერაყი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| არგენტინა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 2 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 2 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 2 |

### მეოთხედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 25.02.89 | ერ რიადი | პორტუგალია — კოლუმბია | 1:0 |
| 25.02.89 | დამამი | სსრკ — ნიგერია | 4:4 (პენ. 3:5) |
| 25.02.89 | ჯედა | ბრაზილია — არგენტინა | 1:0 |
| 25.02.89 | ტაიფი | ერაყი — აშშ | 1:2 |

### ნახევარფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 28.02.89 | ჯედა | ნიგერია — აშშ | 2:1 |
| 28.02.89 | ერ რიადი | პორტუგალია — ბრაზილია | 1:0 |

### მატჩი მესამე ადგილისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.03.89 | ერ რიადი | ბრაზილია — აშშ | 2:1 |

### ფინალი. 03.03.89. ერ რიადი. 65.000 მაყურებელი

**პორტუგალია 2:0 ნიგერია**

1:0 აბელი (44), 2:0 ჟორჟე კოუტუ (76)
პორტუგალია: ბისარო, ფრანკო, აბელი, პაულო მადეირა, მორგადო, ელიო სოუზა, ტოზე, რამოსი, ამარალი (ალვეშ პაულო 88), ჟოაო პინტუ (ფოლია 89), ჟორჟე კოუტუ
ნიგერია: ამადი (იკეჯი 81), ელიჯა, ონიემაჩარა, ჩინედუ, ჩარიტი, ოლადიმეჯი, ადეპოჟუ, ოგაბა, ნვოსუ, ბალოგუნი (ოსუნდო 49), ოპენი
მსაჯი: შმიდჰუბერი (გფრ)

*საუკეთესო მოთამაშე:* ბისმარკი (ბრაზილია); *ბომბარდირი:* ოლეგ სალენკო (სსრკ) 5 გოლი

## ფეხბურთის რუკასთან



**იამაიკის** ნაკრები კვლავ ესტუმრება ინგლისს კლუბებთან ამხანაგური მატჩების სათამაშოდ. იამაიკელებმა შარშანაც, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, ჩაატარეს ამხანაგური მატჩები იქაურ გუნდებთან. ოკეანისგაღმელებს ახლაც იგივე სურთ. იამაიკის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, მათი ნაკრები 23 მაისს ბირმინგემში, „ჰავთორნს როუდზე" „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" შეხვდება. ცნობისთვის: თავის დროზე „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" თბილისს სტუმრობდა და ჩვენი „დინამო" 3:0 დაამარცხა.

**შოტლანდიის** ფეხბურთის ასოციაციას სურს, აგვისტოში გასამართი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბოსნიასთან ივნისისთვის გადაიტანოს. თავდაპირველად შოტლანდია — ბოსნიას დაპირისპირება 27 მარტს უნდა შემდგარიყო, მაგრამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო ბოსნიის ნაკრებს შოტლანდიაში გაფრენის უფლება არ მისცეს და უეფამაც შეხვედრა 18 აგვისტოსთვის გადადო. შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლების თქმით, ისინი კმაყოფილნი იქნებიან, თუ უეფა მათ ბოსნიასთან თამაშის უფლებას ივნისში დართავს. ამ თვეში შოტლანდიელები შესარჩევ ტურნირში ფარერებს და ჩეხეთს ხვდებიან.

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „მარსელი" იმედოვნებს, რომ ლონდონის „არსენალიდან" 22 წლის თავდამსხმელ კაბა დიავარას გადაიბირებს. ინგლისის ჩემპიონთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ახალგაზრდა დიავარა ოთხი თვის წინ შეიძინა „ბორდოდან", მაგრამ ფრანგ ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ გამოუნახა. მას შემდეგ კი, რაც ნიგერიელი ნვანკვო კანუ გამოჯანმრთელდა, დიავარამ „არსენალში" თამაშის ყოველგვარი შანსი დაკარგა. „მარსელი" მზად ყოფილა, ლონდონელებს კაბა დიავარას სანაცვლოდ 2,5 მილიონი დოლარი გადაუხადოს. შეგახსენებთ, რომ „მარსელის" იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო რავანელი სეზონის დასრულებისთანავე „ფიორენტინაში" გადაბარგებას აპირებს და კლუბიც მისი შემცვლელის ძიებაშია.

**ინგლისის** ჩემპიონობისა და თასისთვის მებრძოლი „მანჩესტერ იუნაიტედი" ახალი სეზონისთვის მზადებას ავსტრალიაში დაიწყებს. ჩემპიონთა თასის ფინალში გასული „მანჩესტერის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ავსტრალიაში ორი შეხვედრა დაგეგმა — მელბურნსა და სიდნეიში კლუბს ავსტრალიის ნაკრები დაუპირისპირდება. მწვანე კონტინენტზე ოლდტრეფორდელები ძალიან პოპულარულნი არიან. გარდა იმისა, რომ კლუბი ავსტრალიელებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს, მათ ვიზიტს უდიდესი ფინანსური მოგებაც უმაგრებს ზურგს — „მანჩესტერ იუნაიტედი" 4 მილიონ დოლარს მიიღებს.

**ხორვატიის** უძლიერესი კლუბი ზაგრების „კროაცია" შეუთანხმდა შოტლანდიის ჩემპიონ გლაზგოს „სელტიკს", რომ ეს უკანასკნელი მას 1,5 მილიონი დოლარის სანაცვლოდ ავსტრალიელ თავდამსხმელ მარკ ვიდუკას დაუთმობს. ვიდუკა მიმდინარე სეზონში „სელტიკის" ერთ-ერთი ლიდერია და დიდად განაპირობებს იმას, რომ კლუბი ჩემპიონობისთვისაც იბრძვის და თასისთვისაც. ალან მაკდონალდმა, „სელტიკის" აღმასრულებელმა დირექტორმა, განაცხადა, რომ მართალია, ვიდუკა „სელტიკის" ლიდერია, მაგრამ მათ „კროაციასთან" დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებთ და ფეხბურთელსაც ასე იაფად ამიტომ უთმობენ.

**იტალიის** ჩემპიონატის ლიდერ „ლაციოს" ვარსკვლავი რობერტო მანჩინი გაისად შესაძლოა ძველ მეგობარსა და თავის დროზე თანაკლუბელ ჯანლუკა ვიალის „ჩელსიში" შეუერთდეს. 35 წლის ფეხბურთელი თასების თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრის წინ კლუბის პრეზიდენტ სერჯიო კრანიოტის შეხვედრია და თავის მომავალზე ესაუბრია. სეზონის ბოლოს მანჩინი, როგორც ჩანს, „ლაციოს" დატოვებს და ნისლიან ალბიონზე გაემგზავრება. „იტალიაში თამაშით დავიღალე. აქ ბევრს მივაღწიე, ბევრი რამ ვნახე. დროა, ძალები სხვა ლიგაში ვცადო. „ჩელსი" მეპატიჟება, შესაძლოა მართლაც იქ წავიდე. წინააღმდეგი არ ვარ კვლავ ვითანამშრომლო ლუკა ვიალისთან" — განაცხადა მანჩინიმ. შეგახსენებთ, რომ ჯანლუკა ვიალი და რობერტო მანჩინი გენუის „სამპდორიაში" თამაშობდნენ ერთად და 1991 წელს კლუბს იტალიის ჩემპიონობაც მოაპოვებინეს.

**შვედეთის** ჩემპიონატის მორიგი ტურის ორი შეხვედრა გაიმართა: „გიოტებორგმა" შინ ვერ დაამარცხა „დურგარდენი" და მხოლოდ ფრედ 0:0 ითამაშა, „ჰალმშტადმა" კი სტუმარ „ფროლუნდასთან" 1:2 წააგო.

**რუსეთის** უმაღლესი ლიგის კლუბ იაროსლავლის „შინიკის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გუნდიდან წასული ალექსანდრ ავერიანოვის ნაცვლად კლუბის მწვრთნელად მისი თანაშემწე, ალექსანდრ პობეგალოვი დაინიშნა. ავერიანოვის გუნდიდან წასვლა „შინიკის" ცუდმა შედეგებმა განაპირობა, არადა, რუსეთის ჩემპიონატი სულ რაღაც სამი კვირის დაწყებულია.

**კამერუნელმა** ნახევარმცველმა ჯერემი ნჯიტაპმა მადრიდის „რეალთან" ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 20 წლის ნჯიტაპი სამეფო კლუბის უელსელი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის მიერ შეძენილი პირველი ფეხბურთელია. ნჯიტაპი „რეალს" 1 ივლისს შეუერთდება. ტრანსფერის დეტალები ცნობილი არ არის, თუმც თურქული პრესის ცნობით, ნჯიტაპის კლუბი „გენჩლერბირლიგი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 4,7 მილიონ დოლარს მიიღებს. ჯონ ტოშაკი „რეალში" მისვლამდე თურქეთში მოღვაწეობდა და ნჯიტაპმა თვალი სწორედ მაშინ დაადგა.

**ჰოლანდიის** ნაკრების მწვრთნელმა ფრენკ რაიკაარდმა ნაკრებში გამოიძახა „ეინდჰოვენის" მცველი ანდრე ოიერი, რომელიც გუნდში „მანჩესტერ იუნაიტედის" ტრავმირებულ მცველ იაპ სტამს შეცვლის. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაში, ტურინში, „იუვენტუსთან" თამაშისას სტამმა აქილევსის მყესი დაიზიანა. შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს ჰოლანდიელები ამხანაგურ მატჩში მაროკოს მასპინძლობენ. ანდრე ოიერი ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატზეც იყო, მაგრამ გუნდში დღემდე არ უთამაშია.

**რუმინეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ბუქარესტის ორი კლუბი — „დინამო" და „სტიაუა" ათას-ათასი დოლარით დააჯარიმა, რადგან ამ გუნდების დაპირისპირებისას ქომაგებს შორის არეულობა მოხდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გუნდებს ფულადი სასჯელი არ აკმარა და „დინამოს" ორი მატჩის ბუქარესტიდან 60 კილომეტრით დაშორებულ ქალაქში თამაში უბრძანა, „სტიაუას" კი — ერთი საშინაო მატჩის სტუმრად გამართვა.

**სარბიელის** საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# კვირაგამოშვებით

ჩემპიონთა ლიგა მომდევნო სეზონში 32 გუნდით შეუდგება საქმეს. გაიზრდება თამაშების რაოდენობა ანუ გაიზრდება ტელეტრანსლაციათა რიცხვი. ფეხბურთის შემოსავალი, მოგეხსენებათ, ტელეფულია. ცხადია, არის სხვა სარფიც, მაგალითად, სტადიონზე დასასწრები ბილეთების ნავაჭრი ან სუვენირების მონაგარი. მაგრამ მოგების უდიდესი ნაწილი მის უდიდებულესობაზე, ტელევიზიაზე მოდის.

ტელევიზიამ თანხა რომ გაიღოს, მას უნდა უცქირონ. თავად ტელეკომპანიებიც სხვადასხვაგვარია, არის საზოგადო არხები, მაგრამ არის კომერციულიც. საზოგადო არხების ცქერა იოლია. ტელევიზორს ჩართავ და სულ ეს არის, კომერციულ არხზე კი მოშიშინე ეკრანი რომ არ დაგხვდეს, ფულის გადახდაა საჭირო. ახლა რა პირობაა აუცილებელი საიმისოდ, რომ ფული გადაიხადო? ამისათვის აუცილებელია ის გქონდეს. აქვს კი ფული ყველას? არა. მაშ, რა უნდა მოხდეს, რომ გულშემატკივარმა მისთვის საინტერესო თამაში ნახოს? უეფას აღმასკომმა ამაზე იმსჯელა და პასუხი გენერალურ მდივანს, გერჰარდ აიგნერს გამოატანა.

„მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში, ზოგი გუნდი სამშაბათს ითამაშებს, ზოგიც ოთხშაბათს. ის, ვინც ამ კვირაში სამშაბათს ითამაშებს, მომავალში ოთხშაბათს გავა მინდორზე. ის, ვისი თამაშიც ამ კვირაში საზოგადო ტელეარხით გადაიცემა, მომავალში კომერციული არხის ობიექტი გახდება" — განაცხადა გენმდივანმა, რომელმაც დაამატა, უეფას თასის თამაშები კი უპირატესად ხუთშაბათისა იქნებაო.

თურმე ჯერ არაა ცნობილი, რომელი კომერციული ტელეკომპანიები შეუდგებიან საქმეს, მაგრამ პრინციპი ამის გარეშეც ნათელია — ღარიბებიც დაკმაყოფილდებიან და მდიდრებიც, ოღონდ მდიდრები ყოველ ცისმარე კვირას, ღარიბები კი კვირაგამოშვებით.

ახლა როი კინის ამბავი ვთქვათ. „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი ჩემპიონთა თასის ფინალს გამოტოვებს, იმიტომ, რომ „იუვენტუსთან", ნახევარფინალში, ყვითელი ბარათი მიიღო, რაც შეჯიბრებაში მეორე გამოადგა. თანამედროვე ფეხბურთი ისეთია, რომ მოთამაშეები მოყვითალო სიტუაციაში ხშირად ხვდებიან, რის გამოც ბევრი მათგანი ბოროტი განზრახვის გარეშე, შეიძლება ფინალში მხოლოდ და მხოლოდ მაყურებლად დარჩეს. ასე რომ არ მოხდეს, კინისა და მისი კოლეგების საიმედოდ, გაისიდან, ფეხბურთელებს თამაშის გამოტოვება სამი ყვითელი ბარათის მერე მიესჯება.

„მიზეზი ისაა, რომ მომავალი სეზონიდან მატჩების რაოდნობა გაცილებით მეტი იქნება" — განმარტა აიგნერმა. ერთი თვის შემდეგ უეფას აღმასკომი ისევ შეიკრიბება, რათა ბალკანეთში შექმნილი სიტუაცია გაარჩიოს. თუ იუგოსლავიის კონფლიქტი გაიწელა, მაშინ ევროპული ფეხბურთის ბატონ-პატრონებს თავისებური პასუხის გაცემა მოუწევთ კითხვებზე, სად და როდის.

უეფას ახლა, 26 მაისს, თავისი ომი ელის: ჩემპიონთა თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ბაიერნი" ბარსელონაში დაუდგებიან ერთმანეთს. ეს მოედანზე, ტრიბუნაზე და ქუჩებში კი ფანების დაპირისპირების დიდი საშიშროებაა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გერმანელებსა და ინგლისელებს 25-25 ათასი ბილეთი აღუთქვა, მაგრამ უეფამ ამ საქმისთვის ბეჭდის დარტყმა არ იჩქარა. ყველა მხარე და პოლიცია ერთად დაჯდა, ყველაფერი აწონ-დაწონა და ბილეთების რაოდენობა 30 ათასამდე გაზარდა.

იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც შეფებმა თქვეს არაო. ეს გახლდათ უეფას თასის ფინალისტის, „მარსელის" თხოვნა, გადამწყვეტი მატჩი მოსკოვიდან სადმე სხვაგან გადაეტანათ. მიზეზად ფრანგებს კოსოვო ჰქონდათ, უფრო სწორად ის, რომ მოსკოვში იუგოსლავიელთა დასახმარებლად მიტინგები იმართება, საფრანგეთი კი ნატოს ბანაკშია.



ხავიერ ძანეტი „ინტერიდან" მიდის...



...ანჯელო დილივიო (შუაში) კი „ინტერში"

# დიდი ინტერნაციონალური მანევრები

მარჩელო ლიპის „ინტერში" მისვლით სავარაუდოდ ბევრი რამ შეიცვლება. რამდენიმე ფეხბურთელი მას „იუვენტუსიდან" გაჰყვება. ერთი, ალბათ, ალესანდრო დელ პიერო იქნება, მეორე კი, ეს გუშინ გახდა ცნობილი, ლიპის საყვარელი ფეხბურთელი, მარჯვენა ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიო.

რამდენიმეც, ისეთები, რომლებიც ცნობილი სპეციალისტის განთქმულ მონახაზებში ვერ ჯდებიან, მილანურ კლუბს დატოვებენ. უპირველესად, ეს იტალიური ფეხბურთის ბოლო ათწლეულის ვარსკვლავს, რობერტო ბაჯოს ეხება. ლიპიმ ჯერ კიდევ შარშან თქვა, ბაჯო არ მჭირდებაო. დიდი შანსია, რობიმ კარიერა „ფიორენტინაში" გააგრძელოს გაბრიელ ბატისტუტასთან ერთად. თუ რაიმე არ შეიცვალა, ამ ორ დიდ ფეხბურთელს ფლორენციაში „ვალენსიას" არგენტინელი ფორვარდი კლაუდიო ლოპესი და „მარსელის" იტალიელი ლეგიონერი, ფაბრიციო რავანელი შეუერთდებიან. მართლაც შთამბეჭდავი კომპანია იკრიბება.

ახლა ისევ „ინტერნაციონალეს" დავუბრუნდეთ. თურმე ნუ იტყვით და, „მაესტრო" მარჩელოს არც ჩინებული არგენტინელი მცველ-ნახევარმცველთავდამსხმელი ხავიერ ძანეტი მოსდის თვალში. ამ ამბავმა ესპანეთშიც ჩააღწია და ატყდა, მაგრამ რა ატყდა. იქაური გიგანტები, „ბარსელონა" და მადრიდის „რეალი" მყისვე დატრიალდნენ ძანეტის ხელში ჩასაგდებად. პოპულარული ესპანური ჟურნალის „დონ ბალონის" ცნობით, კლუბები ამ ეტაპზე მზად არიან „ინტერს" 13 მილიონი დოლარი შეაძლიონ და არგენტინელი გადაიბირონ. სავსებით მოსალოდნელია, მალე ეს თანხა რომელიმემ საგრძნობლად გაზარდოს.

მაშ ასე, „ინტერის" მარჯვენა ფრთაზე მომავალ სეზონში ძანეტის ნაცვლად დი ლივიო გამნესდება. ამ უკანასკნელის კონტრაქტის ვადა „იუვენტუსთან" მომავალ ზაფხულში გაუდის, მაგრამ ლიპის სურვილს ხელშეკრულება წინ ნაღდად ვერ აღუდგება. ტურინელთა ექსთავკაცს მილანში ზინედინ ზიდანის წაყვანაც სურდა.

* * *

ესპანეთის კლუბ მადრიდის „ატლეტიკოს" წარმომადგენლები გუშინწინ მილანს ჩაფრინდნენ და „ინტერის" ხელმძღვანელებს შეხვდებიან. ესპანელთა ვიზიტის მიზეზი მეტად მნიშვნელოვანია — მათ „ინტერის" ჩილელი თავდამსხმელის, ივან სამორანოს შეძენა სურთ.

ეს „ატლეტიკოს" მეორე ცდაა. შეგახსენებთ, რომ კლუბმა თითქმის ერთი თვის წინაც დააპირა სამორანოს გადაბირება, მაგრამ მაშინ არაფერი გამოუვიდა.

— ძალიან გვინდა სამორანოს ყიდვა, უდიდეს თანხას გადავიხდით, ოღონდ კი იგი ჩვენთან წამოვიდეს. გვსურს, კლუბში ერთი ძლიერი თავდამსხმელი მაინც გვყავდეს — განაცხადა „ატლეტიკოს" წარგზავნილმა მილანში ხესუს პერეს და კოსტამ.

იტალიური პრესის ცნობით, „ატლეტიკოს" სამორანოს შესაძენად 11 მილიონი დოლარი გამოუყვია. რას იზამს „ინტერი", ძნელი სათქმელია, ისე კი გეტყვით, რომ თავად ჩილელ თავდამსხმელს მადრიდში გადასვლის სურვილი არა აქვს.

თავის დროზე სამორანო ესპანეთში თამაშობდა და 1995 წელს, გარდა იმისა, რომ „რეალთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონიც გახდა, პრიმერა დივიზიონის ბომბარდირიც გახდა.

# უკმაყოფილო ჟოვანის გადაწყვეტილება

ჟოვანი „ბარსელონადან" წასვლას აპირებს.

ბრაზილიელი ნახევარმცველი თურმე იმით არის უკმაყოფილო, რომ სეზონის უმეტესი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ექსსანტოსელი ფეხბურთელი ძალიან იშვიათად ჩნდებოდა კატალონიური კლუბის შემადგენლობაში, ისიც, შეცვლებზე. ჟოვანი იმაზეც კი თანახმაა, რომ შედარებით დაბალი დონის კლუბში გადავიდეს, ოღონდ ძირითადში მოხვდეს.

— ძნელია ამ მდგომარეობაში ყოფნა, თანაც მუდმივად. მშვენიერია, როცა „ბარსელონაში" ხარ, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში და სულ პირველობისთვის იბრძვი, მაგრამ მე ფეხბურთელი ვარ და თამაში მინდა. თუ რამე არ შეიცვალა, ზაფხულში გუნდს დავტოვებ და სხვაგან გავაგრძელებ კარიერას, თუნდაც უფრო მოკრძალებული მიზნების მქონე კლუბში — ამბობს ბრაზილიელი.

ჟოვანის გადაწყვეტილების შესახებ ლუის ვან გაალმაც გაიგო, მწვრთნელმა, რომლის ტაქტიკურ სქემაშიც ნახევარმცველი ვერ ჩაეწერა. ჰოლანდიელ სპეციალისტს ამასთან დაკავშირებით ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა ცნობილი გახდა, რომ იგი შეხვდა ბრაზილიის ნაკრების წევრს და ისინი რაღაცაზე შეთანხმდნენ. ესპანური პრესის ინფორმაციით ვან გაალი ჟოვანის „ბარსელონიდან" წასვლის წინააღმდეგი არ არის.



ჟოვანი

## კითხვა-პასუხი

— ***აბა, რას იტყვი ახალს?***

— დეპეშები ვაფრინე.

— ***სად?***

— ოლდ ტრეფორდზე და დელე ალპიზე.

— ***მილოცვის და მისამძიმრების?***

— არა, მთლად ეგეთი არა.

— ***აბა, მაშ როგორი?***

— ბატონ ანიელის მივწერე, ზიდანი სასწრაფოდ გაყიდეო და გარი მაკალისტერი იყიდეთ, თქვენს სათამაშო კონცეპციას ეგ უფრო მოუხდება-მეთქი.

— ***დასცინი?***

— მე რას დავცინი. საკუთარ თავს დასცინიან, ერთი კაცი ჰყავთ და იმასაც ყიდიან.

— ***ცოლს უნდაო...***

— ჩემს ცოლს იცი რა უნდა?

— ***რაც შენს ცოლს უნდა, იმის ცოლს ისედაც ექნება. ზიდანი მდიდარი კაცია.***

— არა მგონია, მუჰამედ ალ ფაიედზე მდიდარი იყოს.

— ***ეგ რაღა შუაშია?***

— სწორედ ეგ ვუდეპეშე ოლდ ტრეფორდს — ტედი შერინგემი რომ თადარიგშია, იმას ჰგავს, კიგანი რომ ალ ფაიედის „ფულემში" მოღვაწეობს-მეთქი.

— ***რა გინდა? იორკი და კოული აწყობილები არიან.***

— მერსედესიც აწყობილია, მაგრამ ხომ შეიძლება შიგ კიდევ ერთი საჭირო რამ ჩადგა?

— ***მე მეგონა, გაგეხარდებოდა. შვიდი წელიწადია ტვინი წაიღე...***

— მე წავიღე ტვინი, თუ „იუვენტუსმა" წაიღო ტვინი?

— ***ნახეთ დაჭრილი და წაესიეთ ყვავ-ყორნები. შარშანწინდელი გაიხსენე...***

— შენ ის გაიხსენე, შარშან რომ გოლი გაჩუქს „იუვენტუსი" ვის რას აჩუქებს?

— ***„მანჩესტერი" მაშინ დაემსგავსა გუნდს, როცა ფერგიმ კანტონა მიაბრძანა...***

— მიპასუხე, „იუვე" ვის რას აჩუქებს?

— ***ვის რა უნდა აჩუქოს? სამოსი ხომ არ არის.***

— მე რომ ანჩელოტი ვყოფილიყავი, ზიდანს არ გამოვიყვანდი. მეტიც, თვითონაც არ მოვიდოდი სტადიონზე...

— ***აბა, რას იზამდი.***

— სახლში დავრჩებოდი და „შესანიშნავ შვიდეულს ვუყურებდი".

— ***აი, სულელო. კინო რა შუაშია?***

— ეგ თამაში და „შესანიშნავი შვიდეული" ერთიდაიგივეა.

— ***და დუაიტ იორკი კრისია, არა?***

— არა, დუაიტ იორკი ჩიკოა.

— ***კრისი ვინღაა?***

— კრისი როი კინია, ან შმეიხელი, ან ბექემი.

— ***ბევრი კრისი გამოგდის...***

— რაც მეტი, მით უკეთესი.

— ***და კალავერა, ზიდანია კალვერა?***

— როგორ გეკადრება. კალვერა არის მონტერო.

— ***შენ სულ გაგიფრენია.***

— სხვანაირადაც გეტყვი. მადონა გაგიგონია?

— ***დიახ.***

— აი, მადონა არის „იუვენტუსი".

— ***ჰო მაგრამ მადონა არ არის მოხუცი ქალბატონი.***

— არც მოხუცია და არც ქალბატონი.

— ***ეგეთი მხოლოდ ინგლისის დედოფალია, თან მოხუცი და თან ქალბატონი.***

— ეე, რა უნდა გითხრა? მხატვრულად ვერ აზროვნებ.

— ***აბა, მანჩესტერს რომელ ქალს შეადარებდი? ახლა არ მითხრა ცხონებულ ლედი დისო.***

— ბევრი ვიფიქრე და...

— ***შერონ სტოუნს.***

— არა, შერონ სტოუნი „ბარსაა"...

— ***აბა, სუზი კვატრო?***

— სუზი კვატრო არა და ჯენის ჯოპლინი.

— ***ხმა ამოიღე კაცო, მაშ ვისა?***

— ეჰ, ქვეყნად არ დაბადებულა ქალი წლევანდელ „მანჩესტერს" რომ შეედაროს სილამაზით.

— ***და გაზა?***

— გაზასგან რა გინდა?

— ***გაზა ვისა ჰგავს?***

— პაბლო პიკასოს.

— ***ეგაა პიკასოს ბიჭი?***

— სხვა მე ვერ ვნახე და...



ზინედინ ზიდანი (მარცხნივ) და ანტონიო კონტე გაისადაც ერთად ითამაშებენ

# ზიდანი რჩება!

— არსადაც არ მივდივარ. „იუვენტუსში“ ვრჩები. გაზეთებში დაბეჭდილი ინფორმაცია, თითქოსდა ესპანეთში მივდივარ, ტყუილია — ზინედინ ზიდანმა, ტურინის „იუვენტუსის“ გამთამაშებელმა, განაცხადა, რომ „იუვენტუსში“ დარჩება.

რამდენიმე ხნის წინ პრესაში დაიწერა, რომ ზიდანი „მანჩესტერ იუნაიტედში“ მიდიოდა. შემდგომ ეს ხმები თავად ფეხბურთელმა უარყო. მოგვიანებით იტალიელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს ხმები, თითქოსდა ზიდანს „ბარსელონაში“ ანაც „რეალში“ სურდა თამაში. ახლა კვლავ მოუხდა ფრანგს ჭორების გაფანტვა.

— „იუვენტუსში“ ბევრს მივაღწიე. მნიშვნელოვან შეხვედრათაგან უამრავი აქ ჩავატარე და არაერთი დასამახსოვრებელი რამ გადამხდა. გამიჭირდება ასე უცბად ტურინთან განშორება. კარიერის დასრულებას „იუვენტუსში“ არ ვაპირებ, მაგრამ აქედან წასვლა ასე მალე არ განმიზრახავს — კვლავ ზიდანი. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ზიზუ „იუვენტუსში“ 1996 წელს გადავიდა „ბორდოდან“. ზიდანმა სწორედ ტურინში გაიბრწყინა.

— ვიმეორებ, რომ ჩემს მეუღლეს ტურინი არ მოსწონს, მაგრამ არა იმდენად, აქ ვერ ძლებდეს. ოჯახის მდგომარეობას, ცხადია, გავითვალისწინებ, თუმცა არც ისეთი ტრაგიკული მდგომარეობაა შექმნილი, როგორც ქმნიან. „იუვენტუსი“ მიყვარს. მომავალზე წინასწარ ვერაფერს გეტყვით, გარდა ერთისა — მომავალ სეზონში აქ ვრჩები — ზიდანის ინტერვიუ სწორედ რომ დროულად გამოქვეყნდა, რადგან მისი „იუვენტუსში“ დარჩენა-არდარჩენასთან დაკავშირებით მითქმა-მოთქმა არ წყდებოდა.

# რა კარგია ფინალში თამაში




ლიზარაზუს აზრით იგი 26 მაისს კამპ ნოუზე ითამაშებს

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩი „ბაიერნი“ — „დინამო“ გერმანელი ტელექომაგებისთვის ბიქსენტე ლიზარაზუს მიყავდა. დასრულდა თუ არა მატჩი, გახარებულმა „კომენტატორმა“ წამოიძახა — რა კარგია, ფინალში ვითამაშებთ.

მსოფლიოს ჩეპიონის ამ შეძახილმა დიდი რეზონანსი ჰპოვა. ლიზარაზუს ფინალში თამაშზე მიუნხენსა და მანჩესტერში კი არა, თბილისშიც დიდი მარჩიელობა იყო გაჩაღებული. და აი, ლიზარაზუმ თავად გასცა კითხვას პასუხი. პასუხი, რომელმაც გერმანელები გაახარა, ინგლისელები კი პირიქით.

ადრე „ბორდოში“ და „ბილბაოში“ მოთამაშე ფეხბურთელი 27 მარტს დაშავდა მძიმედ. ექიმებმა სრულიად „ბაიერნისთვის“ თავზარდამცემი დასკვნა გააკეთეს — ლიზარაზუს სეზონის ბოლომდე დაემშვიდობეთო. თურმე შემცდარან.

— უკვე დღეს ვგრძნობ, რომ მალე ჯანზე ვიქნები. სამედიცინო პერსონალიც იმედიანადაა, ექიმების თქმით ჩემი გამოჯანმრთელების პროცესი საოცრად კარგად მიმდინარეობს. მალე სრული დატვირთვით დავიწყებ ვარჯიშს და 26 მაისს, ბარსელონაში, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, აუცილებლად ვითამაშებ.

რა თქმა უნდა, ბასკი მარცხენა მცველი დიდად დაეხმარება ბავარიულ კლუბს. მის არყოფნაში „ბაერნის“ დაცვას კიეველებთან ორრაუნდიან ბრძოლაში გაუჭირდა „დინამოს“ მძლავრი შეტევების მოგერიება. თანაც, ლიზარაზუს ფრთაზე დევიდ ბექემი თამაშობს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი ლიდერი. სწორედ მისი ორი „ქროსის“ შემდეგ გავიდა მეოთხედფინალში „ინტერის“ კარში ორი გოლი.

— ბრწყინვალე პერიოდი მიდგას ცხოვრებაში. სეზონის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ვითამაშე და მოვიგეთ, სეზონის ბოლოს კი ჩემპიონთა ლიგის ფინალი მელის და მჯერა, იქაც გამრჯვებული დავრჩები — თქვა საფრანგეთის ნაკრების წევრმა.

# სარბიელი
## სპორტული ლატარია “CROCO”

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXVIII ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | აინტრახტი — ჰანზა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ჰერტა — ბოხუმი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | კაიზერსლაუტერნი — ფრაიბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | მიონხენგლადბახი — ვოლფსბურგი | 3,4 | 3,2 | 1,4 |
| | შალკე — ჰამბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ნიურნბერგი — დუისბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 25.04 | მიუნხენ 1860 — ბაიერნი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

**გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXVII ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.04 | ფორტუნა — უნტერჰახინგი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| | ურდინგენი — არმინია | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | ობერჰაუზენი — ჰანოვერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | კიკერსი — კარლსრუე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ბერლინი — ვატენშაიდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 26.04 | გოუტერსლო — ფიურტი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXV ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ასტონ ვილა — ნოტინგემი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ბლექბერნი — ლივერპული | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | დერბი — საუთჰემპტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ევერტონი — ჩარლტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ლესტერი — ქოვენთრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | მიდლსბრო — არსენალი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| | ტოტენჰემი — ვესტ ჰემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | უიმბლდონი — ნიუკასლი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 25.04 | ლიდსი — მანჩესტერი (15[00]) | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| | შეფილდ უენსდეი — ჩელსი | 3,5 | 2,8 | 2,0 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XLIV ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ბრისტოლი — ბირმინგემი | 1,9 | 3,1 | 3,3 |
| | ჰადერსფილდი — ბარნსლი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | იფსვიჩი — ქრიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ოქსფორდი — ნორვიჩი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | პორტსმუთი — სტოკპორტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ქუინზ პარკი — ბრედფორდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| | სანდერლენდი — შეფილდ იუნაიტედი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სვინდონი — გრიმსბი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ტრანმერი — პორტ ვეილი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| | უოტფორდი — კრისტალ პალასი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 25.04 | ვულვერჰემპტონი — ვესტ ბრომვიჩი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ნანტი — მეცი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | მონაკო — ბასტია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ლორიანი — სტრასბური | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | ნანსი — ტულუზი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ლანსი — მარსელი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ოსერი — მონპელიე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | სოშო — ბორდო | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 25.04 | ლიონი — რენი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | პსჟ — ლე ავრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXX ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.04 | კალიარი — პერუჯა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | ემპოლი — ბარი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ინტერი — უდინეზე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | იუვენტუსი — ფიორენტინა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | პიაჩენცა — ვენეცია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | რომა — პარმა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | სალერნიტანა — ბოლონია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | სამპდორია — ლაციო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ვიჩენცა — მილანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXI ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ტრევიზო — ჯენოა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,2 | 2,8 | 2,3 |
| 25.04 | ატალანტა — ტორინო | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| | ქრიუ — ლუკეზე | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ლეჩე — ტერნანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ნაპოლი — კიევო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | პესკარა — კოზენცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | რავენა — მონცა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| | რეჯანა — ჩეზენა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | რეჯინა — ფ. ანდრია | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | ვერონა — ბრეშა | 1,6 | 2,8 | 6,5 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXI ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ვალენსია — სელტა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 25.04 | ალავესი — ვილიარეალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | დეპორტივო — ვალიადოლიდი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ატლეტიკო — ბარსელონა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | მალიორკა — ბილბაო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | ტენერიფე — ბეტისი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | ოვიედო — სარაგოსა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | სოსიედადი — რასინგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ესპანიოლი — ესტრემადურა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | სალამანკა — რეალი | 4,2 | 2,9 | 1,8 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXIV ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ბარსელონა B — ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ლას პალმასი — სევილია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 25.04 | ერკულესი — ოსასუნა (15[00]) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ალბასეტე — ლეგანესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ტოლედო — მერიდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ეიბარი — რეკრეატივო | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | სპორტინგი — ორენსე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | მალიორკა B — კომპოსტელა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ატლეტიკო B — ნუმანსია (15[00]) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | რაიო ვალეკანო — ლეიდა (15[00]) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ლოგრონიესი — მალაგა | 3,4 | 2,9 | 2,0 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIX ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ამადორა — ალვერკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ბენფიკა — პორტუ | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 25.04 | კამპომაიორენსე — ფარენსე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ბეირა მარი — მარიტიმუ | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | აკადემიკა — ლეირია | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| | სპორტინგი — ბოავიშტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 26.04 | რიუ ავე — გიმარაეში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | შავეში — სალგეირუში | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | კამბური — სპარტა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ჰერენვენი — ალკმაარი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 25.04 | ფეიენოორდი — ბრედა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | სიტარდი — როდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ნაიმეგენი — ვიტესი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ვალვაიკი — ტვენტე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | უტრეხტი — მაასტრიხტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ტილბურგი — აიაქსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XXX ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ანდერლეხტი — ოსტენდე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | ლომელი — სტანდარდი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | სტ. ტრუიდენი — გენტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ეკერენი — გენკი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | მუსკრონი — ბევერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლოკერენი — აალსტი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 25.04 | ვესტერლო — შარლერუა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ბრიუგე — კორტრაიკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ჰარელბეკე — ლიერსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

**პოლონეთის ჩემპიონატი. XXIII ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | პოლონია — ვიძევი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ოდრა — ზაგლებე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | პოგონი — სტომილი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ლკს — რაძიონკოვი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ბელხატოვი — ლეგია (16[30]) | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | რუხი — ამიცა | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**თურქეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | გაზიანთეფი — ფენერბაჩე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 25.04 | საქარია — ქარაბუქი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ანკარა — ადანა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ალთაი — ერზურუმი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ბურსა — ისთანბული | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | დარდანელი — ქოჯაელი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ანთალია — გენჩლერბირლიგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | ტრაბზონი — გალათასარაი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. XXXII ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | დანდი — კილმარნოკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | მოზერველი — ჰართსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | სტ. ჯონსტონი — სელტიკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| 25.04 | რეინჯერსი — აბერდინი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. XXX ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | აუსტრია — რიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ტიროლი — შტაირი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | გრაცერი — რაპიდი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | ლუსტენაუ — ზალცბურგი | 5,3 | 3,1 | 1,6 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი. VIII ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ლუცერნი — ციურიხი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | სერვეტი — ქსამაქსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სტ. გალენი — ბაზელი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

**რუსეთის ჩემპიონატი. IV ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.04 | შინიკი — ცსკა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ზენიტი — სპარტაკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლოკომოტივი — სატურნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | დინამო — ნ. ნოვგოროდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | კრილია — ტორპედო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ალანია — როსტსელმაში | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ურალანი — როტორი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | ჩერნომორეცი — ჟემჩუჟინა | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**შვედეთის ჩემპიონატი. III ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | იორგრიტე — მალმიო | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 25.04 | ჰალმსტადი — ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ჰელსინგბორგი — იურგარდენი | 1,5 | 3,2 | 6,0 |
| | ტრელებორგი — გოტებორგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ელფსბორგი — ჰამარბი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | აიკ — კალმარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ფრიოლუნდა — იორებრო | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი.**

მატჩი მე-3 ადგილისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | მალი — ურუგვაი (17[00]) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ესპანეთი — იაპონია | 1,7 | 3,0 | 4,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



## თასების მფლობელთა თასი

XXIV გათამაშება 1983-84 წლები

**იუვენტუსი**

ტურინი, იტალია

სოლომონ ქულისაშვილი

UEFA Cup Winners' Cup

## სრული ისტორია



ფინალი. ბონინი (4), შირეა და პლატინი (მარჯვნივ) პორტუელ ფრაშკუს ებრძვიან

# იუვე პანტიანში

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩემი ფეხბურთელები მხოლოდ თხილამურებზე სრიალებდნენ და ერთადერთი ამხანაგური მატჩი ითამაშეს, ისიც დარბაზში. ამიტომაც საბოლოო შედეგით უკმაყოფილო ვერ ვიქნები — თქვა ტურინში მეოთხედფინალური რაუნდის შემდეგ ფინეთის „ჰაკას" მწვრთნელმა ვიკილამ. მართლაც უჩვეულო სანახაობა იყო. სამოყვარულო ფინურმა გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „ვარსკვლავურ" „იუვენტუსს". მარკო ტარდელის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში. მაყურებელმა სტვენით გააცილა თავისი გუნდი, მწვრთნელმა ტრაპატონიმ კი თავი იმართლა: გულშემატკივრებს გოლების ნახვა სურდათ, მაგრამ ხომ შეამჩნიეთ, თერთმეტივე ფინელი კარში იდგა და რომელ სანახაობაზეა ლაპარაკი. თასების თასზე დღემდე თამაში არ წაგვიგია, ჩემპიონატშიც ვლიდერობთ, მეტი რაღა უნდათო...

ფინელებთან იტალიელები მართლაც უსახურად გამოიყურებოდნენ, არადა, მაშინ დიდებული გუნდი ჰყავდათ, ალბათ, საუკეთესოც თავის ისტორიაში. ხუთი მსოფლიოს ჩემპიონი: ჯენტილე, შირეა, კაბრინი, ტარდელი და როსი, გენიალური ფრანგი, იმ წლებში ევროპის ზედიზედ სამჯერ საუკეთესო ფეხბურთელი მიშელ პლატინი და პოლონელი ვარსკვლავი ზბიგნევ ბონეკი. აბა, ვინ დაუდგებოდა ამათ... წინა წელს ჩემპიონთა თასის ფინალი წააგეს დასავლეთგერმანულ „ჰამბურგთან", 84-ში თასების თასი მოიგეს, ხოლო მომდევნო სეზონის გადამწყვეტ მატჩში „ლივერპულს" სძლიეს და ჩემპიონთა თასიც დაისაკუთრეს.

ნახევარფინალში „იუვეს" ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" დაუპირისპირდა. „ოლდ ტრეფორდზე" „ალისფერები" ფაქტობრივად ნახევარდაცვის გარეშე გავიდნენ. დაშავებული შუახაზელები უილკინსი, მიურენი და კაპიტანი ბრაიან რობსონი მათთვის ბევრს ნიშნავდნენ. იტალიელებს მსაჯის მოსყიდვაც უცდიათ, ყოველ შემთხვევაში, ჰოლანდიელი არბიტრი კაიზერი არაერთხელ უნახავთ „ბებერ ქალბატონთან" სასტუმროში. ინგლისელებმა რომ ეს ამბავი გაიგეს უეფაში იჩივლეს, მსაჯი შეცვალეთო, მაგრამ უარი მიიღეს, დამამტკიცებელი საბუთი არ გაქვთ და ეჭვიანობისთვის არბიტრს ვერ გამოგიცვლითო.

დასაწყისშივე პაოლო როსიმ გახსნა ანგარიში, მერე შეცვლაზე შემოსულმა დეივისმა გაათანაბრა. ცოტა ხანში „ემიუს" ჩრდილოირლანდიელმა ნორმან უაითსაიდმა მეორეც შეაგდო, მაგრამ... როგორც შემდეგ „თაიმზი" წერდა, არბიტრმა გოლის მაგიერ ფოლი ჩათვალაო.

ტურინში პლატინიმ გაიბრწყინა. ის მინდორზე ნამდვილი ლიდერი იყო. მე-13 წუთზე სწორედ მისი გონივრული გადაცემის წყალობით შეაგდო ბონეკმა. დამთავრებამდე წამებიღა რჩებოდა, ანგარიში 1:1 გახლდათ და თითქოს დამატებით დროსაც აღარაფერი უკლდა, მაგრამ ამ დროს „იუვეს" კაპიტანმა შირეამ გრძელი დრიბლინგი განახორციელა, როსის გადასცა და ამანაც გამარჯვების ბურთი შეაგდო.

ფინალში „იუვენტუსი" პორტუგალიურ „პორტუს" შეხვდა, საკმაოდ ტექნიკურ და მებრძოლ გუნდს. თბილისელებს ისინი დონეცკის „შახტიორთან" მეოთხედფინალებისას ემახსოვრებათ. განსაკუთრებით პაშეკუ, ირლანდიელი უოლში და ორი შემტევი ფერნანდო გომეში და უაღრესად ტექნიკური ვერმელინიო გამოირჩეოდნენ.

ახლა კი, თბილისელებს 1984 წლის მაისი მინდა გავახსენო. 16-ში, დაახლოებით ღამის ათ საათზე, ორი მანქანით, თვითნაკეთი ანტენითა და ტელევიზორით თორმეტამდე კაცი პანტიანისკენ წავედით, „იუვე" — „პორტუს" ფინალი უნდა გვენახა.

გახსოვთ პანტიანი, განსაკუთრებული ადგილი გულშემატკივრებისთვის? აბა, მაშინ ტელევიზიით ვინ გიჩვენებდა ასეთ თამაშებს. იქ კი, პატარა მინდვრის რაღაც მონაკვეთზე, თურქული არხების მიღება შეიძლებოდა და მიდიოდა ხალხი. თერთმეტი საათისთვის ტევა აღარ იყო-ხოლმე. ზოგი ანტენებით დარბოდა, ზოგი ტელევიზორს ასწორებდა, ზოგიც პურ-მარილით ამოსულიყო და სანახაობას ელოდა. ცხადია, ჩვენება ხარისხიანი არ იყო, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა. ზოგჯერ ისეც მომხდარა, ათამდე ტელევიზორიდან მხოლოდ ერთს დაუჭერია სასურველი არხი და მერე უნდა გენახათ, ორასამდე ადამიანი რომ მიაწყდებოდა იმ ერთ საწყალ, შიშინა ტელევიზორს და უკეთეს შემთხვევაში საათნახევრით ყველაფერს ივიწყებდა. რა თქმა უნდა, ამ დროს ყველაზე კარგ ადგილზე ტელევიზორის პატრონი იჯდა, დანარჩენები მოხერხების მიხედვით. მაგრამ ნაღდ ქომაგებს ერთი დაუწერელი კანონი აქვთ, სტადიონზე იქნება თუ ტელევიზორთან, რაოდენობის მიუხედავად, ყოველთვის შეუძლიათ ისე დასხდნენ, რომ ნაწყენი არავინ დარჩეს.

რეპორტაჟის დამთავრების შემდეგ იწყებოდა თამაშის გარჩევა, კამათი და ასე, თითქმის დილამდე. შინ გამთენიისას ვბრუნდებოდით. იმ ღამეს გაგვიმართლა, ჩვენმა ტელევიზორმა სიგნალი კარგად დაიჭირა და ფინალიც დაიწყო.

სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. პირველი სწრაფი კონტრშეტევის ნაყოფი გახლდათ. პორტუგალიელთა შეტევას, რომელიც კინაღამ გომეშის გოლით დამთავრდა, უჩვეულო, ყვითელ-ლურჯ ფორმაში გამოწყობილი „იუვეს" კონტრდარტყმა მოჰყვა. პლატინიმ შესანიშნავად გადასცა მეტოქის საჯარიმოსთან მყოფ ვინიოლას და ამანაც მეკარე ზე ბენტუს შანსი არ დაუტოვა 1:0. გოლმა იტალიელები გაათამამა და იერიშებსაც უმატეს, მაგრამ მალე სოუზას დაახლოებით 20 მეტრიდან დარტყმული ბურთი „იუვეს" კარის ბადეში აღმოჩნდა 1:1 და ახლა პორტუგალიელებმა შეუტიეს, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, თუმცა გოლი საკუთარ კარში მიიღეს, ვინიოლამ ბონეკი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და 2:1.

ასეთი იყო „იუვე" პანტიანში.

ტურინული გუნდის ტრიუმფი გაგრძელდა. ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე ისინი იტალიის ჩემპიონები გახდნენ, ახლა ამას თასთა თასიც დაუმატეს. ტრაპატონი თავდაჯერებული იყო: „პირველ ნახევარში შესანიშნავად ვითამაშეთ, მეორეში ცოტა უარესად, მაგრამ საბოლოო ჯამში მეტოქეს ვაჯობეთ. შარშან ათენში „ჰამბურგთან" ჩემპიონთა თასის ფინალი წავაგეთ, მიხარია, რომ სწორი დასკვნები გავაკეთეთ და შეცდომა აღარ გავიმეორეთ.

„პორტუ" ფინალში მეორე მწვრთნელმა მორაეშმა გაიყვანა. პირველი — ჟოზე მარია პედროტო ავად იყო და სამი თვის განმავლობაში შინ იწვა. მორაეში ამბობდა, ბონეკის გოლი არ უნდა ჩაეთვალათ, დამცველ პერეირას ხელი ჰკრაო, ამას არც თავად პერეირა უარყოფდა, მაგრამ მიმომხილველთა უმეტესობამ პირიქით მიიჩნია, იმ ეპიზოდში თამაშის წესს პორტუგალიელი არღვევდაო.

„იუვენტუსისთვის" ეს მეორე ევროთასი იყო, მანამდე 1977-ში ტურინელებმა უეფას თასი მოიპოვეს.



ფინალი. ვინიოლა (7) და კაბრინი პირველ გოლს ზეიმობენ



იუვენტუსი 1984 წელს. მარცხნიდან დგანან: ბრიო, ტაკონი, პლატინი, ჯენტილე, პენცო, შირეა; სხედან: კაბრინი, ბონინი, ბონეკი, ტარდელი, როსი

**წინასწარი წრე** სოუნსი (უელსი) — მაგდებურგი (გდრ) 1:1, 0:1

### პირველი წრე

აეკ (საბერძნეთი) — უიპეშტ დოჟა (უნგრეთი) 2:0, 1:4; ნიუკებინგი (დანია) — შახტიორი (სსრკ) 1:5, 2:4; დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) — პორტუ (პორტუგალია) 2:1, 0:1; გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 1:2, 1:2; ჰამარბიუ (შვედეთი) — 17 ნანტორი (ალბანეთი) 4:0, 1:2; აკრანესი (ისლანდია) — აბერდინი (შოტლანდია) 1:2, 1:1; იუვენტუსი (იტალია) — ლეხია (გდანსკი, პოლონეთი) 7:0, 3:2; მაგდებურგი — ბარსელონა (ესპანეთი) 1:5, 0:2; მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — დუკლა (ჩეხოსლოვაკია) 1:1, 2:2; იდმან იურდუ (თურქეთი) — სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 0:0, 0:1; ნაიმეგენი (ჰოლანდია) — ბრანი (ნორვეგია) 1:1, 1:0; პარალიმნი (კვიპროსი) — ბევერენი (ბელგია) 2:4, 1:3; სერვეტი (შვეიცარია) — ავენირი (ლუქსემბურგი) 4:0, 5:1; სლიგო როვერსი (ირლანდია) — ჰაკა (ვალკეაკოსკი, ფინეთი) 0:1, 0:3; სვაროვსკი ვაკერი (ავსტრია) — კიოლნი (გფრ) 1:0, 1:7; ვალეტა (მალტა) — რეინჯერსი (შოტლანდია) 0:8, 0:10

### მეორედფინალი

ბევერენი — აბერდინი 0:0, 1:4; ჰამარბიუ — ჰაკა 1:1, 1:2 დ.დ. (პელსინკი); ნაიმეგენი — ბარსელონა 2:3, 0:2; რეინჯერსი — პორტუ 2:1, 0:1; პსჟ — იუვენტუსი 2:2, 0:0; შახტიორი — სერვეტი 1:0, 2:1; სპარტაკი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:2, 0:2; უიპეშტ დოჟა — კიოლნი 3:1, 2:4

### მეოთხედფინალი

ბარსელონა — მანჩესტერ იუნაიტედი 2:0 (პოჯი, ს.კ. რობსონი), 0:3 (რობსონი 2, სტეპლტონი)

ჰაკა — იუვენტუსი 0:1 (ვინიოლა) (სტრასბური), 0:1 (ტარდელი)

პორტუ — შახტიორი 3:2 (ჟაიმე პაშეკუ, ფრაშკუ, ჟაკემი; მოროზოვი, სოკოლოვსკი), 1:1 (უოლში; გრაჩოვი)

უიპეშტ დოჟა — აბერდინი 2:0 (კორნერი, ჯერვდი), 0:3 დ.დ. (ჰიუვი 3)

### ნახევარფინალი

მანჩესტერ იუნაიტედი — იუვენტუსი 1:1 (დევისი; როსი), 1:2 (უაითსაიდი; ბონეკი, როსი)

პორტუ — აბერდინი 1:0 (ვომეში), 1:0 (ვერმელინიო)

**ფინალი. ბაზელი. 16 მაისი. 60 000 მაყურებელი**

**იუვენტუსი 2:1 პორტუ**

1:0 ვინიოლა (13), 1:1 სოუზა (29), 2:1 ბონეკი (41)

იუვენტუსი: ტაკონი, ჯენტილე, კაბრინი, ბონინი, ბრიო, შირეა, ვინიოლა (კარიკოლა 87), ტარდელი, როსი, პლატინი, ბონეკი

პორტუ: ზე ბენტუ, ჟოაო პინტუ, ლიმა პერეირა, ეურიკო, ედუარდო ლუიში (კოშტა 46), მაგალაეში (უოლში 65), ფრაშკუ, ჟაიმე პაშეკუ, გომეში, სოუზა, ვერმელინიო

მსაჯი: პროკოპი (გდრ)

## საქართველოს ჩემპიონატი 28 ტური ანონსი

არა მგონია, აუტსაიდერთათვის შაბათი დღე საზეირო გამოდგეს. ბოლოადგილოსან სამეულს ამ ტურში მეტოქეებად ისეთი გუნდები ერგო, მათგან ქულათა გამოძალვა არ უწერია. თავად განსაჯეთ, კოლხები „აზოტს“ ეწვევიან, მაღლა ფრენას გადაჩვეული „შევარდენი“ — „დინამოს“, არმიული კლუბი კი — „ვითას“.

აბა, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა თავში, რომ ბედისგან მიტოვებულნი ლიდერთა ძლევა-დაწიოკებას შეძლებენ და ქულებს მოიმკიან. თუმც ცხრილის ბოლოში მოკალათებული მეზობლების უიმედობაზე ჩვენგან ასე ხუმრალებით საუბარი არ ეგების. ჯობს, თითოეული მატჩი სათითაოდ განვიხილოთ, თუმც პესიმისტურ ტონს მაინც ვერსად გავექცევით...

მართლაც მეოცნებე უნდა იყოს კაცი, სოხუმელი სტუდენტობის გამარჯვება რომ იწინასწარმეტყველოს. თანაც ვისთან — „აზოტთან“, რომლის დამმარცხებელიც „ვითას“ მეტი არავინ გამოჩენილა. ჰოდა, „კოლხაც“ რა ბედენაა. რუსთაველები, როგორც სჩვევიათ, მოწინააღმდეგეს „გაფართხალების“ საშუალებას კი მისცემენ და მერე ციდან მიწაზეც უმალ დეჰაბრუნებენ. ყველაფერიც თავის ადგილას დალაგდება და მობობოქრე შარშანდელი ვიცე-ჩემპიონის

**24 აპრილი. ვერის ბაღი. 11 საათი**
**აზოტი — კოლხა**

**24 აპრილი. ვერის ბაღი. 12. 30 საათი**
**შევარდენი — დინამო**

**24 აპრილი. ვერის ბაღი. 14 საათი**
**ვითა — ასკ**

საქმეში ხილვაც ერთ რამედ ეღირება...

აი, „დინამო“ კი, აზოტელთაგან განსხვავებით, მოგების სათავისოდ დაგულებას პირველსავე წუთებიდან შეეცდება და შევარდნელთ სწრაფ, თამაშს შესთავაზებს. ლევან მოსეშვილის შეგირდების ნაცად ტაქტიკას მეტოქე გუნდი შორიდან სროლებს დაუპირისპირებს. მაგრამ დინამოელებს არც ეს ანაღვლებთ. მთავარია კაზანჯიანის გაუვნებლება შეძლონ, რომელსაც ზუსტი სამიანები დიდად ეხერხება. მასთან ჭიდილში ერთურთს მაისურაძე, ხოშტარია და ნიკოლაძე შეენაცვლებიან და რიცხვმრავლობა საბოლოოდ მაინც თავისას გაიტანს...

არც ასკ-ს ვითელთაგან დანდობის იმედი. მით უმეტეს, რომ ექვსგზის ჩემპიონს „აზოტთან“ დამარცხების სიმწარე ჯერაც არ ექნება განელებული. ძველებურ მრისხანე სახელის აღდგენის მოსურნე „ვითა“ თავიდანვე გამეტებით ეკვეთება მეტოქეს და ალბათ, ახლოს არ გაიკარებს. თავის მხრივ არც არმიელები იქნებიან გულხელდაკრეფილნი. თავისას ისინიც ეცდებიან, მაგრამ ნუ მიწყენენ და, ამ ეტაპზე სასწაულს ვერ მოახდენენ, ამის ძალა მათ ნამდვილად არ შესწევთ.

**მამუკა ტუღუში**

## საქართველოს ჩემპიონატი 29 ტური ანონსი

წინა ტურის მსგავსად ახლაც ყველაზე საინტერესო შეხვედრა სამომავლოდ გადაიდო. სდასუ — თსუ-ს ვგულისხმობ, ამ სტუდენტურ დაპირისპირებას ორივე გუნდისთვის დიდი ფასი დაედო. იმდენად დიდი, რომ თსუ-ს თავკაცობამ, ჭაბუკთა ნაკრებში გიორგი მარკოიშვილი რომ მიუვლენია, უარი განაცხადა თამაშზე. ასეა, პლეიოფამდე ერთი წრეღა დარჩა, თსუ-ც არ არის ის ჩიტი, ზედმეტად თავი აიტკივოს, ფინალურ ოთხეულში მოხვედრა ჯერაც სათუოდ აქვს და კაცნაკლული სდასუსთან შებმას რომ უარობს, ბუნებრივია. ასევე ვერ ვიხილავთ „კოლხა“ — სტუ-ს. კვიპროსს გამგზავრებულ კადეტთა ნაკრებში ხომ სწორედ ამ კლუბების წამყვანი კალათბურთელები თამაშობენ.

29-ე ტურში ხელთ სამი შეხვედრაღა შეგვრჩა. რაღა დაგიმალოთ და ვფიქრობ, თვალსასეირო ბევრიც არაფერი იქნება. სამივე წყვილში უთანასწორო ბრძოლას უნდა ველოდეთ და აი, რატომ.

ფრთები მოსტეხია „შევარდენს“. თითქმის გარკვეულია ამ გუნდის ბედი. გათამაშების ცხრილში მეცხრე საფეხურზე გამაგრებული მომდევნო სეზონში, ალბათ, ქვედა ლიგაში ჩაინაცვლებს. მისი დღევანდელი ყოფა დიახაც რომ საწინდარია ზემოთქმულის და კლუბის მესვეურებსაც უჯობთ, „შევარდენის“ ხელმეორედ დასაფრთიანებლად დაირაზმონ. მათი მეტოქე კვირას „ვითა“ იქნება, ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი, რომელიც მშვიდად, აუღელვებლად მიიყვანს მატჩს

**25 აპრილი. ვერის ბაღი. 11 საათი**
**ვითა — შევარდენი**

**25 აპრილი. ვერის ბაღი. 12. 30 საათი**
**ასკ — დინამო**

**25 აპრილი. ვერის ბაღი. 14 საათი**
**აზოტი — მაკაბი**

სასურველ შედეგამდე. ვეჭვობ, ვითელებმა თავი დიდად მოიკლან. ზურაბ ტომარაძის გუნდი ამ თამაშს უფრო პრინციპული შეხვედრების წინ მოსამზადებლად გამოიყენებს. არ იფიქროთ, გადაჭარბებული ნათქვამი იყოს, სიმართლეს ვერ გავექცევით.

არც ვიცე-ჩემპიონებს დაადგებათ დიდი ჯაფა. საკმარისია, აზოტელებმა პატარა ოფლი გამოიღინონ და „მაკაბისაც“ წლეულს მეოთხედ დაამარცხებენ. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის და გუნდის დღევანდელ სატურნირო მდგომარეობას თუ გადავხედავთ, ნახევრად მოუგვარებიათ კიდეც საქმე. ეგ არის, პირველი ლიგის ორ გამარჯვებულ გუნდთან გადათამაშება არ ასცდებათ, რადგან წინ მყოფ სდასუელებს გვარიანად, ექვსი ქულით ჩამორჩებიან. რუსთაველები კი ერთპიროვნულად ლიდერობენ ჩემპიონატს და კვლავაც დამაჯერებლად მიიწევენ წინ.

ცოტა იქნებ ასკ — „დინამოს“ შეხვედრისას ვიხილოთ სიმძაფრის მაგვარი, მაგრამ ესეც ნაკლებად მოსალოდნელია. მართალია, ორივე გუნდი ახალგაზრდულია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლევან მოსეშვილის „დინამოში“ უფრო უხვად არიან კარგი შემსრულებლები, ვიდრე არმიულ გუნდში. ეგეც რომ არა, დინამოელები ოთხეულში მოხვედრის შანსს ჯერაც ინარჩუნებენ. წინა დღეს „შევარდენის“ დამარცხებით, კვირას კი ასკ-ს ძლევით უეჭველ ოთხ ქულას გეგმავენ და, ალბათ, წინაც ვერაფერი დაუდგებათ.

**გიორგი ბიძაშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# 20 წლის წინ მართვე აფრინდა

20 წლის წინ ორმა თბილისელმა კაცმა, გია მიქაძემ და თამაზ ოქრუაშვილმა თბილისში, ვერაზე, კალათბურთით დაინტერესებულ ბავშვებს თავი მოუყარეს, სპორტული ჯგუფი გახსნეს და სახელად „მართვე“ უწოდეს...

წარსულშიც გადავიხედოთ და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების სამმართველოს მიერ 1979 წელს გაცემული ბრძანება წავიკითხოთ: „ნება დაერთოს თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დირექციას შექმნას და ჩარიცხოს კალათბურთის მე-5 სპორტულ კლასში ქალაქ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შემდეგი მოსწავლეები: დავით ლლონტი, ზვიად კოტრიკაძე, გიორგი ქართველიშვილი, გიორგი გალდავა, ლაშა რევაზიშვილი, დავით ზიბზიბაძე (ყველა — 55-ე სკოლა), მიხეილ ჯალაღანია, გურამ და არჩილ ლორთქიფანიძეები, გიგა შეყრილაძე, ზურაბ ონიანი (ყველა — 53-ე სკოლა), დავით თორთლაძე, დავით უსტიაშვილი (1-ლი სკოლა), შალვა ცხვედიანი (126-ე სკოლა), ამირან სხიერელი (130-ე სკოლა), ვლადიმერ კუპატაძე (169-ე სკოლა), ალეკო ქილიტაური (42-ე სკოლა)“.

თბილისის სკოლებიდან შეკრებილ 17 ბავშვს მალე რაიონებიდან შეუერთდებიან: ირაკლი და ლაშა ვაშაკიძეები, მიხეილ კობეშავიძე, ამროსი ორმოცაძე, გოდერძი კორძაძე, შოთა უძილაური, მალხაზ ანდღულაძე და კახა შენგელია. აი, პირველი მართვეები. პირველები, თორემ „მართვეს“ სკოლაგამოვლილი კალათბურთელების ჩამოთვლას ერთი გაზეთი არ ეყოფა.

კიდევ ერთხელ გადავხედოთ ამ სიას და რამდენ ნაცნობ სახელს წავაწყდებით! პირველი მართვეებიდან ბევრი დღესაც თამაშობს, ბევრმა კარიერა უკვე დაასრულა, ზოგი უკვე მწვრთნელია და ზოგის სპორტული მოღვაწეობა სკოლის ასაკშივე დასრულდა. სამწუხაროდ, სკოლის ორი ათეული წლის იუბილეს ველარ მოესწრნენ მიშიკო ჯალაღანია, გიორგი მიროტაძე, ლაშა რევაზიშვილი და გურამ ლორთქიფანიძე. ზოგი აფხაზეთის ომმა შეიწირა, ზოგი — უბედურმა შემთხვევამ, ზოგი — უკურნებელმა სენმა.

...ცხოვრება გრძელდება და 20 წლის წინანდელი პირველი მართვეები დღეს 29-30 წლის ვაჟკაცი არწივები არიან. ისინი 22 აპრილს შეიკრიბნენ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში და განვლილი წლები გაიხსენეს.

პირველი მართვეების შეკრება დაემთხვა მათი მეგობრის მიშიკო ჯალაღანიას ხსოვნის ტურნირს, რომელიც წლეულს მეორედ ტარდება. მერე პირველმა მართვეებმა თავად მოირგეს საკალათბურთო ფორმა, შუაზე გაიყვნენ, კალათბურთის თამაშით გულიც იჯერეს და ბავშვობაც გაიხსენეს.

„მართვეს“ საკალათბურთო სკოლამ ბევრი სპორტსმენი აღუზარდა ქართულ კალათბურთს. დღევანდელ ქართულ გუნდებში მოთამაშეთა აბსოლუტური უმრავლესობა იქ გამოიზარდა. მართვეები საქართველოთი არ დაკმაყოფილდნენ და ევროპის კლუბებშიც გადაფრინდნენ (ჩხეიძე, ნაცვლიშვილი, ბერძენიშვილი და სხვ). ამ სკოლაში არ აღზრდილი, მაგრამ მის კედლებგამოვლილი სტეფანია მთლად ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობს.

„მართვეს“ დამაარსებელთაგან ერთ-ერთი, ბატონი თამაზ ოქრუაშვილი დღესაც „მართვეში“ მუშაობს და ახალ მართვეებს აფრთიანებს. პარალელურად კი, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ სტუ-ს ხელმძღვანელობს. რაც შეეხება ბატონ გია მიქაძეს, პროფესიით ქიმიკოსს, მან მწვრთნელობას კარგა ხანია დაანება თავი, მაგრამ კალათბურთში მაინც მოღვაწეობს — კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრია.

რესპონდენტის ადგილი ბატონმა გიამ ბატონ თამაზს დაუთმო — მე დიდი ხანია მწვრთნელობას შევეშვი და, უპრიანია, თამაზმა ისაუბროსო:

**— ბატონო თამაზ, ვისი იდეა იყო ბავშვთა საკალათბურთო ჯგუფის გახსნა?**

— 1979 წლის ზაფხულში მე და გია მიქაძე ერთმანეთს ვერაზე შევხვდით. გავისაუბრეთ და გადავწყვიტეთ ბავშვთა საკალათბურთო ჯგუფის გახსნაზე გვემუშავა. იმავე წლის შემოდგომაზე შემოვიარეთ ვაკეში და ვერაზე მდებარე სკოლების მე-3 და მე-4 კლასები. ყველა მსურველს, ფიზიკური მონაცემების მიუხედავად, ჩვენთან ვიწვევდით. ბავშვები ძირითადად 53-ე, 55-ე და პირველი საშუალო სკოლებიდან მოვიდნენ. ვაკეში და ვერაზე მდებარე თითქმის ყველა სკოლის სპორტულ დარბაზში წყალი ჩამოდიოდა. ამიტომ არჩევანი გავაკეთეთ პირველ სკოლაზე, რომლის დარბაზიც ყველას სჯობდა. აქ კი ჩვენ დაგვრჩა წყალი მოშვებული, რაც სკოლის დატოვების ფასად დაგვიჯდა. რაღა უნდა გვექნა, მივაშურეთ 53-ე სკოლას და იქაური პირობებით დავკმაყოფილდით.

**— როდის დაირქვით „მართვე“?**

— თავიდან ოთხი ჯგუფი გვყავდა, სადაც 1969-1970 წლებში დაბადებული ბავშვები ვარჯიშობდნენ. 1982 წელს თბილისში ჩავატარეთ საკავშირო ტურნირი, რომელსაც „ჩვენ 12 წლისანი ვართ“ დავარქვით. ამ ასპარეზობაში ლიტვის, ლატვიის, მოსკოვის და ლენინგრადის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ჩვენი გუნდისთვის სახელი იყო საჭირო და „მართვე“ შევარჩიეთ.

**— რატომ მაინც და მაინც „მართვე“?**

— იმ დროისთვის არჩილ გოგელიას რედაქტორობით გამოდიოდა შესანიშნავი ქართული სპორტული ჟურნალი „მართვე“. იქ ჩვენი მეგობრები, მხატვარი ვახტანგ რურუა და ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილი მუშაობდნენ. ჟურნალი პოპულარული იყო, სახელი მოგვეწონდა — აზრობრივად შეეფერებოდა ბავშვთა გუნდს და ბევრიც აღარ გვიფიქრია.

**— სკოლის გახსნიდან 20 წელიწადი გავიდა. რამდენად კმაყოფილი ხართ „პირველი მართვეების“ თაობის მიღწევებით?**

— 90-იანი წლების მოვლენებმა ბიჭები დაქსაქსა, თორემ უდავოდ მეტს გააკეთებდნენ. საყოფაცხოვრებო თუ სხვა პირობების გამო ბევრი საერთოდ შეეშვა სპორტს, ბევრმა ბოლომდე ვერ გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები... არადა, ნიჭიერი თაობა იყო. მათ 1985 წელს საშუალო, ხოლო 1987 წელს უფროსი ასაკის ბავშვთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მოგება შეძლეს. პირველი მართვეების მაგალითზე გამოზრდილმა მომდევნო თაობამ კი საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე გაიმარჯვა.

**— თქვენ ბავშვებთანაც მუშაობთ და დიდებთანაც. რომლებთან უფრო რთულია საერთო ენის გამონახვა?**

— რა თქმა უნდა, ბავშვებთან.

**— მაშინ კურიოზებიც შეგემთხვეოდათ...**

— 1985 წელს ლიტვაში, ლიეპაიაში გაიმართა 1967-68 წლებში დაბადებულთა საკავშირო პირველობა. მართალია, ჩვენ 1969-70 წლებში დაბადებულთა გუნდი გვყავდა, მაგრამ მონაწილეობის მისაღებად მაინც გაგვაგზავნეს. დადებულ სასტუმროში დაგვაბინავეს. სამქულიანები ახალი შემოსული იყო და ერთ მატჩში ყველაზე მეტი სამქულიანის ჩამგდებისთვის პრიზი იყო დაწესებული. მისი მფლობელი დავით თორთლაძე უნდა გამხდარიყო, რომელმაც ერთ-ერთ მეტოქეს 11 სამქულიანი ჩაუგდო. მაგრამ სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, რომ პრიზი დათოსთვის გადაეცათ. მიზეზს არ იკითხავთ? მაშინ ახალშემოსული იყო პატარა დანები, ეგრეთწოდებული „ლისიჩკები“. თორთლაძემ, უსტიაშვილმა, ცხვედიანმა, ქართველიშვილმა და ორმოცაძემ იყიდეს ეს დანები, შეგროვდნენ ნომერში, კარადაზე სამიზნე მონიშნეს და დანასობიაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. საშინლად დამახინჯებული კარადის გამო 800 მანეთით დაგვაჯარიმეს...

**— 800 მანეთით თუ დაგაჯარიმეს, პრიზი მაინც წამოგეღოთ...**

— ისე გავბრაზდი, აღარ ვიცოდი, რას ვაკეთებდი.

**— მარტო თორთლაძე დასაჯეთ, იქ კი სხვებიც იყვნენ...**

— თორთლაძე ორგანიზატორი იყო.

**— ამჟამად რა ხდება „მართვეში“?**

— „მართვე“ ეკუთვნის მიხეილ კეკელიძის სახელობის ოლ   ური რეზერვების 58-ე საკალათბურთო სკოლას. დღეს აქ ნალდი ბუმია. არ მახსოვს, ჩვენთან ერთ ასაკში 14 ჯგუფი ყოფილიყოს.

**— ბატონო თამაზ, არავის ეწყინება და „მართვეს“ დამაარსებლად პირველ რიგში თქვენ მოიაზრებით ხოლმე. პროფესიით ისტორიკოსი, ლიტერატორი და მთარგმნელი კაცი, კალათბურთით სისხლხორცეულად როდის დაინტერესდით?**

— კალათბურთით ჩემი დაინტერესება ბევრად განაპირობა იმან, რომ ვერის ბაღთან ძალიან ახლოს ვცხოვრობ. თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვათ, 50-იან წლების „დინამოს“ ვარჯიშებსაც კი არ ვაცდენდი.

ბავშვობაში ვვარჯიშობდი შესანიშნავი მწვრთნელისა და პიროვნების შალვა დიასამიძის ხელმძღვანელობით. ჩემთან ერთად ვარჯიშობდა ლევან მოსეშვილი, რომელმაც მიხეილ კეკელიძესთან გააგრძელა დაოსტატება. მე კი თავის დანებება გადავწყვიტე, რადგან სიმაღლე არ მიწყობდა ხელს.

მწვრთნელის ამპლუით კალათბურთში დაბრუნება დიდად განაპირობეს იმ მეგობრებმა, რომლებთან ერთადაც კალათბურთს ვთამაშობდი. ერთ-ერთი მათგანი, ცხონებული სანდრო გლურჯიძე სულ მეუბნებოდა — მწვრთნელობა დაიწყე რადგან უკალათბურთოდ ვერ გაძლებო. ვგონებ, სანდრო მართალი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ და, „მართვეც“ კალათბურთის უსაზღვრო სიყვარულის გამო შეიქმნა.

**როლანდ ლაგუჩიძე**



20 წლის წინ. გია მიქაძე (მარცხნივ) და თამაზ ოქრუაშვილი პირველ მართვეებთან



1999 წლის 22 აპრილი. გია მიქაძე და თამაზ ოქრუაშვილი არწივებად ქცეულ პირველ მართვეებთან

გურამ ცოცხოლავიშვილის ფოტოები

ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. ფინალი

## კინდერი 74:82 ჟალგირისი

22 აპრილი. მიუნხენი. ოლიმპიაჰალე

მსაჯები: იზტოკ რემსი (სლოვენია), კარლ იუნგებრანდი (სლოვენია)

| კინდერი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბიო | 36 | 0/5 | 1/2 | 5/8 | 5 | 2 | 2 | 5 | 8 |
| ბინელი | 3 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| კრიპა | 3 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |
| დანილოვიჩი | 34 | 2/6 | 1/5 | 0/0 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 |
| ფროზინი | 23 | 2/6 | 0/0 | 1/2 | 3 | 0 | 3 | 3 | 5 |
| ნესტეროვიჩი | 34 | 4/9 | 0/0 | 4/5 | 13 | 3 | 1 | 5 | 12 |
| ოსა[illegible]კანი | 5 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| რიგოდო | 35 | 2/7 | 5/7 | 8/10 | 2 | 1 | 2 | 3 | 27 |
| სკონოჩინი | 28 | 3/9 | 1/3 | 6/7 | 2 | 3 | 0 | 3 | 15 |
| სულ | 200 | 13/42 | 8/17 | 24/32 | 27 | 10 | 8 | 23 | 74 |

| ჟალგირისი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადომაიტისი | 17 | 4/4 | 0/0 | 0/0 | 1 | 2 | 1 | 1 | 8 |
| ბოუი | 30 | 2/6 | 3/4 | 4/6 | 1 | 0 | 2 | 4 | 17 |
| ედნი | 35 | 5/6 | 1/3 | 1/4 | 6 | 6 | 1 | 3 | 14 |
| მასიულისი | 21 | 2/7 | 0/0 | 0/0 | 4 | 1 | 0 | 1 | 4 |
| მასკოლიუნასი | 10 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| შტომბერგასი | 24 | 2/6 | 2/2 | 2/3 | 2 | 3 | 0 | 4 | 12 |
| ზიდეკი | 23 | 3/6 | 0/0 | 6/8 | 6 | 1 | 1 | 2 | 12 |
| ე. ჟუკაუსკასი | 17 | 2/4 | 0/0 | 0/0 | 1 | 1 | 1 | 5 | 4 |
| მ. ჟუკაუსკასი | 24 | 1/2 | 2/2 | 3/5 | 2 | 1 | 0 | 2 | 11 |
| სულ | 200 | 21/41 | 8/11 | 16/26 | 23 | 15 | 6 | 25 | 82 |



REUTERS მიუნხენიდან

კინდერი — ჟალგირისი. პრედრაგ დანილოვიჩი (№5) ბევრს ეცადა, მაგრამ ჩემპიონთა თასი მაინც ჟალგირისელ მეტოქეებს გადაულოცა

# გამოუცდელი დებიუტანტი ევროპის თავში დაჯდა

„თავიდან ჩვენი სურვილი პლეიოფში მოხვედრა იყო. მერე კი, ყოველი ეტაპის გავლის შემდეგ, მეტის სურვილი გვიჩნდებოდა. აქ რომ ჩამოვედით, ჩემპიონობაზე დავიწყეთ ოცნება“ — განაცხადა ნაფინალევს „ჟალგირისის“ ფორვარდმა მინდაუგას ჟუკაუსკასმა.

ლიტველები ბედნიერები არიან, რადგან ოცნებების სინამდვილედ გადაქცევა შესძლებიათ. როგორი საქმეა, ევროლიგის დებიუტანტმა კაუნასის „ჟალგირისმა“ ფინალში 82:74 სძლია შარშანდელ ჩემპიონს, ბოლონიის „კინდერს“ და ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

ტიტულის დამცველმა „კინდერმა“ ვერაფერი მოუხერხა „ჟალგირისის“ სისწრაფესა და სიზუსტეს. ლიტველებმა ძალიან დაჩაგრეს მეტოქე, ერთხანს 20 ქულასაც უგებდნენ. იტალიური გუნდი მარცხს არ ურიგდებოდა და ფრანგი ანტუან რიგოდოს შესანიშნავი თამაშის წყალობით სხვაობა ხუთ ქულამდე დაიყვანა. მაგრამ...

მოედანზე იყო ამერიკელი გამთამაშებელი ტაიუს ედნი, რომელმაც მაესტრო-დირიჟორივით ბრწყინვალედ დააკვრევინა „ჟალგირისად“ წოდებულ ორკესტრს. აშკარა იყო, „კინდერი“ ჭაობიდან ამოსაძრომად საკუთარ ქოჩორს რომ ქაჩავდა. მატჩი კანონზომიერი შედეგით დასრულდა. ედნი „ოთხთა ფინალის“ საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. კინდერელთა მწვრთნელმა ეტორე მესინამ კი ესღა თქვა: „ჟალგირისის თამაშს მხოლოდ კარგი არ ეთქმოდა. იგი საუცხოო იყო. ჩვენ იმდენად მძიმე და ტრავმებით დატვირთული სეზონი გვქონდა, რომ ფინალში გასვლაც დიდი წარმატებაა. აქ კი უფრო ღირსეულმა გუნდმა მოიგო“.

„კინდერის“ გადარჩენა ერთ კაცს შეეძლო. გუშინწინ იგი მოედანზე იყო, მაგრამ მისი იმგვარად ყოფნა „კინდერისთვის“ მხოლოდ უბედურებას მოასწავებდა. იტალიელთა იუგოსლაველმა ლიდერმა პრედრაგ დანილოვიჩმა თამაში ჩააფლავა და თავის გუნდს საბოლოო განაჩენი გამოუტანა.

„ბედნიერი ვარ ამ გამარჯვებით, მაგრამ უფრო მეტი სიხარული ჩემი გუნდის თამაშის ხარისხმა მომიტანა“ — აღტაცებას ვერ ფარავდა „ჟალგირისის“ მწვრთნელი იონას კაზლაუსკასი. ამ კაცს კი ყველაზე მეტი ეთქმის, რადგან სტანდარტული, რუხი და უინტერესო გუნდისგან ევროპის საკლუბო კალათბურთის გვირგვინოსანი შექმნა.

მართალნი არიან ოპონენტები: „ჟალგირისი“ სხვებთან შედარებით ღარიბია, არც გამოცდილება აქვს დიდი და არც ვარსკვლავებითაა გადაჭედილი. კი, ბატონო, მაგრამ ვაჟკაცობაც ისაა, ამგვარ პირობებში რომ მოიგებ, თორემ უპრობლემოს გამარჯვება რა გასაკვირია.

ლევან ავალიშვილი

ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. მესამე ადგილისთვის

## ტიმსისტემი 63:74 ოლიმპიაკოსი

22 აპრილი. მიუნხენი. ოლიმპიაჰალე

მსაჯები: მიგელ ბეტანკური (ესპანეთი), რუვენ ვიროვნიკი (ისრაელი)

| ტიმსისტემი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბეტსი | 26 | 2/7 | 0/0 | 1/2 | 4 | 0 | 0 | 4 | 5 |
| დამიაო | 22 | 2/4 | 1/2 | 0/0 | 4 | 0 | 1 | 3 | 7 |
| ფუჩკა | 32 | 3/8 | 0/0 | 0/0 | 3 | 0 | 1 | 2 | 6 |
| კარნიფოვასი | 40 | 2/4 | 1/4 | 7/9 | 4 | 4 | 1 | 3 | 14 |
| ლაცის-იარიჩი | 34 | 5/7 | 0/1 | 7/8 | 1 | 1 | 2 | 3 | 17 |
| მულაომეროვიჩი | 26 | 2/5 | 2/5 | 1/2 | 2 | 1 | 2 | 1 | 11 |
| პილუტი | 20 | 0/0 | 1/2 | 0/0 | 1 | 4 | 0 | 3 | 3 |
| სულ | 200 | 16/35 | 5/14 | 16/21 | 19 | 10 | 7 | 19 | 63 |

| ოლიმპიაკოსი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადე მანსა | 13 | 1/1 | 1/1 | 0/0 | 1 | 1 | 0 | 2 | 5 |
| ფასულასი | 13 | 2/3 | 0/0 | 3/4 | 3 | 0 | 1 | 2 | 7 |
| გოლდვაიერი | 23 | 1/3 | 1/4 | 1/1 | 1 | 2 | 1 | 0 | 6 |
| კომაზეცი | 26 | 5/8 | 1/5 | 0/0 | 1 | 0 | 3 | 2 | 13 |
| ობერტო | 20 | 2/6 | 0/0 | 5/7 | 8 | 1 | 1 | 3 | 9 |
| პაპანიკოლაუ | 18 | 2/4 | 1/2 | 2/6 | 2 | 0 | 0 | 3 | 9 |
| როჯერსი | 30 | 1/4 | 0/1 | 2/2 | 6 | 3 | 0 | 3 | 4 |
| ტარლაჭი | 16 | 3/4 | 0/0 | 0/0 | 5 | 1 | 1 | 2 | 6 |
| ტომიჩი | 16 | 0/0 | 1/4 | 0/0 | 0 | 4 | 0 | 3 | 3 |
| ცალიკისი | 23 | 1/1 | 3/3 | 1/2 | 2 | 2 | 1 | 3 | 12 |
| სულ | 200 | 18/34 | 8/20 | 14/22 | 29 | 14 | 8 | 23 | 74 |

# მატჩი, რომელიც არავის უნდოდა

მესამე ადგილისთვის მატჩის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა „ტიმსისტემის“ გამთამაშებელმა კარლტონ მაიერსმა თქვა: „ზურგი ძალიან მაწუხებს. მწვრთნელთან ვითათბირე და დასვენება გადავწყვიტე, შაბათს იტალიის ჩემპიონატში მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს“.

თამაშის წყურვილი არც „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელს, დუშან ივკოვიჩს აზრჩობდა: „მიუნხენში მესამე ადგილისთვის არ ჩამოვსულვართ. „ჟალგირისთან“ ვერ ვითამაშეთ. ახლა ხალხს გვინდა ვუჩვენოთ, რომ უკეთ გამოსვლა შეგვიძლია“.

„ოლიმპიაკოსი“ უკბილოდ თამაშობდა. უმაიერსო „ტიმსისტემი“ თითქმის არაფერს წარმოადგენს და ამიტომ უიმედოდ წააგო. კიდევ მეტს წააგებდა, მარკო ლაცის-იარიჩი რომ არ ჰყოლოდა.



REUTERS მიუნხენიდან

ტიმსისტემი — ოლიმპიაკოსი. ტიმსისტემელ გრეგორ ფუჩკას (№7) და დრაგან ტარლაკს ფიცხელი ბრძოლა გაუმართავთ

გიო ახვლედიანის ... სვეტი

## ის ჟალგირისი

პირველი კორდონი გეპესთან იყო, მეორე კორდონი მეტროსთან, მესამე კორდონი სპორტის სასახლის კიბეებთან. კარებში კონტროლიორებთან ერთად მილიციელებიც იდგნენ. შიგნით — ყოველი სექტორის შესასვლელთან, ასევე მილიციელები, სექტორების კიბეებთანაც მილიციელები. თამაშის დაწყებამდე ორი საათი რჩებოდა, მაგრამ საშინელება ხდებოდა — ბილეთები წინა საღამოდან აღარ იყო. იმ ამბავს კი არ ვყვები, თბილისში რომ „ატლანტა ჰოქსი“ ჩამოვიდა და საბჭოთა ნაკრებს მოუგო. არა, ეს იყო სსრკ-ს ჩემპიონატის ტურის დღე. დრო კი — ნაშუადღევი, ორი საათი. პერესტროიკა უკვე დაწყებული იყო. თბილისის „დინამო“ საღამოს თამაშობდა, ორ საათზე კი ერთმანეთს ხვდებოდნენ ცესკა და „ჟალგირისი“. ახლა ცხადია, ეს იყო საბჭოთა საკალათბურთო ჩემპიონატის უკანასკნელი დიდი მატჩი თბილისში.

ჩვენ ორნი ვიყავით, არ გვქონდა ბილეთები და გვქონდა შვიდი მანეთი. ხუთმანეთიანი მე და ორი ცალი მანეთიანი — ძმაკაცს. აუცილებლად უნდა შევსულიყავით და გვენახა ცესკა — „ჟალგირისი“. რა საამაყოა და ყველა კორდონი წარმატებით გავიარეთ, თუმცა, ორი მანეთიანი დაგვეხარჯა. მივადექით კარს, სადაც მილიციელი და გამშვები ქალი იდგნენ. ამოვიღე ხუთმანეთიანი და მილიციელს ჩავუკუჭე. ძმაკაცი გაძვრა და შიგნითაა, მეც უნდა მივყვე. მაგრამ გამშვები ქალი აღშფოთდა. ალბათ, იმიტომ, რომ მილიციელს ჩავუკუჭე. ან უბრალოდ წესიერი იყო. კივის და წივის. მე კი აუცილებლად უნდა ვნახო, როგორც მოუგებს „ჟალგირისი“ ცესკას. ბოლო დროს სულ უგებს, ჩემპიონიცაა. კარგა ხანია, თბილისში არ შეხვედრიან ერთმანეთს. დედი-ჯან-მეთქი და შევვარდი. კივილი კი მომესმა, მაგრამ მივიმალე. მერე დარბაზში შევაღწიეთ და დავსხედით სხვის ადგილებზე. დაწყებას ათი წუთი აკლდა, როცა მოვიდნენ კარგ ხასიათზე მყოფი ამ ადგილების პატრონები. წამოვდექით. სად წავიდეთ? გაჭედილია, ყველგან მილიციაა. კეთილად დაელიათ ადგილების პატრონებს — რიგი შევიწროვდა და მათთან ერთად ჩავეკეტეთ. ნამდვილად დიდი მატჩი იყო. მეორე ტაიმში სხვა სექტორში შემჩნეულ ცარიელ ადგილას გადავედით. მილიცია უკვე მოდუნებული იყო. ჩვენს გვერდით, მამა პატარა შვილს უხსნიდა, რატომ უნდა „უბალეშჩიკოს“ „ჟალგირისს“.

ის თამაში ცესკამ მოიგო დამატებით დროში.

ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ გავიხსენო დიდი „ჟალგირისი“. საბონისი, იოვაიშა, ხომიჩუსი, კურტინაიტისი, ბრაზისი, ვისოცკასი, კარგი ჰა, კრაპიკასიც, ჩივილისიც, ეინიკისიც. გუშინწინ კაუნასის „ჟალგირისმა“ ევროპის უპირველესი საკლუბო ჯილდო მოიგო. მაშინ, მეტად ლამაზი, რომანტიკული და ძლიერი ჟალგირისი ევროთასებს ვერ იგებდა. სპორტში ხშირად ხდება ასეთი რამეები. მაშინდელი დიდი (საბონისიანი) „ჟალგირისი“ ვერ უგებდა მილანის „ტრეისერსა“ და მადრიდის „რეალს“, ხშირად აგებდა იუგოსლავურ კლუბებთან. დღევანდელმა მშრალმა, ზუსტმა მკაცრმა, (უსაბონისომ!) „ჟალგირისმა“ კი ეს მოახერხა. პოსტსაბჭოთა გუნდებიდან პირველმა. მისალოცია! დიახაც, რომ განა ხუმრობაა?

მაგრამ აშკარაა, რომ ის გუშინდელი ჟალგირისი რომ არ ყოფილიყო, დღევანდელიც ვერაფერს გახდებოდა.

მე კი მაინც სწორედ „ის“ მირჩევნია. აბა, როგორ ავხსნა? უცნაურია, მაგრამ დღეს მთლად „ლეიკერსი“ რომ ჩამოვიდეს და მთელს საბჭოთა არმიას შეხვდეს მარშალ ჟუკოვის თამადობით, ერთი კორდონის განმგრევიც არა ვარ. იმიტომ კი არა, რომ კალათბურთი აღარ მაინტერესებს, არამედ იმიტომ, რომ დღეს კალათბურთი უბრალოდ კალათბურთია და არა ლიტვის პატარა ქალაქის გუნდის ჭიდაობა წითლებთან.

ის „ჟალგირისი“!

მაშინ ჩვენ არ ვუყურებდით „ენბიეის“, ერთი-ორი გვენახა — ჯერ არ გადაეწონა და დაეთრია ყველაფერი. ამიტომ, 80-იანი წლების „ჟალგირისი“ მნიშვნელოვანი რამ იყო. ჩვენი „დინამო“ ხომ ველარ ეჭიდავებოდა დიდებს. ესეც არ იყოს და, საბონისი, დამტვრეული, ნანემსარი გამოდიოდა საომრად და მელასავით ეშმაკი სერგიუსი, იგივე იოვაიშა? და კაპიტანი? ჯანიანი ხომიჩუსი?- ვლადას გარასტასი — ასე ერქვა მათ მწვრთნელს.

ის „ჟალგირისი“! მასაც უნდა მივულოცოთ ამ „ჟალგირისის“ გამარჯვება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა თასის ყველა მფლობელი და ფინალი

1958 ასქ (რიგა, სსრქ) — აკადემიკი (სოფია, ბულგარეთი) 86:81, 84:71
1959 ასქ (რიგა, სსრქ) — აკადემიკი (სოფია, ბულგარეთი) 79:58, 67:69
1960 ასქ (რიგა, სსრქ) — დინამო (თბილისი, სსრკ) 69:62, 61:57
1961 ცსკა (მოსკოვი, სსრქ) — ასკ (რიგა, სსრკ) 61:66, 87:62
1962 დინამო (თბილისი, სსრქ) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 90:83
*დინამო: გურამ მინაშვილი, რევაზ გოგელია, ვალერი ალთაბაევი, ლევან მოსეშვილი, ანზორ ლეჟავა, ამირან სხიერელი, ილარიონ ხაზარაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი, ალექსანდრ პეტროვი. მწვრთნელი — ოთარ ქორქია*
1963 ცსკა (მოსკოვი, სსრქ) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 74:91, 86:69 (99:80)
1964 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — სპარტაკი (ბრნო, ჩეხოსლოვაკია) 99:110, 84:64
1965 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ცსკა (მოსკოვი, სსრკ) 81:88, 76:62
1966 სიმენტალი (მილანი, იტალია) — სლავია (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 77:72
1967 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — სიმენტალი (მილანი, იტალია) 91:83
1968 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — სპარტაკი (ბრნო, ჩეხოსლოვაკია) 98:95
1969 ცსკა (მოსკოვი, სსრქ) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 103:99
1970 ინისი (ვარეზე, იტალია) — ცსკა (მოსკოვი, სსრკ) 79:74
1971 ცსკა (მოსკოვი, სსრქ) — ინისი (ვარეზე, იტალია) 67:53
1972 ინისი (ვარეზე, იტალია) — იუგოპლასტიკა (სპლიტი, იუგოსლავია) 70:69
1973 ინისი (ვარეზე, იტალია) — ცსკა (მოსკოვი, სსრკ) 71:66
1974 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ინისი (ვარეზე, იტალია) 84:82
1975 ინისი (ვარეზე, იტალია) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 79:66
1976 მობილჯირჯი (ვარეზე, იტალია) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 81:74
1977 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — მობილჯირჯი (ვარეზე, იტალია) 78:77
1978 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — მობილჯირჯი (ვარეზე, იტალია) 75:67
1979 ბოსნა (სარაევო, იუგოსლავია) — ემერსონი (ვარეზე, იტალია) 96:93
1980 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 89:85
1981 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)— სინუდინი (ბოლონია, იტალია) 80:79
1982 სკვიბი (კანტუ, იტალია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 86:80
1983 ფორდი (კანტუ, იტალია) — ბილი (მილანი, იტალია) 69:68
1984 ბანკო დი რომა (რომი, იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) 79:73
*ბანკო დი რომა: რაიტი, კეა, პოლეზელო, ზოლფრინი, ზზარა, ჟილარდი, ტომმოლატო, ბერტოლოტი*
1985 ციბონა (ზაგრები, იუგოსლავია) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 87:78
*ციბონა: დ. პეტროვიჩი, ა. პეტროვიჩი, ჩუტურა, ნაკიჩი, კნეგო, უშიჩი, ბეჩიჩი, ვუკიჩევიჩი*
1986 ციბონა (ზაგრები, იუგოსლავია) — ჟალგირისი (კაუნასი, სსრკ) 94:82
*ციბონა: დ. პეტროვიჩი, ცვეტიჩანინი, უშიჩი, ჩუტურა, ნაკიჩი, არაპოვიჩი, ვუკიჩევიჩი, პავლიჩევიჩი*
1987 ტრეისერი (მილანი, იტალია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 71:69
*ტრეისერი: პრემიერი, მაკადუ, ბარლოუ, დანტონი, მენეგინი, პიტისი, ბარნია, ბოზელი, ჯალინარი*
1988 ტრეისერი (მილანი, იტალია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 90:84
*ტრეისერი: მაკადუ, დანტონი, ბრაუნი, მენეგინი, პრემიერი, პიტისი, მონტეკი, ალდი*
1989 იუგოპლასტიკა (სპლიტი, იუგოსლავია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 75:69
*იუგოპლასტიკა: რაჯა, კუკოჩი, ივანოვიჩი, სობინი, სრეტენოვიჩი, პავიჩევიჩი, ტაბაკი, პერასოვიჩი*
1990 იუგოპლასტიკა (სპლიტი, იუგოსლავია) — ბარსელონა (ესპანეთი) 72:67
*იუგოპლასტიკა: კუკოჩი, რაჯა, ივანოვიჩი, პერასოვიჩი, სობინი, სრეტენოვიჩი, სავიჩი, ტაბაკი, პავიჩევიჩი*
1991 პოპ-84 (სპლიტი, იუგოსლავია) — ბარსელონა (ესპანეთი) 70:65
*პოპ-84: სავიჩი, ლესტერი, კუკოჩი, სრეტენოვიჩი, პერასოვიჩი, პავიჩევიჩი, ტაბაკი, ნაგლიჩი*
1992 პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) 71:70
*პარტიზანი: დანილოვიჩი, ჯორჯევიჩი, სტეფანოვიჩი, ნაკიჩი, კოპრივიცა, სილობადი, რებრაჩა, ლონჩარი, დრაგუტინოვიჩი*
1993 ლიმოჟი (საფრანგეთი) — ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) 59:55
*ლიმოჟი: იანგი, ბილბა, ზდოვცი, რედენი, ფორტი, ვეროვი, დაკური, ბატერი*
1994 ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 59:57
*ხუვენტუდი: ვილიაკამპა, მარტინესი, ტომპსონი, სმიტი, ტ. ხოფრესა, რ. ხოფრესა, მორალესი, ფერანი*
1995 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 73:61
*რეალი: საბონისი, არლაუსკასი, ანტუნესი, მარტინი, სანტოსი, კარგოლი, გარსია, ლასა*
1996 პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 67:66
*პანათინაიკოსი: ვილკინსი, ალვერტისი, ვრანკოვიჩი, ეკონომუ, იანაკისი, სტავრაკოპულოსი, კორფასი, ვურცუმისი*
1997 ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 73:58
*ოლიმპიაკოსი: რივერსი, ტარლაკი, პაპანიკოლაუ, ტომიჩი, ფასულასი, სიგალასი, ველპი, ბაკაციასი, ნაკიჩი, გალაკტეროსი*
1998 კინდერი (ბოლონია, იტალია) — აეკ (ათენი, საბერძნეთი) 58:44
*კინდერი: რიგოდო, დანილოვიჩი, სკონოჩინი, სავიჩი, აბიო, მაკრის-ნესტეროვიჩი, ბინელი, ფროზინი, კრიპა, მორანდოტი*
1999 ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) — კინდერი (ბოლონია, იტალია) 82:74
*ჟალგირისი: ადომაიტისი, ბოუი, ედნი, მასიულისი, მასკოლიუნასი, შესტოკასი, შტომბერგასი, ზიდეკი, ე. ჟუკაუსკასი, მ. ჟუკაუსკასი*



დაღონებული ვლადიმერ სტეფანია თამაშების ნაცვლად პროცედურებზე დადის

# სტეფანიას უთხრეს, სამი კვირა იმკურნალეო

ვლადიმერ სტეფანია ამერიკული „სიეტლ სუპერსონიქსის" შემადგენლობაში რომ ვეღარ ვიხილეთ, თავდაპირველად ვიფიქრეთ, ალბათ, მწვრთნელი, პოლ ვესტფოლი აღარ ენდობაო. მერე გაირკვა, რომ ვოვას „სონიქსიდან" გაუჩინარების მიზეზი ტრავმა ყოფილა. მოგვიანებით დაშავებულთა სიაშიც შეიყვანეს და ეს გაუწყეთ კიდეც, მაგრამ მასთან პირადად დაკავშირების სურვილი წუხანდლამდე სურვილადვე გვრჩებოდა — ტელეფონი უიმედოდ დუმდა. გუშინ კი ბედმა გაგვიღიმა, თუმცა „სიეტლის" ქართველთან სასაუბროდ მცირე დრო გვქონდა, რადგან „სონიქსის"დარბაზ „კი არენაში" მყოფი სტეფანია სამედიცინო მაგიდაზე გაწოლილიყო და, წუთი-წუთზე ექიმი შემოვაო, თავიდანვე გაგვაფრთხილა.

**— გავიგეთ, ფეხის ტკივილს შეუწუხებიხართ.**

— მუხლისთავი წამომტკივდა ძალიან. რენტგენი გადამიღეს, მაგრამ დიაგნოზი ვერ დამიზუსტეს. მეუბნებიან, საშიში არაფერია, კუნთი მთელი გაქვს, უბრალოდ, მყესის მიკროტრავმა გაქვსო.

**— მარცხენა მუხლი ადრეც გაწუხებდა.**

— ეგრეა, ორი წელია, ამ ფეხმა გამაწვალა, თუმცა ასე ჯერ არ ამტკივებია. ბოლოს ისე ვიყავი, თამაში კი არა, მოძრაობაც მიჭირდა.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რისი ბრალია? ვიცი, რომ თამაშისას ან ვარჯიშისას არ დაშავებულხართ.**

— დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე სავარჯიშო რეჟიმისა და სისტემის ცვლამ გამოიწვია. „„ოლიმპიაში" დღეში ექვს საათს ვვარჯიშობდი. აქ კი სეზონის დროს არცთუ დიდი დატვირთვებია. ხომ იცით, დატვირთვების შემცირება ხშირად მავნებელიც კია ორგანიზმისთვის.

**— კარგად გწამლობენ ამერიკელები?**

— ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. თერაპიულ კურსს გავდივარ და უკვე შვებაც ვიგრძენი. ცოტა-ცოტა სირბილიც დავიწყე, მაგრამ სრულ გამოჯანმრთელებამდე ჯერ ადრეა.

**— მაინც რას გეუბნებიან, ბოლომდე როდის მოშუშდებიო?**

— კონკრეტულად არაფერი უთქვამთ, სავარაუდოდ, კიდევ სამი კვირა მოგიწევს დასვენებაო, მითხრეს.

**გიორგი გიჟაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი




REUTERS ორლანდოდან

ორლანდო — მაიამი. ორლანდოელ დერილ არმსტრონგს (ბურთით) ალონზო მურნინგი ასეთი ხერხით აჩერებს

# ალარც ლარი ბრაუნის ჭადარას სცეს პატივი

22 აპრილი

**ორლანდო 70:75 მაიამი**

**ორლანდო: ანდერსონი (14 ქულა, 9 მოხსნა)**
**მაიამი: მურნინგი (18 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება)**

ორლანდოში ფლორიდული დერბი შედგა და მერე როგორი. ორლანდო და მაიამი დივიზიონის პირველობისთვის ებრძვიან ერთმანეთს, ინდიანას კი კონფერენციაში ეცილებიან პირველ ადგილს. ასე რომ, წინასამატჩო ინტრიგა სამყოფი იყო.

საკუთარი ქალაქის გუნდის საქომაგოდ 17248 ორლანდოელი ეწვია „ორლანდო არენას" და გახარებული შესცქეროდა, როგორ აწიოკებდა „მეჯიქი" მეტოქე გუნდს. გავიდა პირველი 12 წუთი და ანგარიში 16:8 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. მაიამის ერთ მეოთხედში ასე ცოტა ქულა თავის ისტორიაში არ მოუგროვებია. პირველი ნახევრის შემდეგ ანგარიში ისევ სამარცხვინოა მაიამისთვის. ეს ამბიციური და აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი 23:38 აგებს, თუნდაც, ორლანდოსთან. ერთ ნახევარში 23 ქულა ასევე ანტირეკორდია მაიამის ისტორიაში. აი, მესამე მეოთხედში კი ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა. სტუმრებმა პირველ ტაიმში 35 სროლიდან 27-ის აცილების შემდეგ ფანტასტიკური მესამე თორმეტწუთეული ჩაატარეს. შეუდარებელი იყო „ჰითის" ცენტრი ალონზო მურნინგი — მან პირწმინდად მოუგო დუელი ერთ დროს მაიამიში მის შემცვლელს, ახლა კი ორლანდოს ძირითად ცენტრ აიზეკ ოსტინს (7 ქულა), მურნინგის გალაღებამ ორლანდოელ გულშემატკივრებს ხმა ჩააწყვეტინა. მაიამელმა თავისი გუნდის ამ მეოთხედში გაკეთებული 30 ქულიდან, 13 თავის ანგარიშზე ჩაიწერა, ანუ იმდენი, რამდენიც მთლიანად მეტოქე გუნდმა ამ დროში. ამან ყველაფერი გადაწყვიტა.

**ატლანტა 106:94 ბოსტონი**

**ატლანტა: სმიტი (26)**
**ბოსტონი: პირსი (23)**

ორი ლიდერის — ანტუან ვოლკერის და რონ მერსერის არყოფნაში ბოსტონის შეტევებს საკმაოდ პერსპექტიული ახალბედა პოლ პირსი ჩაუდგა. მართალია მან ძალიან მოინდომა, მაგრამ სტივ სმიტმა და მისმა ატლანტამ გარჯა წყალში ჩაუყარეს.

**სან ანტონიო 103:76 დალასი**

**სან ანტონიო: რობინსონი (18)**
**დალასი: ფინლი (20)**

იმ დღეს კიდევ ერთი დერბი გაიმართა, ტეხასური. დალასმა ერთი დღის წინ ასევე თანაშტატელი, მასზე ერთი თავით მაღლა მდგომი ჰიუსტონი კი დაამარცხა, მაგრამ ახლა არანაკლებ მძლავრ სან ანტონიოს ვერაფერი მოუხერხა და სასტიკად შერცხვა.

**დეტროიტი 96:104 ფილადელფია**

**დეტროიტი: დუმარსი (19 ქულა, 9 პასი)**
**ფილადელფია: აივერსონი (28)**

ამ გამარჯვებით ფილადელფიამ მძლავრი ნაბიჯი გადადგა პლეი ოფისკენ, სადაც 1992 წლის შემდეგ არ უთამაშია.

ისე, დეტროიტი პირველ ნახევარში იგებდა და ამან ძალიან გაანერვიულა სტუმართა ლეგენდარული მწვრთნელი ლარი ბრაუნი. ეს მას ორ ტექნიკურად და საბოლოოდ თამაშიდან გაძევებად დაუჯდა. ფილადელფიამ კი უმისოდაც გაართვა საქმეს თავი.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მაიამი | 29 | 13 | 69,0 |
| ორლანდო | 29 | 15 | 65,9 |
| ფილადელფია | 24 | 19 | 55,8 |
| ნიუ იორკი | 21 | 21 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 16 | 26 | 38,1 |
| ბოსტონი | 16 | 27 | 37,2 |
| ნიუ ჯერსი | 13 | 29 | 31,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 28 | 15 | 65,1 |
| ატლანტა | 26 | 17 | 60,5 |
| მილუოკი | 23 | 19 | 54,8 |
| დეტროიტი | 23 | 20 | 53,5 |
| შარლოტი | 21 | 20 | 51,2 |
| კლივლენდი | 21 | 21 | 50,0 |
| ტორონტო | 21 | 21 | 50,0 |
| ჩიკაგო | 12 | 31 | 27,9 |

### დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| იუტა* | 32 | 10 | 76,2 |
| სან ანტონიო* | 30 | 12 | 71,4 |
| ჰიუსტონი | 27 | 15 | 64,3 |
| მინესოტა | 22 | 21 | 51,2 |
| დალასი | 15 | 28 | 34,9 |
| დენვერი | 13 | 29 | 31,0 |
| ვანკუვერი | 8 | 35 | 18,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი* | 31 | 10 | 75,6 |
| ლეიკერსი | 27 | 17 | 61,4 |
| ფინიქსი | 22 | 21 | 51,2 |
| სიეტლი | 20 | 22 | 47,6 |
| საკრამენტო | 20 | 22 | 47,6 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 24 | 42,9 |
| კლიპერსი | 7 | 35 | 16,7 |

** — გავიდნენ პლეი ოფში*

# საკრებულო თუ უშველით



ბათლომე ხამაშურიძე: „აია“ ჯერ მოღონიერდება

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ სეზონი დიდი ტრადიციების „აიასთვის“ უმძიმესი იყო. გუნდი ისე დაკნინდა, ქვეყნის პირველობის საწყის ეტაპსაც ვერ გასცდა. ამის მიზეზსაც გეტყვით. შარშან, გაზაფხულზე ბედის ანაბარა მიტოვებულმა გუნდმა ერთბაშად ოცი(?!) მოთამაშე მოისაკლისა. ვინ სად წავიდა, ვინ სად. უმრავლესობა „გადათვდა“, ზოგი „გაყორჩდა“ თუ გაარმიელდა, ზოგმაც რუსეთს მიაშურა. ამათი ადგილი ადგილობრივი სპორტსკოლის ალსაზრდელებმა, ჯერ კიდევ პირტიტველა, გამოუცდელმა ბიჭებმა დაიკავეს. და რა გასაკვირია, თუ შედეგიც არასახარბიელო გამოდგა.

გაუჭირდა ქუთაისში რაგბის, ძალიან გაუჭირდა. აბა, რა იქნებოდა, თუ, გვარს არ დაასახელებდა, ერთი მაღალი, ძალიან მაღალი თანამდებობის პირს ისიც კი უთქვამს, რაგბი ქუთაისში არატრადიციული სახეობააო. ეს ის კაცია, ამ ათიოდე წლის წინ სწორედ „აიას“ წარმატებებითაც რომ აწონებდა თავს კოლეგა მაღალჩინოსნებს...

რა ბედი ეწევა „აიას“ წლეულს, რას ელიან ქუთაისელები ახალ სეზონში? ამ და სხვა კითხვებზე გვიპასუხებს გუნდის მთავარი მწვრთნელი ᲑᲐᲗᲚᲝᲛᲔ ᲮᲐᲛᲐᲨᲣᲠᲘᲫᲔ.

— მგონი, დაგვადგა საშველი. ორი კვირის წინ მოხდა კლუბ „აიას“ ხელახალი დაფუძნება. ეს საქმე ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ მალხაზ ასათიანმა ითავა. იგი სამი წლის განმავლობაში ჩვენი კლუბის დირექტორი გახლდათ, ყოველნაირად ცდილობდა, გუნდს დახმარებოდა და არც ახლა დაგვივიწყა. სწორედ საკრებულოს ინიციატივით წლეულს „აიასთვის“ ბიუჯეტში 20 000 ლარია გათვალისწინებული. საკრებულოს თავმჯდომარე კლუბის პრეზიდენტად ავირჩიეთ, ვიცე-პრეზიდენტი როლანდ გიორგაძეა, ხოლო საპატიო პრეზიდენტი დუგლას კავთელაშვილი. ქუთაისის აეროპორტის უფროსი რამაზ ჩაჩხიანი „აიას“ დირექტორობასაც შეითავსებს.

**— მარტო ბიუჯეტის კმაყოფაზე იქნებით?**

— არა, დახმარებას სხვებიც გვპირდებიან. რამდენიმე საწარმომ და ფირმამ უკვე დაგვიმტკიცა ერთგულება — გუნდის ხუთი მოთამაშე დაასაქმა. აქ ცალკე მინდა ვთქვა საერო ინსტიტუტის რექტორზე და პრორექტორზე, რობერტ გოლეთიანსა და არჩილ ბუილიშვილზე. ეს ორი კაცი მუდამ გვედგა მხარში. ინსტიტუტში 18 მორაგბე უფასოდ სწავლობს.

**— ესე იგი, მდგომარეობა სასიკეთოდ იცვლება?**

— ჯერჯერობით ასეა და, ღმერთმა ნუ ქნას, ხელი შეგვეშალოს. ბევრს არ ვითხოვთ. მხოლოდ ვარჯიშისა და თამაშის ელემენტარულ პირობებს, იმას, რომ ბიჭებმა პურის ფული მაინც მიიტანონ სახლში.

**— თუ დასამალი არ არის, მოთამაშეთა ანაზღაურება როგორი იქნება?**

— ამ საკითხს უახლოეს დღეებში დამფუძნებლები გადაწყვეტენ. გაგიმეორებთ, ოღონდ თამაშის საშუალება მოგვეცითო და ბიჭები მინიმალურზეც ყაბულს არიან.

**— და რა დონის გუნდი გეყოლებათ წლეულს, რას უმიზნებთ?**

— შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ერთი დაგვაკლდა. როგორც იცით, ნუგზარ ძაგნიძე „დათვებში“ გადავიდა მოთამაშე-მწვრთნელად. ხუთი კაცი კი უკან დაგვიბრუნდა — ალეკო მარგველაშვილი, ზაზა შვანგირაძე, ზაზა ჩირგაძე, რომლებიც ბოლო დროს რუსეთში, კერძოდ, ცსკაში თამაშობდნენ, დათო ბალანჩივაძე და პაატა სანებლიძე. ესენი ბათუმიდან წამოვიდნენ. მგონი, წლეულსაც ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ვიქნებით. ჩვენს შესაძლებლობებს რეალურად ვაფასებთ და დიდ პრეტენზიებსაც არ გამოვთქვამთ. ჯერ მოვღონიერდებით და მერე ვნახოთ.

**— პირველობისთვის როგორ მოემზადეთ?**

— ვფიქრობ, ნორმალურად, უწინდელზე უკეთ. დარბაზისა და სავარჯიშო მოედნის პრობლემა არ გვქონია. გუნდის წვრთნაში დიდ დახმარებას მიწევს სოსო დიაკონიძე. იგი ერთდროულად გუნდის უფროსიცაა და მწვრთნელიც. რამდენიმე საკონტროლო თამაში ჩავატარეთ სპორტსკოლის ბიჭებთან.

**— ადრე სათამაშო მოედნის უქონლობას უჩიოდით...**

— ეს პრობლემაც მოგვარდა. ქალაქის პოლიციის სამმართველო კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ამიტომ „დინამოს“ სტადიონის კარი ყოველთვის ღია გვხვდება. პირველობის მატჩებს აქ გავმართავთ.

**— თქვენი ვაჟი ბესარიონი გუნდიდან წავიდა, „აიაში“ ის დიდი ძალა იყო...**

— არ გამიშვია, თავად ისურვა წასვლა. ბესო სექტემბრიდან საფრანგეთში აპირებს თამაშს და მანამდე „ყოჩებში“ დარჩება.

**— რაგბის კავშირთან თუ გაასწორეთ ანგარიში?**

— გათამაშებაში მონაწილეობის საწევრო — 1 500 ლარი უკვე გადაირიცხა რაგბის კავშირის ანგარიშზე.

**— ერთადერთი სათამაშო ფორმა ბიჭებს შარშან შემოეხათ...**

— დაწყება იმავე ფორმით მოგვიწევს. მაგრამ ქალაქის სპორტკომიტეტი გვპირდება, უახლოეს ხანს ახალ ფორმას შეგიძენთო, ჩვენც ველოდებით.

**— ეროვნულ ნაკრებზე ხომ არაფერს იტყოდით?**

— თუ დამიჯერებთ, ძალიან კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ ყურადღება აკლია. ტონგასთან მატჩის წინ ბიჭების საცოდაობით ვიწვოდი. წარმოიდგინეთ, ეროვნულ ნაკრებს სავარჯიშო მოედანს არ აძლევდნენ. მარტო რაგბის კავშირი, რამდენიც უნდა ეცადოს, საქმეს ვერ გასწვდება. ისე, ნაკრებში დისციპლინა რომ არ მოიკოჭლებდეს და ცალკეულ მოთამაშეთა შორის დაპირისპირება არ იყოს, მსოფლიოს თასზე უფრო კარგი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა.

**— გავიგეთ, 2 მაისს ვეტერანები თამაშს აპირებთ?**

— საკითხი გადაწყვეტილია. დუგლას კავთელაშვილის თაოსნობით საორმაისოდ ქუთაისს მოსკოვის ვეტერან მორაგბეთა გუნდი ეწვევა. წინასწარი შეთანხმებით, ამ მატჩში 50 წელს გადაცილებული ხალხი ითამაშებს, ოღონდ, გამონაკლისის სახით, თითოეულ გუნდს მოედანზე ორი უფრო ახალგაზრდა ვეტერანის გამოყვანის უფლება ეძლევა. ასე რომ, მეც მომიწევს თამაში.

**— მეორე „არასრულწლოვანი“ ვინ იქნება?**

— ოლეგ ლიპარტელიანი. რაგბის მოყვარულთ ვურჩევ, არ დაიზარონ და მოვიდნენ თამაშზე. საინტერესო სანახაობა იქნება.

**ᲘᲣᲖᲐ ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ**
**ქუთაისიდან**





REUTERS მონტე კარლოდან

გუსტავო კუერტენი

# ნუ გააბრაზებთ სკადს

მონაკო. მონტე კარლოს ღია პირველობა. თიხნარი საპრიზო 2,45 მილიონი $

მონტე კარლოს ღია პირველობის მერვედფინალში მარკ ფილიპუსისს კარიერაში პირველად ჩამოართვეს საჯარიმო ქულა. წყობიდან გამოსვლის ნაცვლად „სკადზე“ ამან კატალიზატორივით იმოქმედა — მომხდარი ხომ უფრო მეტად მისი მეტოქის დამსახურება გახლდათ.

საქმე ის იყო, რომ 20 წლის ჩია, მაგრამ უსაშველოდ ნიჭიერი სებასტიან გროსჟანი ერთი თავით მაღალ ავსტრალიელს კარგა ხნის მანძილზე ჩაგრავდა — პირველი სეტი ხომ მოუგო, მეორის დასაწყისშივე მოწოდებაც ართვა. მეტოქის არცთუ ისე ძლიერ, მაგრამ ზუსტად მიმართული დარტყმებს და საზრიან თამაშს ფილიპუსისმა ბოლოს და ბოლოს ალღო მაინც აუღო და ანგარიში 3:3-ზე გაათანაბრა.

„სკადმა“ ბრეიკით ისე გაიხარა, ბურთი ტრიბუნებზე მოისროლა, რასაც მოჰყვა კიდეც ზემოხსენებული ინციდენტი: ფილიპუსისს მანამდე ჩოგნის კორტზე დანარცხებისთვის გაფრთხილება ჰქონდა მიღებული, ჰოდა, გროსჟანი მსაჯ რუდი ბერგერთან მივიდა და ამ გამოხტომისთვის მას მეორე შენიშვნის მიცემა, ე.ი. ავტომატურად ქულის ჩამორთმევა მოსთხოვა.

ფრანგმა საწადელს მიაღწია კიდეც, რამაც ფილიპუსისი საშინლად გაალიზიანა: „ეს მისი მხრიდან არაკაცური საქციელი. იყო, რასაც აშკარად არ ვიმსახურებდი. თუმცა განერვიულების ნაცვლად დამატებითი სტიმული მომემატა მოსაგებად, მე ხომ უბრალოდ საკუთარი ემოციები გამოვხატე“.

ისე, მსგავსი შემთხვევა ჩოგბურთში პირველი სულაც არ გახლავთ. 1995 წლის უიმბლდონზე გაღიზიანებულმა ტიმ ჰენმანმა ბურთის მთელი ძალით მოისროლა და შემთხვევით ბურთი მიმტან გოგონას მოარტყა. ინგლისელის მეტოქეს, თავად კიდევ უფრო შერეკილ და არაერთხელ დასჯილ ჯეფ ტარანგოს ჩოგბურთის წესები ბუნებრივია, შესანიშნავად მოეხსენებოდა, მსაჯს სასწრაფოდ მოახსენა, ჰენმანი ტურნირიდან დისკვალიფიკაციას იმსახურებსო და შემდეგ წრეს ზედმეტი ოფლის დაუღვრელადაც უწია.

თუმცა გროსჟანს მომხდარით ბევრი არაფერი მოუმკია. პირიქით, ფილიპუსისი აქედან მოყოლებული გაცილებით უკეთ ათამაშდა, ტაი-ბრეიკზე რამდენჯერმე ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციასაც დაუძვრა და თავისი ჯანისა და აგრესიულობის წყალობით 4:6, 7:6 (7:5), 6:2 მოიგო.

მეოთხედფინალში ავსტრალიელს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მარსელო რიოსი ელის, რომელმაც ამჯერად მაროკოელი ჰიშამ არაზი დაამარცხა 6:3, 6:3.

კიკინიანი, ამჟამად კი ბლანჟეთიც დამშვენებული ჩილელი მეორე სეტში 0:3-ს აგებდა, მაგრამ დიდი ბრძოლის ფასად ანგარიში გაათანაბრა, რამაც მის უჯიგრობითა და უხასიათობით ცნობილ მეტოქეს თამაშის ხალისი დაუკარგა. არაზიმ დარჩენილ დროში ბრძოლას დანებება არჩია და ქულების უმეტესობა რიოსს აშკარად უფეშქაშა.

ისედაც არცთუ კარგ ხასიათზე მყოფი ჩილელისთვის ნაჩუქარ გამარჯვებას გუნება არ გამოუკეთებია: „სიმართლე გითხრათ, ცოტათი ჩემი ზურგის მდგომარეობა მაწუხებს. ისე, სულ უკეთ და უკეთ ვთამაშობ და საკუთარი ძალების რწმენაც სულ უფრო მემატება“.

პრესკონფერენციაზე რიოსმა, რომელიც APT ტურის ხელმძღვანელობის გაკრიტიკების შესაძლებლობას ხელიდან არასოდეს უშვებს, მოწყენილობაზე დაიჩივლა: „მათ რაიმე უნდა მოიფიქრონ ჩოგბურთელთა გასართობად წვიმის ან მატჩის დაწყებამდე ცდის დროს. ჩვეულებრივ ამ პერიოდში ყველა მოწყენილია, ტურის თავკაცები კი არაფერს აკეთებენ საქმის გამოსასწორებლად“.

ჩილელისგან განსხვავებით, კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი გუსტავო კუერტენი ამჟამად არაფერს უჩივის. 1997 წლის როლან გაროსის მოგების შემდეგ უდიდესი ზეწოლის ქვეშ მოქცეული ბრაზილიელი, შარშან კლასიფიკაციაში მეტეორივით დაქანდა ქვევით და ბევრმა მისი პარიზული ტრიუმფის შემთხვევითობაზეც დაიწყო საუბარი, მაგრამ წლეულს ყველაფერი გამოსწორდა — „გუგა“ ისევ სიამოვნებას იღებს თამაშიდან და ეს მის შედეგებსაც დაეტყო.

„ასე უფრო სერიოზულად გამოვიყურები — ასე ახსნა თავდაპირველად თმის ახალი, არმიულად მოკლე ვარცხნილობა „გუგამ“, თუმცა მაშინვე დაუმატა — ვხუმრობ, უბრალოდ, საქმე არაფერი მქონდა მატჩის დაწყებამდე, მეც დალაქთან შევეხეტე და თავადაც ხედავთ, რაც გამოვიდა“.

მერვედფინალში კუერტენის მეტოქე მისივე თანამემამულე ფერნანდო მელიგენი გახლდათ. ერთმანეთს რომ მეგობრები ხვდებოდნენ, ძნელი შესამჩნევი არ იყო — ხშირი იყო ღიმილი, ბადის იქით-აქედან გადაძახება თუ საუბარი გეიმებს შორის შესვენებისას. კუერტენმა პირველი სეტი იოლად მოიგო, მეორეში 2:5 ჩამორჩა, მაგრამ მერე ანგარიში გაათანაბრა და ტაი-ბრეიკზე იმარჯვა 6:2, 7:6 (7:2)

მერვედფინალი: **ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲛᲝᲘᲐ** (1, ესპანეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:4, 6:1; **ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲙᲝᲡᲢᲐ** (10, ესპანეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 4:6, 6:2, 6:4; **ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲛᲐᲜᲢᲘᲐ** (15, ესპანეთი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:2, 6:2; **ᲕᲘᲜᲡᲔᲜᲢ ᲡᲞᲔᲓᲘᲐ** (აშშ) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:3; **ᲟᲔᲠᲝᲛ ᲒᲝᲚᲛᲐᲠᲘ** (საფრანგეთი) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 6:1, 6:4

ბუდაპეშტის ღია პირველობა. უნგრეთი. თიხნარი საპრიზო 145 ათასი $

ბუდაპეშტში ქართველი მაყურებლისთვის ნაცნობმა ორმა ჩოგბურთელმა გამოიჩინა თავი. შარშანდელი თბილისის პირველობის გამარჯვებულმა ევგენია კულიკოვსკაიამ პირველ წრეში მეორედ განთესილი ჰენრიეტა ნაგიოვა დაამარცხა, მეორეში კი გერმანელი იანა კანდარი — 6:3, 6:4 და მეოთხედფინალში გავიდა. იგივე ეტაპზე გაალწია ბათუმის ტურნირის ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ამანდა ჰოპმანსმაც, რომელმაც ავსტრიელი ბარბარა შვარცი დაამარცხა 7:5, 6:1

მეორე წრე: **ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲜᲐ ᲢᲝᲠᲔᲜᲡᲘ** (ესპანეთი) — ნატალი დეში (5, საფრანგეთი) 7:5, 6:3; **ᲡᲐᲠᲐ ᲞᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲘ** (7, საფრანგეთი) — იანა ნეიდლი (კანადა) 6:1, 6:0.

* * *

*ესპანეთში მიმდინარე ევრო-აფრიკული ზონის პირველი ლიგის ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა მესამე მატჩიც წააგო, ამჯერად ლუქსემბურგის გუნდთან 1:2 და გაისად ერთი ლიგით დაქვეითება მოუხდება.*

**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ**

# არასაფეხბურთო ჩანაწერები

— იქ რამ მიგაყვანინა ბიჭი, ხომ არ გადაირიეო, ზუსტად ეგრე მითხრა. ადრე გემო-კვებაზე რომ აწყობდნენ გეპეიში, ის ვარიანტია. თქვენ ფეხბურთი და სპორტი კი არა სხვა რამე გაინტერესებთ, თორემ ამ თოთო ბავშვს... მოდგა და მოდგა. ერთხანს ვიფიქრე, პახმელიაზე იქნება, კამათი არ ღირს-მეთქი. მერე რომ გაახურა და გაახურა, ეჭვი გამიჩნდა, არა, არყისა არ არის-მეთქი, სხვანაირად იყო გაბრაზებული. ჯერ გევარჯიშებინა, გერბენინებინა, გამაგრდებოდა, ჯანზე მოვიდოდა, აი, მძლეოსნობა ზედგამოჭრილია, მაგრამ როგორ გეკადრებათო. ეგრე მითხრა, მძლეოსნობაო. დადგეს და უაზროდ ირბინოს, არა? ამ უაზრობაზე სულ გადაირია. მერე როგორღაც წამომცდა, საჩვენო სპორტი არ არის, არ გვეხერხება-მეთქი. უცებ გაუარა სიბრაზემ, ცერად გადმომხედა, თვალები მოჭუტული ჰქონდა და ისე მიყურებდა, თითქოს ილიმებოდა. აი, სკოლაში მაგალითის გამოყვანისას რომ გავიჩხირებოდი დაფასთან და სათვალის ზემოდან რომ გადმომხედავდა ხოლმე არითმეტიკის მასწავლებელი, ისე. გადმომხედა და ისევ დაიწყო. თქვე მამაცხონებულებო, თეთრები დარბიან, ყვითლები დარბიან, წითლები დარბიან, შავები ხომ დარბიან და დარბიანო; ეკვატორზე დარბიან, ჩრდილოეთში თოვლსა და ყინულში დარბიან, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, იმის გასწვრივაც — ესპანელებიც, იტალიელებიცო, ინგლისელებიცო, ამერიკელებიცო, რა ვიცი, მოყვა და მოყვა, ეგ ზღაპარი, ქართველებს არ გვეხერხება, სხვა რამისთვის ვართ გაჩენილი, სად წაიკითხეო. უცებ რომ ველარაფერი მოვიფიქრე, გავჩუმდი. გავჩუმდი და სულ შემდგა. თქვენ არც ბავშვები გაინტერესებთ, არც იმათი ჯანმრთელობა და მომავალიო. ფული გინდათ და რაც შეიძლება ჩქარა და რაც შეიძლება უოფლოდო. სხვა საბუთიც გინდაო? ისევ გადმომხედა და აი საბუთიო: სილამაზის კონკურსებზე რომ გოგოები გამოგყავთ, ასი მეტრი რომ არ გაურბენიათ, წყალში მკლავი რომ არ გაუნძრევიათ, ეგრე გინდათ იმ კონკურსების მოგებაო? უვარჯიშოდ და უწვალებლად პირდაპირ პოდიუმზე გინდათ უკრათ თავი, ეგრე სად არიო. მზეს ტენტებსა და ქოლგებქვეშ ემალებიან, გაპუტული ქათმებივით არიან, თონთლოები, ისეთი თონთლოები — კაცს ფურთხით გაკეთებული გეგონებაო. დათხოვდებიან და ვაი-ვიში გაუდით, აი თავი, აი წელი, ბავშვის გაჩენის ეშინიათ, ორდენებიან გინეკოლოგებს ეძებენ... ან მხატვრული ტანვარჯიში არ გაგიგონიათ, ან სალაძე, ბოლო-ბოლო, მსოფლიოს ჩემპიონი გვყავდაო... როგორც დაიწყო, ისე გაჩუმდა. ერთბაშად... მოიწყინასავით... მეც, მართალი გითხრა, ცოტა არ იყოს, დავიბენი. მწარე-მწარეებს კი იძახდა — აბა, რა იმისი საქმე იყო, ჩემს შვილებს სად შევიყვანდი და რას ვასწავლიდი — მაგრამ სიმართლეს ჰგავდა და იმან დამაბნია... ამასწინათ სკოლაში მისულან მწვრთნელები, აქეთ იხვეწებოდნენ, მძლეოსნობაზე მოიყვანეთ ბავშვებიო...

მე, ძმაო, აღარ ვიცი, დავთრები ამერია... ჰა, არიოლ-რეშკა ავაგდო თუ... იქნებ შენ მითხრა რამე?

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ჩათრევა სჯობს

## ბოულინგი ყაზბეგის 12-ში

„ფრენბურთი გამიგია, კალათბურთი გამიგია, ფეხბურთიც გამიგია, ეგ..." — არა, ბატონებო, ცნობილი ქართული ფილმის ასევე ცნობილი პერსონაჟის ვაჟა ზაზაევიჩის ეს სიტყვები მოტობურთზე მოსათხრობად არ გამხსენებია. ლაპარაკია ბოულინგზე. ზემოხსენებული ციტატა ამ პატარა წერილის შესავლად იმიტომაც გამოვიყენე, რომ არა მგონია, ჩვენში ბოულინგზე ვინმეს ბევრი სმენოდეს. მართლი გითხრათ, არც მე ვიყავი დიდად გათვითცნობიერებული სპორტის ამ სახეობაში და როცა ახლახან თბილისში დაარსებული „ბოულინგ ცენტრიდან" შეგვეხმიანენ და პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს, „სარბიელის" ფოტორეპორტიორთან ერთად ერთგვარი აზარტითაც კი გავეშურე ყაზბეგის 12-ში მდებარე შენობისკენ.

მასპინძლებმა, „ბოულინგ ცენტრის" გენერალურმა დირექტორმა კოტე ლამბაშიძემ, ადმინისტრაციულმა ასისტენტმა მაკო ჯაოშვილმა და მენეჯერებმა, რამაზ მოსაშვილმა და მურთაზ ხუდოევმა ევროპული სტანდარტებით მოწყობილ დარბაზში თავაზიანად მიგვიპატიჟეს და რამდენიმე საათით ბოულინგის მართლაცდა საოცარ სამყაროში გვატარეს. ახლა კი, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, მოდით, პირდაპირ საქმეზე გადავალ და იმას მოგახსენებთ, რაც იქ ვნახე და მოვისმინე.

ცნობისმოყვარე ჟურნალისტებთან საუბარი პირველად მომხიბვლელმა მაკო ჯაოშვილმა დაიწყო. ბოულინგის ისტორიაც გაგვაცნო და მერე თავიანთ საქმიანობაზეც მოგვითხრო. უფრო კონკრეტულად: ბოულინგი თურმე იგივე კეგლია, ოღონდ, თუ კეგლს უბრალოდ გასართობად თამაშობენ, ბოულინგი სპორტის სახეობაა, მასში არაერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი ტარდება. ბოულინგის საერთაშორისო ფედერაცია მსოფლიოს ჩემპიონატებსაც აწყობს, ამ აზარტულ სახეობისთვის ყურადღება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც მიუპყრია და სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის საჩვენებელი ტურნირის გამართვაც ჩაუფიქრებია. ბოულინგი ძალიან პოპულარულია მთელს მსოფლიოში და ამას ისიც განაპირობებს, რომ მისი თამაში ყველას შეუძლია, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და გვარიშვილობისა. აგერ, ბატონო, ახლახან ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში ისეთი ტურნირი ჩაუტარებიათ, რომელიც თავად ქვეყნის პრეზიდენტ ხოსნი მუბარაქს დაუფასებია, ხოლო ფინალური შეჯიბრი, არც მეტი, არც ნაკლები, ღია ცის ქვეშ, პირამიდებთან საგანგებოდ გამართულ ბოულინგის მოედანზე გაჩაღებულა.

სხვებზე ნაკლებნი რითი ვართო და, ზემოხსენებულმა ბატონებმა, ფირმა „ფორტუნას" შემწეობით, თბილისში „ბოულინგ ცენტრი" დააარსეს. კორეიდან ამ საქის მცოდნე ხალხი ჩამოიყვანეს ტრანსპორტის სამინისტროში იჯარით აღებული შენობა გემოვნებით მოაწყვეს და 5 მარტს საქართველოში ბოულინგიც დაიბადა.

მარტშივე პირველი ტურნირის გამართვა მოასწრეს და თვით საუკეთესო ბოილერიც გამოავლინეს. სულ მალე, 30 აპრილს კი მეორე შეჯიბრიც ჩატარდება.

ცენტრის დირექტორს კოტე ლამბაშიძეს მომავალში ბოულინგის ფედერაციის ჩამოყალიბება განუზრახავს, როგორც გვითხრა „ამ საქმეს წინ ვერაფერი დაუდგება. ფედერაციის შექმნის მერე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც გავაგზავნით გუნდს"

მერე კი, მერე რამაზ მოსაშვილმა ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო და, ბოულინგის სათამაშოდ მიგვიწვია. ბურთი, რომლითაც ჩვიდმეტი მეტრის მოშორებით განლაგებული ათი კეგლი უნდა წააქციო, საკმაოდ მძიმე მეჩვენა და ერთი პირობა ვიფიქრე, ჯოტია ცაავა ხომ არ ვარ, ამ სიგრძეზე ვისროლო-მეთქი, თუმცა ბედი მაინც ვცადე და თქვენ წარმოიდგინეთ, ათივე კეგლი წავაქციე. ეგ რა ადვილი ყოფილა-მეთქი და, მეორედაც დავუმიზნე — ამჯერზე არაფერი გამომივიდა, კეგლები შემოდგომის აზნაურებივით თავმომწონედ ყელყელაობდნენ. მერე მესამედ ვესროლე და... ერთი სიტყვით, ჩამითრია. ახლა კი მივხვდი, რატომ თამაშობენ მთელს მსოფლიოში ბოულინგს. ჰოდა, თქვენც გირჩევთ, ერთხელ შეიარეთ ყაზბეგის 12-ში და დამიჯერეთ, იქიდან გამოსვლა გაგიჭირდებათ...

**სოსო ქოტორეიშვილი**



„ბოულინგ ცენტრში" მყუდროდ დასხდომაც შეიძლება და ქინიანად თამაშიც





# მიმოიხედე შეტევისას!



ფილადელფიელი ვალერი ზელეპუკინი ტორონტოელთა კარში გატანილ შაიბას „თან გადაჰყვა"

**STANLEY CUP PLAYOFFS**

პლეი ოფის 8 წყვილიდან 7 უკვე შეუდგა საქმეს (მოგეხსენებათ, კოლორადოსა და სან ხოსეს პირველი თამაში გადაიდო). ერთის თქმა დაბეჯითებით შეიძლება — თითოეული წყვილის ბრძოლა დაძაბული იქნება და სასტარტო შეხვედრების შედეგებით დასკვნებს ვერ გამოვიტანთ. და კიდევ, ყველა მატჩში გადამწყვეტი მეკარეთა თამაში გახლდათ.

### აღმოსავლეთი

**ტორონტო — ფილადელფია 0:3**

0:1 0:1 0:1

0:1 ზელეპუკინი 15'32 (1); 0:2 ლეკლერი 28'14 (1); 0:3 დეჟარდენი 59'43 (1)

ტორონტომ კარგი გაკვეთილი მიიღო, ახლა მაინც მიხვდება, რომ პლეი ოფი ჩემპიონატისგან განსხვავდება და იქ ასეთ გამოკვეთილად შემტევ ჰოკეის არავინ თამაშობს. ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ საკუთარ ზონაში უნდა ჩაკეტილიყო, მაგრამ ზედმეტად გახსნილი თამაშიც გაუმართლებელია. გუნდებმა პირველ ათ წუთში ერთმანეთი დაზვერეს, მერე ტორონტო პირველი შეუდგა საქმეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა ჯონ ვანბისბრუკის კართან. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა უმალვე ვერ მიაღწიეს მიზანს, დიდი ძალებით შეტევა მაინც გააგრძელეს და დაისაჯნენ კიდეც. პირველივე კონტრშეტევის დროს კართან უმეთვალყუროდ დარჩენილი ვალერი ზელეპუკინი ადვილად გაუმკლავდა კურტის ჯოზეფს. ვანბისბრუკმა კიდევ რამდენიმე ეპიზოდში ითამაშა ჩინებულად და „მფრინავები" დამშვიდდნენ, ტორონტო კი პირიქით, განერვიულდა. მერე ჯონ ლეკლერმა გააორმაგა თავისიანთა უპირატესობა და ამით პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყდა.

და მაინც, როგორც მოგახსენეთ, ერთი თამაშის შედეგი არაფერს ნიშნავს. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ „ნეკერჩხლის ფოთლებმა" ბოლო მესამედში დიდი აღმაფრენით ითამაშეს. მათ ათჯერ მაინც ჰქონდათ გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ხან თვითონ სცოდავდნენ (ერთ ეპიზოდში სტივ ტომასმა ერთი მეტრიდან ააცილა), ხან კი ვანბისბრუკი ბრწყინავდა, რომემაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათს სუნდინის ბულიტი მოიგერია. ხოლო როცა „ბიზერიც" (ვანბისბრუკის მეტსახელი) უძლური იყო, ძელები შველოდა (ძელებმა შაიბა ოთხჯერ მოიგერიეს). ასე რომ, დღეს მეტოქეთა კიდევ ერთ მატჩში ძალიან საინტერესო ბრძოლა გველის.

**კაროლინა — ბოსტონი 0:2**

0:0 0:0 0:2

1:0 დიმაიო 41'50 (1); 0:2 ბელანჟე 47'37 (1)

როგორც ჩანს, ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფოს ჯერჯერობით თავი რეგულარულ ჩემპიონატში ჰგონია. პირველობაში 10 შათაუტით ყველას მჯობნი, ახლა პლეი ოფში აპირებს მეტოქეთა მშრალად დატოვებას და, თუ პირველი მატჩით ვიმსჯელებთ, მას ეს ჩინებულად გამოსდის. დაფომ მთელი დატვირთვით მხოლოდ პირველ ათ წუთში ითამაშა, რადგან მასპინძლები შეეცადნენ, თავიდანვე გაეოგნებინათ მეტოქე. ამის შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა, რომელშიც თითოეული მოწინააღმდეგის შეცდომას ელოდა. ბოსტონი, მოგეხსენებათ, ასეთ თამაშში უფრო დახელოვნებულია და ეს კიდეც დაამტკიცა. პირველი გადამწყვეტი გოლი მას შემდეგ გავიდა, რაც მასპინძელთა ფორვარდმა ჯეფ ონეილმა საკუთარ კართან შაიბა დაკარგა, რითაც რობ დიმაიომ უმალ ისარგებლა. ამრიგად, ბოსტონი დაწინაურდა, ხოლო კაროლინამ, გარდა მარცხისა, თავისი წამყვანი მოთამაშე, გამოცდილი რონ ფრენსისი დაკარგა. მან კოჭი იტკინა და ასპარეზობას გაურკვეველი ვადით გამოეთიშა.

**ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 3:1**

1:1 1:0 1:0

0:1 ჰრდინა 7'20 (1); 1:1 სიკორა 7'35 (1); 2:1 სიკორა 34'55 (2); 3:1 პანდოლფო 59'29 (1)

როგორც ვარაუდობდნენ, თამაში ჩეხების უპირატესობით წარიმართა, მაგრამ თავი განსაკუთრებით მათ გამოიჩინეს, ვისგანაც არ ელოდნენ. ნიუ ჯერსის პირველ სამეულში მოთამაშე ორმა ჩეხმა — პეტრ სიკორამ და პატრიკ ელიაშმა თვით იარომირ იაგრი დაჩრდილეს. სწორედ ამ დუეტის ორმა სწრაფმა კომბინაციამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. თანაც პირველი სიკორამ პიტსბურგელთა გოლის შემდეგ 15 წამში გაიტანა და პარტნიორები დაამშვიდა. პეტრის დარტყმა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ პიტსბურგის მეკარე ტომ ბარასომ რეაქციაც ვერ მოასწრო. მატჩის შემდეგ „პინგვინთა" ფორვარდი მეტიუ ბარნაბი გულდაწყვეტით ამბობდა, ნორმალურად ვერც კი გავიხარეთ, რომ უმალ მოვიშალეთო. იაგრმა რაღა? იგი ჩვეულად აქტიურობდა, რამდენიმე მომენტიც შექმნა, შაიბაც მისი პასის შემდეგ გავიდა, მაგრამ მაინც, ეს გოლი სუპერჩეხისა არ იყო. ძნელია, სკოტ სტივენსს (ნიუ ჯერსის მცველი პერსონალურად მეურვეობდა იაგრს) დაუსხლტე.

### დასავლეთი

**ფინიქსი — სენტ ლუისი 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 მაკინისი 2'22 (1); 0:2 რივერსი 37'24 (1); 1:2 რაიხელი 58'08 (1); 1:3 პელერინი 59'18 (1)

ჯერემი რენიკი, ცხადია, არც იაგრია და არც ლინდროსი, მაგრამ ის, რომ უმისოდ ფინიქსს ძალიან უჭირს, სენტ ლუისთან პირველივე შეჯახებისას გახდა ნათელი. თავად განსაჯეთ — „კოიოტებმა" ექვსჯერ ვერ გამოიყენეს რიცხვმრავლობა, ხოლო ერთხელ, როცა 78 წამის განმავლობაში ორკაციანი უპირატესობა ჰქონდათ, მეტოქის ზონაშიც კი ვერ შეაღწიეს. შესაძლოა, მასპინძლები სენტლუისელთა სწრაფმა გოლმა დააბნია — ისინი პირველივე წუთზე უმცირესობაში დარჩნენ და ელ მაკინისმა უძლიერესი, ჩვეული დარტყმით დალაშქრა ნიკოლაი ხაბიბულინის კარი. საბოლოოდ მაკინისმა 3(1+2) ქულა დააგროვა და მეკარე გრანტ ფიურთან ერთად მატჩის გმირი გახდა. 36 წლის ფიურს, რომელმაც შუაგულ სეზონში მიღებული ტრავმის შემდეგ კვლავ დაიბრუნა ფორმა, პლეი ოფში 87-ე მოგება გაუხდა და ახლა ერთითლა ჩამორჩება თასის ისტორიაში მეორე ადგილზე მყოფ ბილ სმიტს. ისიც სათქმელია, რომ მას ფინიქსთან (ყოფილ ვინიპეგთან) 17 საპლეიოფო თამაშიდან მხოლოდ ერთი წაუგია.

**სამველ ლარიბიანი**

**ჩემპიონატის** შემდეგ პირველი ლოსანჯელესელი მწვრთნელი ლარი რობინსონი დაზარალდა. კლუბის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ მასთან ურთიერთობა აღარ გააგრძელონ. წარსულში ბრწყინვალე მცველი, თასის ექვსგზის მფლობელი რობინსონი ოთხი სეზონის განმავლობაში თავკაცობდა კლუბს და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მიაღწია პლეი ოფს (1998) და ისიც პირველივე რაუნდში განადგურდა სენტ ლუისმა. „ყოველი სეზონის წინ ქომაგებს წარმატებას ვპირდებით, მერე კი საქმე საბოლოოდ გვიხდება" — ასე გაამართლა პრეზიდენტმა ტომ ლეოვეკემ თავისი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ სექტემბერში რობინსონს გუნდის ხელმძღვანელობა კონტრაქტის განახლებას სთავაზობდა (წინა სეზონი ხომ მეტ-ნაკლებად იღბლიანი იყო), მაგრამ იუარა, ჩემპიონატის დამთავრებას დავუცდიო.

* * *

**ჩემპიონატის** დამთავრების შემდეგ სულ რაღაც ერთ დღეში ლიგამ გადაწყვიტა, „დიადი" უეინ გრეცკი „დიდების დარბაზში" ასარჩევად წარადგინოს. საბოლოო სიტყვას კი დარბაზის მესვეურთა სხდომა იტყვის 29 აპრილს. უფრო სწორად, საარჩევნო კომიტეტი გადაწყვეტს, უმალვე მიიღოს გრეცკი „დიდების დარბაზში" თუ სამი წლის შემდეგ, როგორც ამას წესდება ითვალისწინებს. თუმც კომიტეტის თავჯდომარის, ჯიმ გრეგორის თქმით, „დიადს" ჰოკეიში და საერთოდ სპორტში ისეთი ღვაწლი მიუძღვის, ეს საკამათო არ გახდება.

ამრიგად, 29 აპრილს გრეცკი ნჰლის ისტორიაში მე-10 ჰოკეისტი შეიქნება, ვისაც „დიდების დარბაზმა" განსაკუთრებული უფლება მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ ბოლოს ეს პატივი მარიო ლემეის ერგო 1997 წელს, თუმცა მას ექვსი თვე მაინც ალოდინეს.

* * *

**სანხოსელ** ანდრეი ზიუზინს გადაუწყვეტია, ნჰლ-ში „სახელი გაითქვას". ჰოკეის სამყაროს ჯერ მისი კლუბიდან გაქრობა-დაბრუნების ისტორია არ დავიწყებია და უკვე ახალი თავგადასავალი დაიწყო. სან ხოსესთვის ჩემპიონატის ბოლო მატჩში (როცა გაუჩინარების შემდეგ პირველად გამოჩნდა) იგი ანაჰაიმელ ჯიმ მაკენზის წაეჩხუბა და მერე ერთ-ერთ ეპიზოდში უხეშადაც გაუსწორდა. მაკენზიმ ტვინის შერყევა მიიღო, ზიუზინმა — ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია. ასე რომ, კოლორადოსთან სერიის დასაწყისში იგი გუნდს ვერ დაეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XXVIII ტური

**დორტმუნდი 2:1 ვერდერი**
0:1 ტრარესი (34), 1:1 ჰერლიხი (52), 2:1 მიოლერი (86)

**შტუტგარტი 0:1 ლევერკუზენი**
0:1 კირსტენი (37)

### მეორე ბუნდესლიგა

XXVII ტური

**კოტბუსი 3:0 ულმი**

**ზტ. პაული 2:1 მაინცი**

**დიუსელდორფი 2:1 კიოლნი**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

XLIV ტური

**ბერი 2:1 ბოლტონი**

## ჰოლანდია

**გრააფსხაპი 1:0 ეინდჰოვენი**
1:0 დემ ტურკი (43)

## შვეიცარია

VIII ტური

**გრასჰოპერი 5:0 ლოზანა**
1:0 მანინი (12), 2:0 ჟაველაშვილი (31), 3:0 ტიკვა (47), 4:0 კომიზეტი (57), 5:0 ფოგელი (69)

## პოლონეთი

XXIII ტური

**გურნიკი 1:2 ლეხი**

**ვისლა 4:1 კატოვიცე**

## თურქეთი

XXVIII ტური

**ბეშიქთაში 0:0 სამსუნი**

## პორტუგალია

XXIX ტური

**სეტუბალი 3:0 ბრაგა**
1:0 ჩიკინიო კონდე (25), 2:0 მამედი (32), 3:0 ჩიკინიო კონდე (60)


REUTERS შტუტგარტიდან

შტუტგარტი — ლევერკუზენი. კირსტენს (№9) და ვერლაატს ორთაბრძოლისას ბურთი გვერდზე დარჩათ


REUTERS მონტე კარლოდან

# ფრანგული კოცნა

მონტე კარლოში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირს სხვა მეტნაკლებად მსხვილფეხობა-წვრილფეხობასთან ერთად მსოფლიოს ორი ფრანგი ფეხბურთელ-ჩემპიონი, ფაბიენ ბარტეზი და დავიდ ტრეზეგეც ესტუმრნენ. სტუმრობა სტუმრობად და ჭაბუკი ტრეზეგე ჩოგბურთის ცქერას მეგობარი გოგონასთვის მისი დადუღებული ბადაგივით ტკბილი ტუჩების წუწვნას უფრო არჩევდა... არანაკლები ტემპერამენტისა და შეძლების მქონე ბარტეზი კი თურმე მის სატრფოს, ცნობილ კანადელ მდედრ ლინდა ევანჯელისტას ზედ კორტზე შესვლის წინ გაუფრთხილებია, სიცოცხლევ, სადაც გინდა იქ მაკოცე, ოღონდაც თამაშების მერეო... ბარტეზსაც აუღია და კაცურად მოუთმენია.


REUTERS მონტე კარლოდან

# ალი ამბობს

პროფესიული კრივის მეურნეობას რომ რეფორმა ესაჭიროება, ამერიკელებმა კარგახანია იციან. ამათი ქვეყნის სენატში გასული წლის შემოდგომიდან ტრიალებს საკრივო ინდუსტრიის რეფორმის კანონპროექტი. პროექტის განხილვაში საკრივო საზოგადოებაც მონაწილეობს. ამიტომაც მიუწვევიათ სენატის კომიტეტის სხდომაზე მუჰამედ ალი, რომელიც ყურადღებით უსმენს თავისი მეგობრისა და პრესმდივნის ჰოვარდ ბინგემის საუბარს.


REUTERS ვაშინგტონიდან


REUTERS ქაიროდან

# პატის მოთელვა

მსოფლიოს რანგით მე-10 მეჩოგნე ქალის, ტუტრუცანა შვეიცარიელი პატი შნიდერისა და მისი ფსიქოსექსოთერაპევტის, გერმანელი რაინერ ჰარნეკერის ურთიერთობათა შესახებ დიახაც რომ ბევრი დაწერილა. როგორც იქაური კეთილი ენები ამბობენ (და სარბიელელი ავთანდილ სვანიძეც ეხმიანება), 20 წლის შვეიცარიელი ოჯახს რომ დასცილდა, ამ ბოლო დროს სულ რომ აგებს და, საერთოდაც, მაგრად რომ აურია, ეგ სულ ამ ცრუკაცის ბრალი უნდა იყოს... მაგრამ პატარა პატის ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს. თურმე ნუ იტყვით და, მისი თქმით, რაინერისნაირად მას ვერც მატჩის წინ თელავს ვინმე და ვერც, თქვენ წარმოიდგინეთ, მატჩის შემდეგ... ჰოდა, რაინერსაც მეტი რა უნდა, დაჰყვება და, სადაც მოუხერხდება, თელავს და თელავს... მორიგი მოთელვის ამსახველი ეს კადრი კი ქაიროში, „დრიმ ლენდის“ ქალთა ტურნირის გუშინდელი მატჩის წინაა დაფიქსირებული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29